ხელისუფლება სახელმწიფო შესყიდვების წესებს ცვლის A4
თვალებზე ნადირობა A6
მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 17 დეკემბერი, 2004 წელი. №299 (848)
ფასი 50 თეთრი

# მზადაა ევროკავშირი თურქეთის მისაღებად?




*ევროპარლამენტარები თურქეთის "ევროპელების" სურვილს გაგებით შეხვდნენ.*

*ეს ფრაზა უოლტერ ჰოლსტეინს, ევროკომისიის ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნის და 1963 წლით თარიღდება. ეს სიტყვები მაშინ წარმოითქვა, როდესაც თურქეთი, მაშინ ჯერ კიდევ ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობად წოდებულ, ევროპულ გაერთიანებაში ასოცირებულ წევრად მიიღეს. იმ დღიდან მოყოლებული ანკარაში ელიან, რომ ევროპელები, ბოლოს და ბოლოს, გააცნობიერებენ თურქების პრეტენზიების "კანონიერებას" ევროპელობაზე და ამ ქვეყანას დიდ ევროპულ ოჯახში მიიღებენ.*

ნიკა თარაშვილი

უნდა ითქვას, რომ თურქეთის ევროპისკენ სწრაფვა ყოველთვის ამ ქვეყნის მთავარი სტატეგია იყო და დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის ათათურქის დროიდან იღებს სათავეს. თუმცა, აგერ უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, თურქების ყველა მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა.

1999 წელს, როდესაც ევროკავშირმა "მწვანე შუქი აუნთო"

გაგრძელება A5 გვერდზე

# ვინ მოწამლა იუშენკო?

ნიკოლას დ. კრისტოფი
*რიგა, 15 დეკემბერი, 2004.*
*„ნიუ-იორკ ტაიმსი"*

ზამთრის ამ ცივ ღამეებში რუსეთის მეზობელ ქვეყნებში უთავო მხედარი დაეხეტება, ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას ემუქრება და მათში განახლებული ცივი ომის შიშს აღვიძებს.

ეს მოჩვენება ვლადიმირ პუტინია. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი მალე იპოვის თავს.

ბოლო დროს, დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას, მე ხშირად მესმოდა ხალხისაგან, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მათთვის პუტინი. ეს ხალხი სავსებით მართალია - არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ ატერორებს პუტინი მეზობელ სახელმწიფოებს, დაწყებული საქართველოდან და ესტონეთიდან, დამთავრებული ამ პატარა, ლამაზი ბალტიისპირული ქვეყნით - ლატვიით. მაგრამ პუტინის მაქინაციების ყველაზე ალმაშფოთებელი მაგალითი ჩვენ ვიხილეთ უკრაინაში, როდესაც იგი ცდილობდა პრორუსული დამქაშების ხელისუფლებაში მოყვანას.

იმედია, გავარკვევთ, ვინ მოწამლა დიოქსინით რეფორმატორი პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იუშენკო, თუ ის საერთოდ უკრაინის ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, 26 დეკემბრამდე, არ დაიღუპა ეგრეთ წოდებულ "ავტო ავარიაში" (საგზაო შემთხვევები ხომ უკრაინელი დემოკრატებისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა).

წინა საღამოს, სანამ თავისი ავადმყოფობის პირველ სიმპტომებს ალმოაჩენდა, ბატონი იუშენკო უკრაინის სპეცსამსახურების შეფთან ვახშმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი რეფორმატორთა პოზიციების მიმდევრად ითვლება, არ არის გამორიცხული, უკრაინის საიდუმლო სამსახურების მრავალრიცხოვან არარეფორმატორულ ფრთას თავისი ნაცადი ხრიკებისათვის მიემართა. ასევე გაჩნდა კითხვა, გაიცა თუ არა ინსტრუქცია მოწამვლის შესახებ რუსეთის აგენტურის მიერ? მათ ხომ მჭიდრო კონტაქტები აქვთ უკრაინის საიდუმლო სამსახურების არარეფორმატორულ ფრთასთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართულ-კანადური პროექტი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი და კანადის საერთაშორისო განათლების ბიურო საქართველოს საჯარო სამსახურის ეფექტურობაზე ზრუნავენ.

პროექტი, რომელიც კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება, 2003 წლის ოქტომბერში დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებში ხდება ანალიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებსაც შესაბამისი უწყების საქმიანობისა და სტრატეგიის განსაზღვრა ევალებათ.

2004 წელს პროექტი ხუთ სახელმწიფო უწყებაში ხორციელდებოდა: საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო. ამ უწყებებიდან შემდგარ პირველ ცხრაკაციან გამოშვებას გუშინ სასტუმრო "მარიოტში" სპეციალური დიპლომები გადაეცა.

გაგრძელება A2 გვერდზე




## უცხოეთი

### ერაყში არჩევნები ახლოვდება - აფეთქებები არ წყდება



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს და სირიას მოუწოდა, არ ჩაერიონ ერაყის საპარლამენტო არჩევნებში.

A5

## საზოგადოება

### ბორჯომის ტყე ხმება



ასე გამოიყურება მბეჭდავი ქერქიჭამიას მიერ გამომხმარი ხეები საკირე-ტაძრისის მონაკვეთში.

A6

## სამართალი

### ქუთაისის პოლიციის ახალ უფროსს არასამთავრობოებმა თანამშრომლობა შესთავაზეს

A7

### საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ღია საზოგადოება - საქართველო
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
გაზეთი "24 საათი"

A8

**გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4**

## ამინდი

| | 17/12 | 18/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 1 | 7 |
| ქუთაისი | 6 | 12 |
| ბათუმი | 8 | 13 |
| სოხუმი | 4 | 10 |
| ფოთი | 7 | 13 |
| თელავი | 1 | 6 |
| ზუგდიდი | 6 | 12 |
| გორი | 0 | 6 |
| ახმეტა | 1 | 6 |
| ჭიათურა | 2 | 8 |
| გაგრა | 2 | 7 |
| სამტრედია | 6 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7900 |
| ევრო | 2.4000 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4842 |
| რუბლი | 0.0643 |

# "კარგები" და "უკეთესები" ბევრად უკეთესობის" გზას შეუდგნენ

ვერიკო თევზაძე

**"ოქრუაშვილი იყო კარგი პროკურორი, მაგრამ იყო ბევრად უკეთესი შინაგან საქმეთა მინისტრი, ახლა იქნება უკეთესი თავდაცვის მინისტრი.**

**მერაბიშვილი იყო კარგი უშიშროების საბჭოს მდივანი, მაგრამ იყო ბევრად უკეთესი უშიშროების მინისტრი და ახლა ბევრად უკეთესი პოლიციის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი იქნება,"** - ამგვარი ტექსტით წარადგინა პრეზიდენტმა გუშინ ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროდ წოდებულ შენობაში პოლიციის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელსაც გვერდს უმშვენებდა თავდაცვის მინისტრის პოსტზე უკვე წარდგენილი ირაკლი ოქრუაშვილი.

სააკაშვილი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ კორუფციასთან ბრძოლა კვლავ გაგრძელდება და იგი მარტო შევარდნაძის დროინდელ კორუმპირებულებს არ შეეხება: **"დღეს არის საჭირო კორუფციასთან ბრძოლა, ბრძოლა დღევანდელ თანამდებობის პირებთან, დღევანდელ საბაჟოში... იქნება ქურდობა და კორუფცია - იქნება დაჭერები, ერთი სიტყვით, განუკითხაობა, რაც იყო საქართველოში, აღარასოდეს დაბრუნდება."**

პრეზიდენტი თავის ხალხს პოლიციასთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. **"თქვენ გაქვთ უფლება, პოლიციას არ მისცეთ ჩვენება... მაგრამ თქვენ გაქვთ მოვალეობაც, რომ ჩვენ ყველამ ერთად მივცეთ პოლიციას ჩვენება,"** - ასეთია ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის პოზიცია.

# იმერეთის გუბერნატორი სტილს ცვლის

ბექა სისაური
*ზესტაფონიდან*

გუბერნატორობის სამი თვის თავზე იმერეთის გუბერნატორმა, ძირითადად ქეიფითა და მუშტიკრივით სახელგანთქმულმა, როგორც ჩანს, მუშაობის მეტად თავისებური მეთოდის შეცვლა გადაწყვიტა და პირველი საჯარო აქტიობაც დააფიქსირა. გეწაძე სწორედ იმ ქარხანას ეწვია, რომლის გამართული მუშაობაც ყველაზე ნაკლებადაა ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურება. საუბარია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე.

ზესტაფონის "ფეროს" კარგა ხანია, მსოფლიო ბაზარზე 6 პროცენტიანი ნიშა უჭირავს. მისი პოტენციალი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც გასული წლის შემოდგომაზე ქარხანაში ახალი ინვესტორი, ფირმა "დცმ დეკომეტალი" შევიდა. „ფერო" მაშინაც მშვენივრად მუშაობდა, როდესაც ყოფილ რწუნებულს დათო მუმლაძეს ინვესტორებთან ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული და ახლაც, როდესაც ახალი რწმუნებული ქარხნის ხელმძღვანელობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ამჟამად ქარხნის მეპატრონეებმა ინვესტიციების ჩადება საწარმოს გადაიარაღება-რეკონსტრუქციაში დაიწყეს. ჯერ კიდევ 21 ივლისს დამონტაჟდა პირველი ახალი ღუმელი, რომლის ღირებულებაც 2 მილიონი დოლარია. თითოეული ახალი ღუმელი ქარხნის წარმოებას, დაახლოებით 30 პროცენტით გაზრდის. უახლეს ხანში ინვესტორები "ფეროს" მთლიან გადაიარაღებას გეგმავენ. ამჟამად ქარხანა დღეში 300 ტონაზე მეტ სილიკომანგანუმს აწარმოებს. „ფეროში" 2700 ადამიანია დასაქმებული,

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# ქართულ-კანადური პროექტი




ლევან ხერხეულიძის ფოტო

"საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელი" საქართველოში.

პირველი გვერდიდან

ანალიტიკური ჯგუფის წევრებმა სპეციალური მომზადება გაიარეს საჯარო პოლიტიკის სფეროში. კურსდამთავრებულთა სამუშაო ადგილები, პროექტის პირობების თანახმად, აღიჭურვება კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო თვით მოხელეებს სტიპენდია დაენიშნებათ.

2005 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შეირჩევა 34 საჯარო მოხელე, რომლებიც შემდეგ უწყებებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის აპარატი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, იუსტიციის, გარემოს დაცვის, განათლების, თავდაცვის, ფინანსთა და უშიშროების სამინისტროები.

აღნიშნული პროექტის სახელწოდებაა "საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელი".

*24 საათი*

# იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორია

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამუშაო სხდომაზე მდინარე წყალწითელას ტერიტორიისთვის ნაკრძალის სტატუსის მინიჭების შესახებ ისაუბრეს. ამ თემაზე მომუშავე მეცნიერის იგორ პატარიძის განმარტებით, შესაძლებელია, 4660 ჰექტარი ტერიტორია გამოცხადდეს ნაკრძალად, რადგან ამ მონაკვეთში მდებარეობს გელათი და მოწამეთა, ცუცხვათისა და ნავენახევის მღვიმეები, თვითონ წყალწითელას კანიონი. როდესაც განისაზღვრება მდინარე წყალწითელას დაცული ტერიტორიის სტატუსი, ამის შემდეგ პარლამენტი უფლებამოსილი იქნება, წინადადებით მიმართოს იუნესკო-ს, რომ აღიარებული იქნეს ეს ტერიტორია მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად. ამ ინიციატივას უარყოფითი მხარეც აღმოაჩნდა, რადგან, საქართველოს კანონმდებლობით, ნაკრძალის ტერიტორიაზე არ უნდა მდებარეობდეს დასახლებული ადგილები. როგორც გაირკვა, ამ ტერიტორიაზეა სოფლები გოდოგანი და სიმონეთი. აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება მკვეთრ დაპირისპირებას გამოიწვევს მოსახლეობაში. ამის თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვრულია დაცულად გამოცხადდეს იმერეთის მღვიმეთა ტერიტორია, რომელიც შევა სათაფლიის ნაკრძალის ადმინისტრაციაში.

*24 საათი*

# არასამთავრობო პროკურატურას დახმარებას სთხოვს

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის "კავშირი დემოკრატიული საქართველოსათვის" ორგანიზებით, გუშინ გენერალურ პროკურატურასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია შპს "იზავერის" ერთ-ერთი მეწილის თემურ წულაიას გატაცებას უკავშირდება.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, თემურ წულაია "იზავერის" დირექტორმა რეზო ლოლუამ, კომპანია "ბარვილ ჯორჯიას" დირექტორმა აკაკი ლეკვეიშვილმა და ფოთში სავაჭრო პალატის მთავარმა ექსპერტმა სოსო წულაიამ კრიმინალების დახმარებით გაიტაცეს და იძულებით მოაწერინეს ხელი დოკუმენტებზე, რომელთა მიხედვით, ის თითქოს უარს აცხადებს საწარმოში მის კუთვნილ 50-პროცენტიან წილზე.

როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, "საქმის გამოძიება ჯერ ფოთის, შემდეგ კი სენაკის პროკურატურაში ტენდენციურად წარიმართა. სენაკის პროკურატურაზე საოლქო პროკურატურის მხრიდან დღემდე ხორციელდება ზეწოლა, რასაც თავად გამომძიებელიც აღიარებს," - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციისა და თემურ წულაიას ოჯახის წევრები. ისინი გენერალური პროკურატურისგან საქმის წარმოებაში მიღებას ითხოვენ.

*ინტერ-პრესი*







# იმერეთის გუბერნატორი სტილს ცვლის

პირველი გვერდიდან

მათი საშუალო ხელფასი 200 ლარს შეადგენს. ახალი ღუმელის გაშვება კი დამატებით 100-მდე სამუშაო ადგილს შექმნის.

**„მინდოდა ქარხნის წარმოება მომენახულებინა. აქ იგეგმება სამი დამატებითი ღუმელის გაკეთება, თითოეულ ღუმელთან 70 ადამიანი დასაქმდება,"** - განაცხადა რწმუნებულმა. მისივე თქმით, უახლოეს ხანში „ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებაცაა დაგეგმილი. ინვესტორები ჭიათურაში მადნის მოპოვებისათვის მზად არიან, 100 მილიონამდე დოლარი გადაიხადონ, საიდანაც 30 პროცენტი ჭიათურის ბიუჯეტში გადაირიცხება. **„როცა ინვესტორები ამდენ თანხას იხდიან, ისინი მზად არიან, წარმოებაში ახალი მენეჯმენტი შეიყვანონ, ახალი ტექნოლოგიები დანერგონ, რაც ნიშნავს იმას, რომ მადნის წარმოება თანამშრომლებისთვის უფრო უსაფრთხო იქნება და მეტ ნედლეულსაც მოიპოვებენ,"** - განმარტავს გეწაძე.

თავის მხრივ, ჭიათურის მიმართ ინტერესს არ მალავს ფეროს დირექტორი ნიკა ჩიქოვანი. **„მიმაჩნია, რომ ჭიათურმანგანუმი ჩვენ უნდა შევიძინოთ და არა სხვამ. ტენდერში მონაწილეობას მივიღებთ და სახელმწიფოს ძალიან კარგ პირობებს შევთავაზებთ. ამავე დროს „ტყიბულნახშირისა" და „ვარციხჰესის" შეძენასაც ვაპირებთ,"** - აცხადებს ნიკა ჩიქოვანი.

„24-საათი" ფეროს მუშებსაც გაესაუბრა. **„ზეინკლად ვმუშაობ, 215 ლარი მაქვს ხელფასი. აქაური უფროსებით უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ შარშან რომ დაგვირიგეს „სპეცოვკა", მის მერე ერთი წელიწადი გავიდა. წლის მანძილზე მუშას კი არა, კაბინეტში მყოფ მინისტრს არ გაუძლებს ტანსაცმელი. ესეც დაიხა და შესაცვლელია,"** - განაცხადა ზეინკალმა აბუკაძემ. ამავე დროს მუშებმა ისარგებლეს შემთხვევით და უფრო მეტი პრეტენზია პრეზიდენტის მიმართ გამოხატეს.

**„ძალიან მოხარული ვიყავი სააკაშვილის გაპრეზიდენტებით, ხმაც მივეცი და ყველაფერი... მაგრამ, რაცხა, მშრომელი ხალხისკენ არ იყურება. გადაყვა ჯარს და მთავრობას. ხალხისკენ კი, ჯერჯერობით, მაგას არ გამოუხედია. შევარდნაძეს როცა ვაგინებდით, მაშინ ზესტაფონში დენი იყო, ახლა ისიც აღარ გვავს,"** - წუწუნებდა ერთ-ერთი მუშა.

# უქმად დაკარგული ერთი წელი

კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას შეფასება




მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*"საქართველოში სიტუაცია არ არის დემოკრატიული," - აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია*

*პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერის, შვეიცარიიდან ჩამოსული კოკო გამსახურდიას შეფასებით, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ერთი წელი უქმად დაკარგა. გამსახურდია 2003 წლის ნოემბრის მოვლენას "რევოლუციად წოდებულად" მოიხსენიებს. ახსნა ასეთია: ის, ვინც რევოლუციას ახდენს, სათავეში მოსვლის შემდეგ მკვეთრად ემიჯნება დამხობილ ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში საქმე, პირიქით, უარესობისკენ წავიდა.*

ვერიკო თევზაძე

გამსახურდიას აზრით, ამისი უპირველესი მიზეზი ხელისუფლების არასახელმწიფოებრივად აზროვნებაში უნდა ვეძებოთ. იგი ასევე ანგარიშგასაწევ ფაქტად მიიჩნევს წარსულის მძიმე მემკვიდრეობას.

**"სად არის სამაჩაბლო?"** – ასეთ კითხვას სვამს კოკო გამსახურდია. გამსახურდიას თქმით, ხელისუფლებას არც აფხაზეთის დასაბრუნებლად გააჩნია მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური კონცეფცია. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან პრეზიდენტს გაუხსენა გამონათქვამი – **"მე ტურისტული სააგენტო კი არ ვარ!"** – რომლითაც სააკაშვილმა ლტოლვილების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ შეკითხვას უპასუხა და, შემდეგ, დასძინა:

**"2004 წლის იანვრიდან საქართველოში კონსტიტუციის უპატივცემლობა შეიმჩნევა."**

გამსახურდია ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ნეგატიურს უფრო მეტს ხედავს, ვიდრე პოზიტიურს. გუშინ მან ისაუბრა ქვეყანაში არსებულ არაჯანსაღ საინვესტიციო გარემოზე, კაბინეტებში განხორციელებულ **"გარიგებით პრივატიზაციაზე,"** ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე და აღნიშნა, რომ **"ანტიკორუფციულ კამპანიად მონათლული,"** შევარდნაძის დროინდელი თანამდებობის პირების დაპატიმრება, **"ეს არის ტერორი, რომელშიც 37 წლის ნიშნები შეიმჩნევა."**

ერთი წლის განმავლობაში კოკო გამსახურდია ქვეყანაში მხოლოდ ორ პოზიტიურ ცვლილებას ხედავს: საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბებას და უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდის დაწესებას.

და მაინც, "თავისუფლების" ლიდერი ხელისუფლებაზე განაწყენებულია. **"ხელისუფლებას ჩვენთვის ხელის გამოწვდომა რომ სდომოდა, არჩევნებში ხმებს არ გაგვიყალბებდა,"** - აცხადებს კოკო-კონსტანტინე გამსახურდია და გულისტკივილით დასძენს: **"საქართველოში სიტუაცია არ არის დემოკრატიული."**

# ნუ დაივიწყებთ მოყვასს

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ჩვენი საზოგადოება ნელ-ნელა და ძნელად, მაგრამ მაინც აღწევს თავს სტიგმას, აცნობიერებს ფსიქიკურად დაავადებულთა დისკრიმინაციის მავნეობას, სწორად ჭვრეტს საკუთარ ვალდებულებებსა და მოვალეობებს ამ კატეგორიის ადამიანების მიმართ.

ოზურგეთში ერთადერთი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სახლის არსებობა ერგოთერაპიისა და არტთერაპიის ჯგუფებით, ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. სოციალური სახლი დაარსდა 2003 წლის 8 დეკემბერს, ორგანიზაცია CARE International in Caucasus West –GSMI- ს ფინანსური დახმარებით. სოციალური სახლი ყოველწლიურად 60 მომხმარებელს ემსახურება. გასული ერთი წლის მანძილზე სოციალური სახლის ფუნქციონირების პროექტს ახორციელებდნენ ფსიქიკური ჯამრთელობის ასოციაცია (აღმასრულებელი დირექტორი მანანა შარაშიძე) და ქალთა ჯანრთელობის დაცვის ასოციაცია "პაციენტი პლუსი" (თავმჯდომარე ირინა გოგუაძე). შენობა, რომელშიც ბინა დაიდო სოციალურმა სახლმა, შემოქმედის ეპარქიამ სარგებლობის უფლებით გადასცა პროექტის მონაწილეებს. გარდა იმისა, რომ სოციალური სახლის პაციენტები გადიან ჯანმრთელობის რეაბილიტაციის კურსს, მათ აქვთ სრული საშუალებები თავიანთი პოტენციური ნიჭისა და შესაძლებლობების გამოსავლენად - ქარგავენ, ქსოვენ, ხატავენ, უვლიან ბაღ-ბოსტანს.

ამ მადლიან საქმეს არაერთი მეოხი და თანამდგომი გამოუჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰუმანიტარული ორგანიზაცია SOCO, რომლის ხელმძღვანელი საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი თავად სტუმრობდა სოციალურ სახლს და ორგანიზაციის სახელით მატერიალურადაც გაუმართა ხელი. სოციალურ სახლს გვერდით უდგას ქალაქ ოზურგეთის და ოზურგეთის რაიონის გამგეობები. ტელეკომპანია "მადიმ" დაუმონტაჟა უფასო სატელიტური ანტენა შესაბამისი დანადგარებით, არ ახდევინებს სააბონენტო გადასახადს.

კოალიციური პროექტის დასრულების შემდეგ, 2004 წლის აგვისტოდან, სოციალურ სახლს აფინანსებს "პაციენტი პლუსი". ეს ორგანიზაცია წევრია Hamlet Trust -ის ქსელისა, რომელიც მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. სწორედ Hamlet Trust-ის ფინანსური შემწეობით აიგო სათბური, სადაც სოციალური სახლის მომხმარებლებს თავიანთი ხელით მოჰყავთ ბოსტნეულ-ბაღჩეული.

სოციალური სახლის ერთ-ერთი ბინადარი თამარ შაფაქიძე: **"სოციალურმა სახლმა საზოგადოებაში დაგვაბრუნა. აქ ვიგრძენით, რომ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ვართ. აქ ვთავისუფლდებით გარიყულობისა და განდგომის სინდრომისაგან. ჩვენი ცხოვრება იძენს აზრსა და შინაარს".**

ამ რამდენიმე დღის წინ, სოციალური სახლის ეგიდით ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში მოეწყო გამოფენა, ხოლო ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა გაიმართა.

გურიის რეგიონში, რაიონების ფსიქონევროლოგიური დისპანსერების მონაცემებით, 4100-ზე მეტი ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი ცხოვრობს. ეს ციფრი ზღვრული არ იქნება, რადგან ყველა არ მიმართავს აღნიშნულ დაწესებულებებს. სახელმწიფოს მხრიდან კი ასეთი პაციენტების მკურნალობისთვის ერთობ მიზერული თანხა – 6 ლარია გამოყოფილი, რაც ავადმყოფის იზოლაციისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ არაფერი ვთქვათ მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯებზე.

უმწეო ადამიანები კი თანადგომას მოელიან. თანაც, ავადმყოფობა არაპროგნოზირებადი ფენომენია და არავინ უწყის, რა მოელის ხვალ.

## მოკლედ

### ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე დარჩება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თანამდებობაზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე დარჩება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროში, გუშინ, გამთენიისას, სამხედრო უწყების ხელმძღვანელის მოადგილეებისთვის, დეპარტამენტების და განყოფილებების უფროსებისთვის ირაკლი ოქრუაშვილის წარდგენისას განაცხადა.

"მესმის, რომ თავდაცვის სამინისტრომ მოკლე დროში ორი მინისტრი გამოიცვალა, მაგრამ პრეზიდენტის სიტყვას გაძლევთ, რომ სანამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, თავდაცვის მინისტრი აღარ შეიცვლება," -აღნიშნა პრეზიდენტმა.

თავდაცვის სამინისტროში მისვლამდე კი, საქართველოს პრეზიდენტი, ირაკლი ოქრუაშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი გიორგი ბარამიძე ღამის სამ საათზე კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადაში მოულოდნელად მივიდნენ, სადაც საწვრთნელი განგაში გამოცხადდა.

რაც შეეხება თავდაცვის უწყებაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს, ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ საკადრო ცვლილებები ამ ეტაპზე მხოლოდ მინისტრის მოადგილეებს შეეხებათ.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არასამთავრობო სექტორსა და საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას შორის განვითარებულ ურთიერთობაზე საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდებს. მათი განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო სექტორს ეკლესიის საქმეებში ჩაურევლობისკენ მოუწოდებს, მაგრამ ნეიტრალურია არასამთავრობოებთან მიმართებაში, რომლებიც სასულიერო ცხოვრებაში უხეშად ერევიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" საქართველოს ხელისუფლებას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვისკენ და ანტიეროვნული ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის საბჭოს, ევროკომისიისა და საქართველოს ერთობლივი ინიციატივით, დღეს თბილისში, გრიბოედოვის თეატრში, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი ფორუმი გაიმართება. ფორუმის ორგანიზატორთა განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პროცესში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირის მისიის ეგიდით, საქართველოში მოსამართლეთა სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის მიზანს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების შესწავლა წარმოადგენს. სამუშაო ჯგუფი ქართველი მოსამართლეებითა და უცხოელი ექსპერტებით დაკომპლექტდება და სისტემაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენაზე იმუშავებს. ჯგუფს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგიაშვილი უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს 27 წლის გოჩა მელიქიშვილი, რომელმაც 9 დეკემბერს დავით გოგოლაძესთან სტუმრობისას, ასევე სტუმრად მყოფ გიორგი კემულარიას მოპარა მობილური ტელეფონი. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ისან-სამგორის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების, შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 17 წლის ზურაბ ნიაშვილი და 18 წლის ლევან გუდიაშვილი, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 42 წლის გედი ქელეხსაშვილს გასტაცეს ავტომანქანა "ვაზ-2106". ამოღებულია საფანტის უნომრო პისტოლეტი. საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-4 განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის მე-2 ოცეულის თანამშრომლებმა დააკავეს მრავალჯერ ნასამართლევი, 25 წლის არსენ ლებანიძე, მეტსახელად "კაზაკი", რომელმაც დაუდგენელ პირთან ერთად ბაგრატიონის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში მცხოვრებ, 35 წლის ვასილ თურქიშვილს გასტაცა მობილური ტელეფონი და 50 ლარი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დაბა ხელვაჩაურში მცხოვრები, 19 წლის გია მადაძე და სოფელ შარაბიძეებში მცხოვრები, 19 წლის თენგიზ თავდგირიძე, რომლებმაც ხელვაჩაურში მცხოვრებ, 64 წლის ნაზი გაბატაძეს სახლის სადარბაზოში გასტაცეს ხელჩანთა 15 000 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულებით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელვაჩაურის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ვინ მოწამლა იუშენკო?

პირველი გვერდიდან

მტკიცებულება იმის შესახებ, რომ იუშენკოს მოწამვლა რუსეთიდან იმართებოდა, არ არსებობს. აგრეთვე, ვერც იმას ვიტყვით დანამდვილებით, რომ იგი აღნიშნულ ვახშამზე მოიწამლა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი საპრეზიდენტო კამპანიის ყველა ასპექტში უხეშად ერევა და სწორედ ეს აძლევს საფუძველს უკრაინელ ხალხს, ჩუმად ისაუბრონ იმაზე, რაზეც ისინი დღეს საუბრობენ.

ცნობილია, რომ რუსეთი ასეთ ბრალდებებზე არ რეაგირებს. ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც რუსები ტერორისტად მოიხსენიებდნენ, თებერვალში კატარში, სპარსეთის ყურეში, რუსეთის ორმა საიდუმლო აგენტმა მანქანაში ააფეთქა, როდესაც იგი მეჩეთს ტოვებდა. "რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთის ყოფილი ლიდერის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა," - განაცხადა კატარის მოსამართლემ ყველა სამხილის შემოწმების შემდეგ და აღნიშნული ორი პიროვნება დამნაშავედ ცნო. საქმე ისაა, რომ პუტინი გამუდმებით თვალს უხვევს დასავლეთს. იგი არ წარმოადგენს ბორის ელცინის დინჯ და ზომიერ ტიპს, იგი უფრო პინოჩეტის ან ფრანკოს რუსულ ვარიანტს მოგვაგონებს და მას რუსეთი, თავისუფალი საბაზრო დემოკრატიის ნაცვლად, ფაშიზმისაკენ მიჰყავს.

ფაქტობრივად, პუტინმა რუსეთი ერთი დიქტატორული რეჟიმიდან მეორე დიქტატორულ რეჟიმზე გადაიყვანა. ამით იგი ჩინელ ლიდერებს დაემსგავსა. ისეთ დიქტატორებს, როგორებიც იყვნენ მუსოლინი, ფრანკო, პინოჩეტი, პარკ-ჩანგ-ჰიი, აერთიანებთ ის, რომ ყოველი მათგანი აღმოცენდა საზოგადოებაში, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსი იყო გაბატონებული. ყოველმა მათგანმა ძალაუფლება ქვეყანაში წესრიგის დამყარებით მოიპოვა.



ამიტომაც არის, რომ დღემდე პუტინს რუსეთის მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს. მან მიაღწია წარმატებებს ეკონომიკაში, მისი ხელმძღვანელობით მოხდა ქვეყნის ეკონომიკის 5 პროცენტიდან 10 პროცენტამდე ზრდა. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მიხედვით, რუსეთს სწორედ ასეთი პუტინიზმი სჭირდება. როგორც რუსეთის გამოკითხულ მოქალაქეთა 70 პროცენტზე მეტი ფიქრობს, მათი პრობლემების გადაჭრა ძლიერ ლიდერს უფრო ხელეწიფება, ვიდრე დემოკრატიულ მთავრობას.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტურ რუსეთს ისევ ფაშისტური რუსეთი სჯობს. კომუნიზმმა ეკონომიკური სისტემა დააქცია, მაშინ, როდესაც ფრანკომ – ესპანეთში, გენერალმა პინოჩეტმა - ჩილეში და ასევე სხვა დიქტატორებმა თავიანთ ქვეყნებში, უზრუნველყვეს მყარი ეკონომიკა, კონტაქტები საშუალო ფენებისა და საერთაშორისო დონეზე, რაც, თავის მხრივ, საფუძველს ქმნის დემოკრატიისთვის. საბოლოო ჯამში, კიევის მსგავსად, ჩვენ მოსკოვშიც ვიხილავთ პროდემოკრატიულ დემონსტრაციებს.

საჭიროა რუსეთის დემოკრატიულ პროცესებში ჩართვა, ეკონომიკური განვითარების პროცესების ხელშეწყობა, რომელიც შემდგომში ასაზრდოვებს პოლიტიკურ ევოლუციას. უნდა შემცირდეს რისკი იმისა, რომ განაწყენებული და დამცირებული რუსეთი, არაბული სამყაროს მსგავსად, კონსპირატორული ქსენოფობიით დაავადდება. სინამდვილეში, რუსეთის აღნიშნულ პროცესებში ჩართვა ჩვენსავე ინტერესებში შედის, რათა ვებრძოლოთ ატომური იარაღის პროპაგანდას, თუმცა, ასევე ისტორიაც გვავალდებულებს, მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ პოზიტიურ პროცესებში.

ჩვენ გაბედულად უნდა ვისაუბროთ ჩეჩნეთში ვანდალურ აქტებზე, საქართველოსა და მოლდავეთში რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევებზე; ასევე - რუსეთში საინფორმაციო მედიისადმი ზეწოლაზე; ბოლო დროს კი - იმ კომპანიების ძარცვაზე, რომლებიც ვერ მიესადაგებიან პუტინის ინტერესებს.

კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ კოლინ პაუელმა პუტინს საკადრისი ოპონირება გაუწია უკრაინის თემაზე. ჩვენ სხვა საკითხებშიც გვმართებს შევეწინააღმდეგოთ მის თავნებობას და დავეხმაროთ მას თავისი თავის პოვნაში. თუ ბალტიისპირეთის ქვეყნები, ისე, როგორც მამაცი უკრაინელი ერი, აღუდგა რუსეთს, ამას ჩვენც შევძლებთ.

# ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის ზღურბლს იქით ახალი სამყარო იწყება

*Fitness - პირდაპირი თარგმანით ფიზიკურ ძალას ნიშნავს. ფიტნეს კლუბები კი მთელ მსოფლიოშია გახსნილი და მათი მისია ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს - ივარჯიშეთ, აღიდგინეთ ძალები, ჯანმრთელობა და ენერგია, გაერთეთ და მიიღეთ სიამოვნება.*
*ასეთი ფიტნეს კლუბი 21 ნოემბერს თბილისშიც ამოქმედდა. უფრო ზუსტად, ვაკის საცურაო აუზის ბაზაზე შეიქმნა სუპერ თანამედროვე, უდიდესი და სრულყოფილი კომპლექსი...*

საცურაო აუზი, მრავალმხრივი დანიშნულებისა და მიმართულების ტრენაჟორები, საუნა, სოლარიუმი, მასაჟი, აერობიკა, სილამაზის სალონი, ბარი, რესტორანი - ასეთი გახლავთ ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის მიერ შემოთავაზებული სერვისის მოკრძალებული ჩამონათვალი, მაგრამ ვიდრე უშუალოდ ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა მოგეცემათ, აუცილებლად უნდა გაიაროთ შემოწმება-ტესტი კარდეოლოგთან და დიეტოლოგთან, რომლის საფუძველზეც დგება ინდივიდუალური, სპეციალურად თქვენთვის შემუშავებული პროგრამა და გეგმა ტრენაჟორებზე ვარჯიშის, აუზში ცურვის და სხვა სერვისით სარგებლობისათვის, სადაც განსაზღვრულია დატვირთვის ზღვარი. ანკეტა კი მონაცემთა ბაზაში ინახება.

### საცურაო აუზი

აუზი, რომლის სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 21 მეტრია, სამ მილიონ ლიტრ წყალს იტევს. წყალი ხუთი საათის განმავლობაში გადის ფილტრაციის პროცესს და აქედან გამომდინარე, აუზი ყოველ ხუთ საათში ახალი წყლით ივსება. ჰაერის სპეციალური ფილტრების საშუალებით საცურაო კომპლექსის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ჰაერის სტაბილური ტემპერატურა, რომელიც მუდმივად 28 გრადუსს შეადგენს და აბსოლუტურად დაზღვეულია ორთქლის წარმოქმნა. უზრუნველყოფილია აგრეთვე წყლის მუდმივი, 27 გრადუსიანი ტემპერატურა. სისტემაში არსებული ულტრაიისფერი სხივების მეშვეობით კი წყლის სინჯი ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წყლის სისუფთავე და დაცვა ბაქტერიებისაგან. საცურაო აუზი 150 ადამიანის, ხოლო ტრენაჟორები 200 ადამიანის ერთდროული მომსახურებისათვის არის გათვლილი. ამას ემატება საუნები და მოსასვენებელი ადგილები, რომლებიც ასევე 100-მდე ადამიანს ერთდროულად ემსახურება.

### ტრენაჟორები

ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბი მთლიანად დაკომპლექტებულია Life fitness-ის ფირმის ტრენაჟორებით. ინფორმაციისათვის - Life fitness-ის ტრენაჟორები შეიძლება დაჯგუფდეს ძალის და კარდიო ტრენაჟორებად, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიით არის შექმნილი და გარდა იმისა, რომ სპეციალური ტესტის მეშვეობით ფიტნეს კლუბის კონსულტანტების მიერ დგინდება ვარჯიშის დატვირთვის მონაცემი, თვითონ არეგულირებს ვარჯიშის ინტენსივობას. ძალის ტრენაჟორებს, სადაც ძირითადი დატვირთვა კუნთებზე მოდის, აქვს ფიქსატორები (სკამი, საზურგე, ფეხის სადგამი, რომლებიც უზრუნველყოფს წელისა და ხერხემლის მოსვენებულ და დაცულ მდგომარეობას), რომელთა მეშვეობითაც მათზე ვარჯიში ყველანაირი ფიზიკური მონაცემების ადამიანს მოხერხებულად შეუძლია. ველოსიპედი, რომელზეც წოლით რეჟიმში შეგიძლიათ ივარჯიშოთ და ხერხემალი არანაირ დატვირთვას არ იღებს. სარბენი ბილიკები და ეგრეთ წოდებული ელიფსოები, რომლებიც თხილამურზე სრიალის იმიტაციას ქმნის.

Vacu-step - ტრენაჟორი, რომელზეც ვაკუუმის ქვეშ კარდიო ვარჯიში კეთდება და რომელიც საუკეთესო საშუალებაა ცელულიტუსის წინააღმდეგ.

სპინინგი კი, რომლის ძირითადი დანიშნულებაც წონაში დაკლება, კუნთების გამაგრება, ორგანიზმის მენტალურად გაძლიერება გახლავთ, ყველაზე მისაღები და შედეგიანი ტრენაჟორია არასპორტსმენი ადამიანებისათვის. რაც მთავარია, სპინინგზე ვარჯიშისას იქმნება ასოციაცია, რომ ველოსიპედი მოძრაობს აღმართზე ან დაღმართზე, უხვევს ნებისმიერი სასურველი მიმართულებით და ა.შ. ერთი სიტყვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოგზაურობთ. ხოლო მეტი კომფორტისა და ენთუზიაზმის შესაქმნელად, სპინინგზე ვარჯიში სპეციალურად შერჩეული მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს.

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება** - ქალბატონებისათვის კომპლექსში არის სპეციალური დარბაზი, სადაც შეგიძლიათ ინდივიდუალურად, უცხო თვალისაგან მოფარებულად ივარჯიშოთ და თავი კომფორტულად იგრძნოთ.

### Life fitness

Life fitness-ის ფირმის ამერიკული წარმოების ეს ტრენაჟორები, რომლებითაც ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბი მთლიანად არის აღჭურვილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა ფირმის ტრენაჟორებთან შედარებით ყველაზე ძვირადღირებულია, უკანასკნელი 15 წელია, ბაზარზე მოწინავე, პირველ პოზიციას ინარჩუნებს. შედარებისა და შეფასებისათვის კი მხოლოდ ის მონაცემიც კმარა, რომ ერთი სარბენი ბილიკის ტრენაჟორის ღირებულება 16 ათას ევროს უტოლდება (ვაკის საცურაო კომპლექსში ოთხი ასეთი სარბენი ბილიკია).

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია სხვა დანარჩენიც - აპარატურა, მოწყობილობა თუ ინვენტარი იმ ქვეყნებიდანაა შემოტანილი, რომლებიც შესაბამის სფეროში მოწინავენი არიან. გათბობა, ვენტილაცია, წყალგაყვანილობა გერმანიიდან და იტალიიდანაა, კონდიცირება - ინგლისიდან, ჰაერის გამწმენდი მოწყობილობა - ჰოლანდიიდან. ბუნებრივია, ეს ყველაფერი დიდ თანხებს მოითხოვს. ამიტომ, როგორც ყველა ცივილურ და განვითარებულ ქვეყანაში ხდება, აქაც სრულყოფილი საქმიანობა აქციონერების, პარტნიორი ბანკების, ინვესტორების დახმარებით არის შესაძლებელი.

### აერობიკა

აკვა-ტანვარჯიში, დენს-აერობიკა, სტეპ-აერობიკა, სტეპ-მიქსი, სამკურნალო აერობიკა, პილატესი, ტაიჩი, იოგა, ტაიბუ, ბოდი სტაილინგი, ვორქ-აუთი. ასეთი გახლავთ აერობიკის სახეობები, რომლებსაც ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბი გთავაზობთ. ყველა ვარჯიში კი საგანგებოდ შერჩეული ინსტრუქტორების ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდება.

### მასაჟი

აქაც არჩევანის უფლება თქვენთვის მოგვინდვია - სამედიცინო, სამკურნალო, სპორტული, წერტილოვანი მასაჟები, შიაცუ და მასაჟი ცხელი ქვებით.

### სოლარიუმი

სოლარიუმი უახლესი ტექნოლოგიით არის შექმნილი. მისი განსხვავება კი სხვა, მასიურად გავრცელებულ სოლარიუმებისაგან იმაში გამოიხატება, რომ აქ ამოღებულია ეგრეთ წოდებული B გამოსხივების ტიპი, რომელიც მავნე გავლენას ახდენს ორგანიზმზე და დარჩენილია მხოლოდ გამოსხივების A ტიპი, რომელიც სპეციალისტებისა და ექსპერტების შეფასებით, მზეზე ნაკლებად არის მავნებელი. მეტიც, იგი აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, რითაც ზედმეტი ცხიმის დაწვას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ვაკის საცურაო კომპლექსის სოლარიუმში არიან სპეციალისტები, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშაც ხდება სოლარიუმით სარგებლობა.

### საუნა

საუნა მართლაც საუკეთესოა. ამასთან, ქალებისათვის ფუნქციონირებს ორი ტიპის საუნა - ორთქლის და ფინური, სხვადასხვა კონტრასტული აბაზანების თანხლებით, ხოლო მამაკაცებისათვის - რუსული და ფინური.

### პერსონალი

ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის მომსახურე პერსონალი მართლაც საგანგებოდ არის შერჩეული. საერთო ჯამში დასაქმებულია ოთხმოცამდე ადამიანი. ფიტნეს კლუბის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ უპირველესი ყურადღება სისუფთავის დაცვას ექცევა და ეს ფაქტი აშკარად სახეზეა - ერთ ცვლაში ცხრა დამლაგებელი მუშაობს და განურჩევლად ყველგან იდეალური სისუფთავეა.

### სილამაზის სალონი

სალონი ყველა შესაბამის სერვისს ახორციელებს. მომსახურებისა და ხარისხის დონე აქაც უმაღლესია. ყველა საჭირო ინვენტარი თუ მასალა საუკეთესო ხარისხია და რაც მთავარია, ორიგინალია.

### ბარი და რესტორანი

ბარში და რესტორანში GMC ჯგუფის მომსახურებაა. ინფორმაციისათვის - GMC ჯგუფი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი მომსახურებით და მოწოდებული პროდუქციის ხარისხით. ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბისათვის კი შედგენილია სპეციალური მენიუ კლიენტურისათვის საჭირო და აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად.

### რა არის საჭირო კომპლექსში მოსახვედრად

იმისათვის, რომ ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის წევრი გახდეთ, საჭიროა სურვილი, რომ იყოთ ჯანმრთელი, ჯანმრთელობის ცნობა, შესაბამისი თანხა, რომლის გადახდაც შესაძლებელია გადარიცხვით, ნაღდი ანგარიშსწორებით ან ბარათით, რის შემდეგაც ფორმდება შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება. ხოლო კლუბში გაწევრიანებისთანავე თქვენ საკუთრებაში მიიღებთ ჩიპური მოწყობილობით აღჭურვილ სპეციალურ სამაჯურს, რომელიც უფლებას განიჭებთ სამუშაო საათების განმავლობაში ნებისმიერ დროს და ნებისმიერი დროით მოხვდეთ კომპლექსის ტერიტორიაზე. ჩიპური სამაჯურით ხდება ინდივიდუალური კარადის ჩაკეტვა და გაღება, ამასთან, ბარით სარგებლობის შემთხვევაში შესაძლებელია თანხის ოდენობა სამაჯურის ჩიპით დააფიქსიროთ, რადგან მოუხერხებელია ფულის თან ტარება.

კლუბში გაწევრიანებისათვის გადახდილ საფასურში კი შედის ექიმის მომსახურება (კარდეოლოგი, დიეტოლოგი), მწვრთნელის მომსახურება, კარდიოტესტის საფუძველზე ვარჯიშის გეგმის შედგენა, აუზით, ჯაკუზით, ტრენაჟორებით და საუნით სარგებლობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საცურაო კომპლექსს ემსახურება გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა პროფესორ **ზურაბ ფაღავას** ხელმძღვანელობით.

ინდივიდუალური გადასახადია სოლარიუმის, მასაჟის და აერობიკის მსურველთათვის. ერთი სიტყვით, ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის "საზღვრის" გადაკვეთა მხოლოდ ჩიპურ სამაჯურს მფლობელ კლუბის წევრს შეუძლია.

**რაც შეეხება სილამაზის სალონსა და რესტორანს, მათი მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს დაუბრკოლებლად, ყოველგვარი საწევრო სამაჯურისა და კლუბის წევრობის დამადასტურებელი სხვა საბუთის გარეშე შეუძლია.**

### მენეჯმენტი

ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის მართვა **ზურაბ მემარნიშვილსა** და მის მეუღლეს **მაია აზარაშვილს** აქვთ მინდობილი. ნდობის კრიტერიუმი კი საკმაოდ ლოგიკური და მნიშვნელოვანი ფაქტორებით არის განპირობებული - გარდა იმისა, რომ ისინი ცნობილი სპორტსმენები არიან (მაია აზარაშვილი სეულის ოლიმპიადის პრიზიორი და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი გახლავთ), მათ ფიტნეს კლუბში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ვიდრე ორი თვის უკან, საქართველოში ჩამოვიდოდნენ, ისინი წლების განმავლობაში გერმანიაში ხელმძღვანელობდნენ ფიტნეს კლუბს. ზურაბ მემარნიშვილს კი ფიტნესის სფეროში 1995 წლიდან მოყოლებული გრძელი გზა აქვს გავლილი მწვრთნელიდან - გერმანიის ქალაქ ახენის ფიტნეს კლუბის გენერალურ მენეჯერამდე.

**P.S.** ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბით ყველაზე მომთხოვნი და პრეტენზიული კლიენტიც კი კმაყოფილი დარჩება. ექსტერიერი, ინტერიერი, სერვისი, აღჭურვილობა, მომსახურე პერსონალი ყველანაირ კრიტიკას უძლებს. ერთი სიტყვით, ვაკის საცურაო აუზი - ფიტნეს კლუბის ზღურბლს იქით ახალი სამყარო იწყება.









# ხელისუფლება სახელმწიფო შესყიდვების წესებს ცვლის

*სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციული ხვრელების ამოქოლვას ცდილობს. სააგენტოს მზად აქვს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონპროექტი, რომელიც ამ ეტაპზე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენებს გადის. კანონპროექტის ავტორების თქმით, კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა წინა ვარიანტში არსებულმა კორუფციულმა ხვრელებმა, შესყიდვების პროცედურათა გამარტივების, სისტემის დეცენტრალიზაციის გაღრმავების, შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობათა სფეროს გაფართოების და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის აუცილებლობამ გამოიწვია. სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი მელაძე იმედოვნებს, რომ ქვეყანა ახალ წელს ახალ ბიუჯეტთან და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ახალ კანონთან ერთად შეხვდება.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციული ხვრელების ამოქოლვას ცდილობს.*

დიანა ჩაჩუა

გიორგი მელაძის განმარტებით, გასულ წლებში შესყიდვის ერთ-ერთი საშუალება დახურული ტენდერი კორუფციის გავრცელებულ და მარტივ მეთოდს წარმოადგენდა. კერძოდ, მოქმედი კანონის თანახმად, დახურული ტენდერის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება საჯაროდ გამოაქვეყნოს. იგი უფლებამოსილია, სატენდერო განცხადება მის მიერ შერჩეულ ხუთ პირს დაუგზავნოს და ამასთან, კანონში არ არის მითითებული, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს ამ პირთა შერჩევა. ეს გარემოებები კი, კანონპროექტის ავტორთა აზრით, სისტემის გამჭვირვალობის ხარისხს ამცირებს და ხელს უწყობს კორუფციულ გარიგებათა არსებობას. **"სწორედ ამიტომ, კანონპროექტის თანახმად, დახურული ტენდერი, როგორც შესყიდვის ძირითადი საშუალება, გაუქმებულია და შესყიდვის ძირითად საშუალებად ღია ტენდერია აღიარებული,"** – განაცხადა გიორგი მელაძემ.

ახალი კანონპროექტის ამ ცვლილებამ ავტორების წინაშე ბუნებრივად დააყენა სატენდერო მოსაკრებლის ოდენობის შემცირების თემაც. მოქმედი კანონის თანახმად, ღია ტენდერის დროს მოსაკრებელი 500 ლარს შეადგენს, თუმცა კანონპროექტი ამ თანხის 200 ლარამდე შემცირებას ითვალისწინებს. **"ეს ხელს შეუწყობს კონკურენციის გაზრდას, აამაღლებს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის ხარისხს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის რაციონალობის ამაღლებას,"** – მიიჩნევს სააგენტოს ხელმძღვანელი.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონპროექტში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ცვლილებაა სატენდერო პროცედურათა განხორციელების ვადების შემცირება, რაც პროექტის ავტორების თქმით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებათა მიღებისა და შეფასების პროცედურების გაერთიანებით იქნა შესაძლებელი. **"სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 20 დღით ადრე აქვეყნებს. რაც შეეხება საკვალიფიკაციო შერჩევის, სატენდერო წინადადებების განხილვის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებს, მათ შესახებ გადაწყვეტილებას შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ღებულობს,"** – ნათქვამია კანონპროექტში.

უნდა აღინიშნოს, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონპროექტში აშკარად შეინიშნება კანონის მოქმედების არეალის გაფართოების მცდელობა. ჯერ ერთი, პროექტის თანახმად, იგი მოიცავს იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკუთვნით, და მეორე, ტენდერში მონაწილეობის უფლება ქართველ და უცხოელ პირებს თანაბრად ეძლევათ. როგორც გიორგი მელაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობას და, ამასთან, არ შეზღუდავს მათ კონკურენტუნარიანობას. **"ვვარაუდობთ, რომ ქართველების და უცხოელების თანაბარ პირობებში ჩაყენებით მაქსიმალურად გაიზრდება ტენდერის მონაწილეთა რიცხვი და სახელმწიფოს მიმართ ნდობა აღდგება,"** - აღნიშნა სააგენტოს ხელმძღვანელმა.

ეს და სხვა ცვლილებები პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა განიხილა, რომელმაც კანონპროექტს მწვანე შუქი აუნთო, თუმცა, საბოლოო ჩანაწერში აღნიშნა, რომ კანონპროექტში დასაზუსტებელია თავად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტატუსი. სააგენტო, რომელიც ახლა ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარება, კანონპროექტის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს კონტროლში გადავა. ამ ფაქტმა ექსპერტებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ყველა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შესყიდვების ეროვნული სააგენტო, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად უნდა გავიდეს, თუმცა ვერ თანხმდებიან, რა ფორმით, რადგან მოქმედი კანონის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი მხოლოდ სამინისტროს შეიძლება ექვემდებარებოდეს. თუმცა, ზოგი ექსპერტი ამ კანონიდანაც ხედავს გამოსავალს.

სააგენტოს დამოუკიდებლობის მომთხოვნი პირები არგუმენტად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ყველა სამინისტრო, თავის მხრივ, შემსყიდველია და არ შეიძლება შესყიდვების სააგენტო დაექვემდებაროს და, ამავე დროს, იყოს მაკონტროლებელი რომელიმე უწყებისა. ამაზე საუბრისას თითქმის ყველა ექსპერტი ინტერესთა კონფლიქტის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას: **"არც ერთ უწყებას არ სურს, ასეთი მაკონტროლებელი უწყება დამოუკიდებლად არსებობდეს. ამიტომაც მათ ხელს აძლევს, რომ სააგენტო რომელიმე სამინისტროს დაქვემდებარებაში იყოს. ყველა შემთხვევაში გვექნება ინტერესთა კონფლიქტი. შესყიდვების სააგენტო წესიერად და ობიექტურად ვერ გააკონტროლებს სამინისტროს, რომლის კონტროლის ქვეშაც იქნება, იმიტომ, რომ სამინისტროს ხელმძღვანელს შეუძლია ზეწოლა მოახდინოს მასზე. ეს საფრთხე ყოველთვის იარსებებს. აქედან გამომდინარე, შესყიდვების სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ცალკე უნდა გავიდეს,"** – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე.

იუსტიციის სამინისტრო დაზუსტებით ვერ ასახელებს, თუ დამოუკიდებლობის როგორი სტატუსი უნდა მიენიჭოს სააგენტოს. მხოლოდ აცხადებენ, რომ დღეს არსებული კანონმდებლობის პირობებში, სააგენტოს დამოუკიდებლობა, მაგალითად, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მისი ყოფნა, არ იქნება შესაძლებელი. **"ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობა ჯობს, მაგრამ გასარკვევია სტატუსი, რადგან კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლევა. კანონში ცვლილება საჭირო იქნება. ჯერჯერობით, სააგენტო ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებარება, თვითონ სამინისტრო თანახმაა და მთავარი ეს არის,"** – განაცხადა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ნათია მიქელაძემ.

"ეკონომიკის სამინისტრო უდიდესი შემსყიდველი ხდება და ამიტომ, უსამართლო და არაობიექტური იქნებოდა, შესყიდვების სააგენტო ჩვენთან დარჩენილიყო," – განაცხადეს თავად ეკონომიკის სამინისტროში. თუმცა, იქვე სამინისტროს წარმომადგენელი ლილი ბეგიაშვილი აცხადებს, რომ სააგენტოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემაც არ არის გამართლებული ნაბიჯი. **"ამის უარყოფა არ შეიძლება. სააგენტოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემა, უბრალოდ, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო,"** – აცხადებენ იმავე სამინისტროში.

თვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აცხადებს, რომ **"მთავრობა ერთიანი გუნდია და გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ. რა თქმა უნდა, ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში, გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება, ისევე როგორც ახლა ეკონომიკის სამინისტროში, მაგრამ რადგან ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის ფინანსების მთავარი მაკონტროლებელია, შესაძლოა სააგენტო ამ ეტაპზე მას ექვემდებარებოდეს. მომავალში, ალბათ, ვიფიქრებთ კანონში ცვლილების შეტანაზე და, შესაძლოა, პარლამენტის და მთავრობის შეთანხმების საფუძველზე ეს საკითხიც მოგვარდეს,"** - განაცხადა მელაძემ.

კანონპროექტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზე განიხილავს. "24 საათის" ინფორმაციით, დღეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარლამენტს კანონპროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებს წარუდგენს, რომელთა შორის მთავარი ისევ და ისევ სააგენტოს სტატუსის საკითხია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მოსახლეობამ თბილისში, ბრიტანულ კომპანია "ბრიტიშ-პეტროლიუმის" ოფისთან მორიგი საპროტესტო აქცია გამართა. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას 44 ოჯახის კუთვნილი ნაკვეთების სარწყავი სისტემა დაზიანდა, რის გამოც ნაკვეთების მორწყვა ველარ შეძლეს და მოსავალი თითქმის გაუნახევრდათ. მოსახლეობა ამ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების დაბეგვრის რეჟიმის გამკაცრება, თუმცა ამის საკომპენსაციოდ, პირველ ეტაპზე, ფინანსურ დახმარებას მთავრობისგან მიიღებენ. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "პრაიმ-ნიუსს" განუცხადა, ახალი კოდექსის მიხედვით, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები დამატებული ღირებულების გადასახადს დარიცხულ (მომხმარებლისათვის მიწოდებული) და არა ამოღებულ ელექტროენერგიაზე გადაიხდიან, რაც მათ ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების მოტივაციას მისცემს. ამასთან, გამკაცრებული დაბეგვრის რეჟიმის შესამსუბუქებლად, ენერგოკომპანიები პირველ ეტაპზე სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას მიიღებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გუშინ ხუთმა საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტმა დეკემბრის ბოლომდე უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალი წლიდან მთავრობას 2004 წლის ბიუჯეტის პარამეტრების მიხედვით მოუწევს მუშაობა. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრი 1,9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი - 2,2 მილიარდი ლარით. განსაზღრულია საგარეო ვალის ზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი, რომელიც 2005 წლის ბოლოსთვის 4,2 მილიარდ ლარს გაუტოლდება, ხოლო ბიუჯეტში საგარეო ვალის მომსახურებისათვის 2,1 მილიონი ლარია გამოყოფილი. **ინტერ-პრესი**


## ს.ს. "თელასი" გაყიდის

| N | ა/მ მარკა, მოდელი | გამოშვების წელი | ა/მ ფერი | ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Jeep Grand Cherokee 4.0 | 1998 | წითელი | $9000 |
| 2 | ზილ 431410 (ბორტიანი) | 1986 | ღია ლურჯი | 2000 ლარი |

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და
შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; 77 99 29;

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**17 დეკემბერს, 11.00-დან 15.00 სთ-მდე:**
ლერმონტოვის, დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, ჩაიკოვსკის, ინგოროყვას, ამაღლების, ჭონქაძის, ოქროყანის, შინდისის, შხეფის, მესხის, სავანელის, გერგეთის, ბოლო აღმართის, განაპირა აღმართის, წავკისის, ბერიძის, ჩიტაძის, ავთანდილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**17 დეკემბერს, 11.00-დან 15.00 სთ-მდე:**
სოფლების: კოჯრის, კიკეთის, ბეთანიის, დიდების, ტაბახმელის, ოქროყანის, წავკისის, შინდისის მაცხოვრებლებს.

## მრჩეველი განვითარების საკითხებში

კომპანია BP-s მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **განვითარების საკითხებში მრჩევლის** თანამდებობაზე. მრჩეველი **განვითარების საკითხებში** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**
მრჩეველი **განვითარების საკითხებში** იმუშავებს BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებაში და ფუნქციონალურად დაექვემდებარება რეგიონალური განვითარების ინიციატივის (RDI) მენეჯერს ბაქოს ოფისში. ძირითადი ფუნქციაა გაუწიოს ტექნიკური მონიტორინგი და გააკონტროლოს BP-s RDI-ის მუშაობა და სოციალური ინვესტირებასთან დაკავშირებული ქმედებები საქართველოში. სამომავლოდ, შერჩეული კანდიდატი პასუხისმგებელი იქნება ყველა სოციალური ინვესტიციის პროგრამაზე, რომელიც RDI-ში გაერთიანდება.

თანამდებობა ითხოვს ზოგად გამოცდილებას განვითარების პროგრამებში და სოციალური პროგრამების გაანალიზების უნარს. ასევე მოეთხოვება პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, ტექნიკური რჩევების გაცემა, მოლაპარაკების უნარი.

მოვალეობები:
მრჩეველი **განვითარების საკითხებში** მოვალეა:
■ დაგეგმოს და განახორციელოს RDI პროგრამა საქართველოში, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოების ძირითად საჭიროებებსა და ხელშესახებ სარგებელზე
■ გაუწიოს მენეჯმენტი ღDI პროგრამის მაღალი ხარისხისა და ეფექტურობის მისაღწევად
■ მუდმივად იყოს პროგრამის მიმდინარეობის საქმის კურსში, ანგარიშებისა და რეგულარული საველე ვიზიტების მეშვეობით
■ გამოავლინოს კონკრეტული პროგრამები და მოლაპარაკება აწარმოოს საქართველოს RDI პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთობლივად
■ გაითვალისწინოს განვითარების სააგენტოების და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება RDI პროგრამის განსახორციელების პროცესში
■ გაუწიოს მონიტორინგი RDI -ის ბიუჯეტის სწორ და გამჭვირვალე ხარჯვით პროცესს
■ ეფექტურად გაავრცელოს RDI-ის მიზნები და მიღწევები როგორც ორგანიზაციაში ასევე მის ფარგლებს გარეთ
■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი სამუშაო ურთიერთობა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, როგორც რეგიონებში, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში
■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა მრავალმხრივ დონორ და დამფინანსებელ ორგანიზაციებთან; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და რეგიონში მოქმედ სხვა ენერგო კომპანიებთან კავკასიის რეგიონში
■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის სათემო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილთან და ა.შ.

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ერთ ან რამდენიმე ჩამოთვლილ სფეროში: განვითარების ხელშეწყობა, განვითარების კრედიტები, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და ენერგეტიკა
სასურველია გამოცდილება ჰქონდეს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ თანამდმებობაზე , სტაბილურ არასამთავრობო ორგანიზაციაში სამთავრობო განვითარების სექტორში

აუცილებელია:
■ მინიმუმ ხუთი წლის პროფესიონალური გამოცდილება მრავალმხრივ დონორულ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ პოზიციაზე (ე.ი. პასუხიხმგებელი ორგანიზაციის რეგიონალურ პროგრამებზე, სტრატეგიაზეი, მენეჯმენტზე და ა.შ.)
■ მყარი გამოცდილება პროექტის/პროგრამის განხორციელებაში
■ მინიმუმ 2 წლის სამუშაო გამოცდილება საქართველოში (შესაძლოა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკაში)
■ გამოზცილება შემდეგ სფეროებში: დარგთაშორისი სამუშაო, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განვითარება, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებში, კერძო სექტორში; სესხების საშუალებებში, საზოგადოების განვითარება/მართვა, ენერგიტიკაში
■ გამოავლინოს პროექტის მენეჯმენტის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდების ცოდნა

სასურველია:
■ გამოცდილება კონსულტაციის სფეროში - გამოავლინოს ღრმა ცოდნა ორგანიზაციის განვითარების საკითხებში
■ სხვადასხვა საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებთან/დონორებთან მუშაობის გამოცდილაბა - სხვადასხვა სტრატეგიას, უნარჩვევების და ა.შ. გამოვლენის უნარი

განათლება
■ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი შემდეგ სფეროებში: საერთაშორისო ურთიერთობები, განვითარება, ეკონომიკა, პოლიტოლოგია ან სხვა დაკავშირებულ სფეროში
■ თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ და რუსულ ენებს; ქართული ენის ცოდნა აუცილებელია

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 23 დეკემბერი, ხუთშაბათი**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„ლაბირინთი ჩვენში იწყება და გასასვლელიც ჩვენშია, მთავარია, მივაგნოთ... ”



„რადიო დილა“
ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

# მზადაა ევროკავშირი თურქეთის მისაღებად?

პირველი გვერდიდან



დღეს გაირკვევა, ისლამური თუ ემზადება თურქეთი ევროპას.

თურქეთის თავის რიგებში მიღებას, იგი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ თურქებთან, ადრე თუ გვიან, გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყება გარდაუვალი იქნებოდა.

17 დეკემბერს, ანუ დღეს, ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა ღიად და არაორაზროვნად უნდა განაცხადონ, მზადაა თუ არა ევროკავშირი თურქეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად. და ამავდროულად, პირველ რიგში, საკუთარ გრძელვადიან ვალდებულებებს უნდა სცენ პატივი და ამით ევროპის ფუნდამენტური ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედონ. ეს ისტორიული დღეა არა მარტო თურქეთისთვის – თავად ევროკავშირისადმი ნდობაც დევს სასწორზე.

მანამდე კი, დღევანდელ დღეს წინ უსწრებდა ევროპარლამენტის დადებითი ვერდიქტი. ევროკავშირმა გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები თურქეთთან “გადაუდებლად” უნდა დაიწყოს, - ასეთი იყო ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება. ევროკავშირის საბჭომდე ორი დღით ადრე ევროპარლამენტარებმა რეზოლუცია მიიღეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ თურქეთმა პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც სრულებით საკმარისია ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. აღნიშნული რეზოლუცია, საიდუმლო კენჭისყრით, 407 ხმით 262-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს, 29 თავი შეიკავა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის პოზიციის (ყოველ შემთხვევაში მისი ლიდერის) ცვლილებას. გუშინ სააგენტო “ბიბისი” იუწყებოდა, რომ ჟაკ შირაკი არ გაიმეორებს შეცდომებს, რომელიც საფრანგეთმა ევროკავშირში ესპანეთისა და პორტუგალიის მიღებისას დაუშვა. შეგახსენებთ, მაშინ პარიზი ამ ქვეყნების გაწევრიანების საკითხში, რბილად რომ ვთქვათ, თავშეკავებით გამოირჩეოდა. თუმცა, შემდგომში – ისევე როგორც ეს ქვეყნები - ყველაფერი შეიცვალა. ესპანეთში ფრანკოს და პორტუგალიაში სალაზარის დიქტატურების შემდეგ მოსულმა ძალებმა დაამტკიცეს, რომ ეს ქვეყნები სრულფასოვან ევროპულ ნაციებს წარმოადგენენ. ასე რომ, ფაქტი სახეზეა, ჟაკ შირაკი აღარ შეეწინააღმდეგება თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყებას.

საფრანგეთის პრეზიდენტმა შეახსენა თანამემულეებს, რომ 2005 წელს დაგეგმილი მოლაპარაკებების დაწყება საბოლოო გაწევრიანებას ჯერ კიდევ სრულებით არ ნიშნავს და იქამდე ძალიან დიდი დროა. მანამდე თურქეთმა უნდა შეასრულოს “ყველა ვალდებულება, რომელთა შერულებაც ნებისმიერ კანდიდატს მოეთხოვება”, ანუ უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირში მიღებულ “ყველა პრინციპს, ღირებულებათა სისტემას, ცხოვრების წესს”.

გუშინ ჟაკ შირაკმა მეტად საგულისხმო მომენტი გააჟღერა. თურქეთის გეოგრაფიულ თავისებურებებზე საუბრისას, შირაკმა ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი, რომელიც აქამდე ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს გაჟღერებულა – **“ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მყოფმა ქვეყანამ დაინტერესება უნდა გამოიწვიოს ევროპელებში”**. ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნის გაერთიანებას (თუმცა, ამის შესახებ განსხვავებული აზრიცაა: თურქეთი ძალიან დიდი, ძალიან ღარიბი და რაც მთავარია, ძალიან მუსლიმურია), ვიდრე მისი არმიღების შედეგი – თურქეთი აღმოსავლეთისკენ შებრუნდება, “სადაც მან შესაძლოა, სხვა გზა აირჩიოს, რომელიც თავის მხრივ, არასტაბილურობის ან საფრთხის წყარო გახდება ევროპისთვის”.

თურქეთის სავარაუდო გაწევრიანებას ევროკავშირში მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. შეგახსენებთ, გაერთიანების 25 წევრი-ქვეყნიდან ნებისმიერს შეუძლია თურქეთის მიღების საკითხს ვეტო დაადოს. იმ ქვეყანათა შორის, რომლებიც უფრო ემხრობიან ასეთ გადაწყვეტილებას, ვიდრე წინ აღუდგებიან, არიან: ბელგია, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთ. ჯერჯერობით, გადაწყვეტილების მიღება უჭირთ ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას და მალტას. დღემდე მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საფრანგეთი (მიუხედავად ჟაკ შირაკის გუშინდელი განცხადებებისა, ქვეყნის პოლიტიკური ისტაბლიშმენტი – პრემიერ-მინისტრის ჩათვლით – ახლო მომავალში ასეთი მოვლენის სასტიკად წინააღმდეგია), ნიდერლანდები (ამ ქვეყანაში ანტითურქული განწყობა თეო ვან გოგის მკვლელობასთან დაკავშირებულმა ანტიისლამურმა მოძრაობამ გაზარდა), ავსტრია (საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად უარყოფითად არის განწყობილი), გერმანია (ქვეყნის მოსახლეობაში, მცირე უპირატესობით, გაწევრიანების მოწინააღმდეგები ჭარბობენ), ასევე პოლონეთი (თურქეთის გაწევრიანება ამ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს შეიძლება დაემუქროს). ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ღიად აცხადებს, რომ ვეტოს დაადებს თურქეთის გაწევრიანების საკითხს, როგორც მოსალოდნელი იყო, კვიპროსია.

დაბოლოს, რომ არაფერი ვთქვათ ევროპულ ქვეყნებზე, თურქეთის გაწევრიანების შესახებ უკმაყოფილება თავად ამ ქვეყანაშიც არ არის უცხო. ანატოლიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროკავშირის წევრობას რელიგიური და კულტურული განსხვავებების გამო აპროტესტებს. ასევე დღეს თურქეთში ბევრს ეშინია, რომ “ევროკლუბის” წევრობა ქვეყანას დემოგრაფიულ საფრთხეს უქადის – დასავლეთით იმიგრაცია დღესაც საკმაოდ მაღალია, მიღების შემთხვევაში კი რა მასშტაბებს მიაღწევს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

მოკლედ, დღეს საღამოს გაირკვევა, შეუძლია თუ არა თურქეთს, ევროკავშირში გაწევრიანების იმედი ჰქონდეს. და რაც მთავარია, რისი დათმობა მოუწევს სანაცვლოდ ამ ქვეყანას. თუმცა, დადებითი პასუხის შემთხვევაშიც, თურქეთის კანდიდატობა, სავარაუდოდ, 15 წელს გასტანს.

# რუსეთში მზარდი ავღანური ჰეროინის ნაკადი

რუსეთის ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში ავღანეთიდან შემოსული ჰეროინის რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ნარკოკონტრაბანდით კრიმინალური ჯგუფები არიან დაკავებული, სამართალდამრღვევები აღმოაჩინეს სამართალდამცავთა შორისაც. ზემოაღნიშნულ პერიოდში, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს 62 მუშაკის წინააღმდეგ ნარკოდანაშაულის მუხლით, უკვე აღძრულია საქმე. ნარკოკონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრ ფიოდოროვის განცხადებით, მიმდინარე წელს ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკების (ჰეროინის) რაოდენობა, დაახლოებით 420 ტონას შეადგენს.

ავღანეთში ნარკოინდუსტრიის აყვავებას არ უარყოფს არც ამ ქვეყნის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაიც, რომელმაც ამ ფაქტს მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა და მას ქვეყნის სირცხვილი უწოდა.

გარდა იმისა, რომ ნარკოკონტრაბანდა საფრთხეს ადამიანთა ჯანმრთელობას უქმნის, მას უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ავღანეთში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მიღწეულ პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებებზეც, მიიჩნევს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. იგი გამოვიდა ინიციატივით ავღანეთის გარშემო შეიქმნას “ანტინარკოტიკული სარტყელი”, რაშიც გაერო-ს როლი უმნიშვნელოვანესი იქნება.

# ხორვატიაში საარჩევნო კამპანია დაიწყო



სოციოლოგთა პროგნოზით, სტეპან მესიჩი პოსტს შეინარჩუნებს.

საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია ხორვატიაში ოფიციალურად დაწყებულად გუშინ გამოცხადდა. საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც მომავალი წლის 2 იანვარს გაიმართება, სულ 13 კანდიდატია რეგისტრირებული. საამისოდ, რიგ სხვა მოთხოვნებთან ერთად, თითოეულ კანდიდატს ცესკო-სთვის მხარდამჭერთა 10 000 ხელმოწერა უნდა წარედგინა. საპრეზიდენტო კანდიდატთაგან ყველაზე მეტი ხელმოწერის წარდგენა სახელმწიფოს მოქმედმა ხელმძღვანელმა სტეპან მესიჩმა შეძლო, რომელიც 2 იანვარს მეორე ვადით შეეცდება ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დაკავებას.

ხორვატი სოციოლოგების შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნები კვლავ ამჟამინდელი პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატი სტეპან მესიჩის გამარჯვებით დასრულდება. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებით, მოსახლეობის 45.4 პროცენტი მესიჩის მხარდამჭერია, მის უმთავრეს ოპონენტს არჩევნებში მემარჯვენე ძალთა წარმომადგენელს იანდრანკა კოსორს კი მხოლოდ 11.1 პროცენტის მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეს.

წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომელიც მიმდინარე წლის 31 დეკემბერს დასრულდება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება. იმ შემთხვევაში თუ 2 იანვარს ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს ხმათა 50 პროცენტზე მეტის მოპოვებას, საჭირო გახდება მეორე ტურის ჩატარება, რომელიც 16 იანვარს გაიმართება.

# ერაყში არჩევნები ახლოვდება - აფეთქებები არ წყდება



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს და სირიას მოუწოდა, არ ჩაერიონ ერაყის საპარლამენტო არჩევნებში. ბუშის თქმით, ის იმედოვნებს, რომ ერაყის მეზობელი ქვეყნები, მათ შორის ირანი და სირია, "ერაყში ტერორისტთა დასახმარებლად ხალხის და ფულის გაგზავნას შეწყვეტენ". როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, სირიამ და ირანმა უნდა იცოდნენ, რომ "ერაყის საშინაო საქმეებში ჩარევა მათ ინტერესებში არ შედის". ჯორჯ ბუშის ამ განცხადებამ ერაყში წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღეს გაიჟღერა. 30 იანვრისთვის დანიშნული არჩევნების შედეგების საფუძველზე, ერაყში საკანონმდებლო ორგანო ჩამოყალიბდება, რომლის ამოცანა ერაყის მთავრობის ფორმირება და ქვეყნის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება იქნება. ერაყში წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღეს ქალაქ ქერბალაში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 7 ადამიანი დაიღუპა და 30 დაიჭრა.

ერაყის დროებითი თავდაცვის მინისტრი ჰაზიმ შაალანი თვლის, რომ ქვეყანაში განხორციელებული ტერაქტების უკან ირანი და სირია დგანან. მინისტრმა თეირანს "ერაყის ყველაზე საშიში მტერი" უწოდა. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**დიდი ბრიტანეთი.** დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაურის დევიდ ბლანკეტის გადადგომისთანავე, პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებები განახორციელა. დღეიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარლზ კლარკი უხელმძღვანელებს, რომელსაც აქამდე განათლებისა და ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა. განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროს კი სათავეში, თავის მხრივ, რუთ კელი ჩაუდგა, რომელიც მანამდე ბრიტანეთის სახელისუფლებო აპარატში მუშაობდა მდივნად.

დევიდ ბლანკეტის გადადგომის მიზეზი კი მმართველი ლეიბორისტული პარტიის მხრიდან მზარდი ზეწოლა გახდა. ლეიბორისტული პარტია ბლანკეტისაგან მინისტრთა კაბინეტის დატოვებას მოითხოვდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**კუბა.** კუბის აღმოსავლური პროვინციიდან, ოლგინიდან 3 000-ზე მეტი ადამიანია ევაკუირებული. ამ მოქალაქეთა ევაკუირება კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის გამო გახდა აუცილებელი. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ღვარცოფმა ათეულობით საცხოვრებელი სახლი დააზიანა, ასევე დიდია სტიქიის მიერ სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალის რაოდენობაც. დღემდე ოლგინის პროვინცია კუბაზე ყველაზე მშრალ რეგიონად ითვლებოდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის ცესკო-მ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა იმ კანდიდატთა რაოდენობა, რომლებიც 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში მანდატების მოსაპოვებლად იბრძოლებენ. 80-მდე პოლიტიკური ბლოკისა და ალიანსის მიერ წარმოდგენილ კანდიდატთა საერთო რაოდენობა 6 400-ია. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება არჩევნების უმაღლესი კომისარიატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფარიდ აიიარმა გააკეთა. მისივე თქმით, “საარჩევნო პროცესებში ჩართული იქნება ერაყის ყველა ქალაქი თუ დასახლებული პუნქტი ელ-ფალუჯის ჩათვლით”. გარდა კანდიდატთა რაოდენობისა, ცნობილი გახდა ახალი საპარლამენტო კვოტებიც, რომლებიც კონფესიური ნიშნით გადანაწილდა. ერაყის ახალ პარლამენტში 120 ადგილს დაიკავებენ შიიტები, 70-ს - სუნიტები, 55-ს - ქურთები, 15-ს - თურქმენები, 10-ს – ქრისტიანული საზოგადოებები, ხოლო დანარჩენი 5 სხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებზე გადანაწილდება. **24 საათი**

■ ■ ■

**მექსიკა.** გარემოს დამცველთა პროტესტის მიუხედავად, მექსიკის პარლამენტმა მაინც მიიღო კანონი გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოების შესახებ. ბიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ კანონი არეგულირებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვას, იძლევა მისი იმპორტირების უფლებას, განსაზღვრავს სავაჭრო ეტიკეტების შემოღებასა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის შექმნის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებას. კანონი სამამულო წარმოების სიმინდთან დაკავშირებით “განსაკუთრებული დაცვის რეჟიმსაც” ითვალისწინებს. თუმცა, ეკოლოგიური გარემოს დამცველთათვის ეს უკანასკნელი სიმშვიდის გარანტიას როდი იძლევა. “მწვანეებს” მიაჩნიათ, რომ ახალი კანონის ამოქმედებისთანავე მექსიკა ტრანსგენური პროდუქციის სავაჭრო ზონად იქცევა, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ბუნებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ორგანიზაცია “გრინფის”-ის წარმომადგენლის სესილია ნავაროს თქმით, “კანონი მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს აკმაყოფილებს და არა იმ ათასობით გლეხისა, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებენ”. **24 საათი**

# თვალებზე ნადირობა

*წლების განმავლობაში, როგორც მისი ხელმძღვანელობა ამბობს, "აგონიაში" მყოფმა პირველმა არხმა ტრანსფორმაცია განიცადა. 20 დეკემბრიდან სახელმწიფო ტელევიზიის "რეანიმირებული" პირველი არხი მაყურებლის წინაშე საზოგადოებრივი ტელევიზიის სახელით წარდგება.*

თამარ მაისურაძე

**"ჩვენ ვიწყებთ თვალებზე ნადირობას,** – აცხადებს აწ უკვე საზოგადოებრივი ტელევიზიის თავმჯდომარე ზაზა შენგელია და ისედაც გაჯერებული ტელებაზრის კონკურენციაში ებმება, - **დღეს ტელევიზიებს შორის ლიდერი სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ია, თუმცა, მაყურებელი რომ ნახავს საინფორმაციო გამოშვება "მთავარს", მიხვდება, რომ ეს ტელევიზია მათი ინტერესების მატარებელია".**

საკანონმდებლო ორგანოში მაუწყებლობის შესახებ კანონის დამტკიცებას კი უახლოეს დღეებში ელიან. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზაზა შენგელიამ განაცხადა, კანონის მიღება და არხის სახეცვლილება უბრალო დამთხვევაა. **"ეთერში საბოლოო, ჩამოყალიბებული სახით არ გავდივართ, თუმცა ახალი გადაცემები საზოგადოებრივი ტელევიზიის ელემენტებს უკვე შეიცავს. როგორც ყველაზე სტაჟიანმა ამ სფეროში, შემიძლია განვაცხადო, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიას მხოლოდ აღმავლობა ელის",** – ამბობს იგი.

რაც შეეხება გადაცემებს, საზოგადოებრივი ტელევიზია მაყურებელს საწყის ეტაპზე 18 ახალ გადაცემას სთავაზობს. თუმცა, როგორც მისი ხელმძღვანელები ამბობენ, იქ მუშაობა ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება და გადაცემებიც, შესაბამისად, ყოველწლიურად ტენდერის გზით შეირჩევა. აქცენტი კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ გადაცემებზე გაკეთდება. პარალელურად, მაყურებელს მიეწოდება სრული ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ; ასევე, ყოველწლიურად საქართველოს მასშტაბით ჩატარდება კვლევები, რომელთა საფუძველზეც, მაყურებელი ბროშურის სახით მიიღებს "დაპირებების წიგნს", დანაპირებს კი მთელი წლის განმავლობაში ტელეეკრანიდან იხილავს.

პირველ არხზე მაყურებლისთვის ნაცნობი სახეები ბრუნდებიან - სერგი გვარჯალაძე წაიყვანს გადაცემა "ვაკანსიას" და ტელევიზორიდან შეეცდება მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას. ეს პრობლემა დღეს არა მარტო ზოგადად ქვეყნის, თავად ყოფილი "პირველარხელებისთვისაც" ძალზე აქტუალურია - 3300 თანამშრომლის ნაცვლად, საზოგადოებრივ ტელევიზიაში 700 კაცი იმუშავებს. ზაზა შენგელია თვლის, რომ ეთერში ასეთი მოკრძალებული სახით გასვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ძველი თანამშრომლების სახელფასო დავალიანება აქვთ გასასტუმრებელი.

სიახლეა ისიც, რომ პირველი არხი მეორე არხს სიხშირეს გაუცვლის. როგორც აღმოჩნდა, ამ გადაადგილების აუცილებლობა იმან განაპირობა, რომ ყოფილი სახელმწიფო ტელევიზია დღემდე 35 წლის წინანდელი გადამცემით გადაიცემოდა. მრავალი სიახლე ელით სახელმწიფო რადიოს მსმენელებსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ტელევიზიის, ასევე რადიოს სახეცვლილებაზე სხვადასხვა ქვეყნის დიზაინერებმა და ტრენერებმა იმუშავეს.

# თამბაქო იგივე ნარკოტიკია

*თუკი თქვენ მწეველთა რიგებს მიეკუთვნებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკოტიკის პოტენციური მომხმარებელიც ხართ. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, რომ სიგარეტი შეიცავს ალკალოიდებს, რაც ისეთივე ნივთიერებაა, როგორც მორფინი, კოფეინი, კოდეინი და ა.შ. საქართველოში სიგარეტის რეგულირებადი გაყიდვა ახლო მომავალში აიკრძალება, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ სიგარეტის საყიდლად სპეციალური მაღაზიის მოძებნა მოგიწევთ.*

თამარ დვალი

"ფილიპ მორისი" "ჯი-თი ინტერნეიშენელი" "სამგორი", "მარდი" - ეს ის კომპანიებია, რომლებსაც თამბაქოს ბაზარზე ყველაზე დიდი წილი უკავიათ.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი ამ კომპანიებს ერთი კვირის ვადას აძლევს, რათა წარმოადგინონ გეგმა, თუ როგორ იქნება დაცული მომხმარებელთა უფლებები მათი მხრიდან. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი "მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის" ამოქმედებას მოითხოვს. აღნიშნული კანონი კი სქართველოში ისეთი პროდუქტების გაყიდვას კრძალავს, რომელიც მომხმარებლის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს, ან იწვევს მის სიკვდილს. ამავე ცენტრის მონაცემებით, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების შედეგად საქართველოში ყოველდღიურად 31 მწეველი იღუპება.

**"ჩვენი მოთხოვნით, ახლო მომავალში თამბაქოს გაყიდვა 95 პროცენტით შეიზღუდება; ისევე, როგორც ჰოლანდიაში იყიდება ნარკოტიკი, მაგრამ არსებობს მისი გაყიდვის წესები და ადგილები, საქართველოშიც ასე იქნება. საქართველოში თამბაქოს კომპანიები ლობირებენ ყველაფერს და ცდილობენ, მათი სისტემა ჩვენთვის შეუღწევადი გახადონ - ანუ აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ რადიკალურ ზომებს მივმართავთ",** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა გელა კობეშავიძემ.

ჩვენს კითხვაზე - თამბაქოს გაყიდვის შეზღუდვა შეამცირებს თუ არა მომხმარებელთა რიცხვს და რამდენად სამართლიანია, ათასობით ადამიანს, ვინც ამ პროდუქტით ვაჭრობს, შეუწყვიტო საარსებო წყარო - გელა კობეშავიძემ შემდეგი პასუხი გაგვცა:

**"კი, მაგრამ, ჩვენ გადავარჩენთ ათასობით ადამიანს დაავადებისგან. აქ არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც კომპლექსში განიხილება. მომხმარებლის უფლებებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. უბრალოდ, ამ ადამიანებს მეტი ინფორმაცია ექნებათ იმ ნივთიერების შესახებ, რომელსაც ინტენსიურად მოიხმარენ. მათ უნდა ავუხსნათ, რომ ეს არის ნარკოტიკი, რომელიც ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას. სანამ ეს პროდუქტი ლეგალურია, ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება. თამბაქოს რეალიზაცია კონტროლირებადი რომ უნდა გახდეს, ეს ჩვენი, ჯანდაცვის სამსახურებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, რომლებიც თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებს ახორციელებენ".**

მისივე თქმით, ისინი არ დაელოდებიან პარლამენტის გადაწყვეტილებას და პროცესების დაჩქარებას სასამართლოს გზით შეეცდებიან. მათ თხოვნით მიმართეს ბიზნესმენთა ფედერაციასაც, რათა შუამდგომლობა გაუწიოს ამ კომპანიებთან.

რაც შეეხება საქართველოში უფილტრო სიგარეტის მწარმოებელ ქარხნებს, მათი კომპლექსური შემოწმება რამდენიმე დღეში დაიწყება და 22 იანვარს დასრულდება. სულ 15 ქარხანა შემოწმდება. კობეშავიძე დარწმუნებულია, რომ უმეტესობას მუშაობის შეწყვეტა მოუწევს, რადგან უამრავი კანონდარღვევა აქვთ.

# ბორჯომის ტყე ხმება

## იტვირთავს თუ არა BP თავის წილ პასუხისმგებლობას

მაკა ჭაიანი

*საქართველოში წიწვოვანი ტყე ხმება; ძირითადად - ბორჯომის რაიონში, აჭარასა და რაჭაში. მიზეზი მბეჭდავი ქერქიჭამიაა - მწერი, რომელმაც კინაღამ გაანადგურა შვეიცარიის ალპები და ავსტრიის ტყეები. ამ ქვეყნებს არ აწუხებთ ჩვენი ქვეყნის დარი ფინანსური პრობლემები და, ხანგრძლივი და დროული ღონისძიებების წყალობით, მავნებლის შეჩერება მოხერხდა. რამდენად მოახერხებს საქართველო იგივეს, რთული წარმოსადგენია.*



*ასე გამოიყურება მბეჭდავი ქერქიჭამიას მიერ გამომხმარი ხეები საკირე-ტაძრისის მონაკვეთში.*

საქმე ის გახლავთ, რომ მბეჭდავი ქერქიჭამიას გამანადგურებელი სპეციალური წამალი - ფერომონი გვარიანად ძვირია. ერთი ცალი შვიდი დოლარი ღირს. ხეებზე იგი სათითაოდ უნდა დაიკიდოს თავისივე საკიდით, რომელიც, დამატებით, ორი დოლარი ჯდება. დროდადრო ფერომონიან მჭერს გამოცვლა უნდა, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ამდენად, ბორჯომის, აჭარისა და რაჭის წიწვოვანი საფარის გადასარჩენად არა მარტო საჭირო რაოდენობით ფერომონიანი მჭერის შეძენაა აუცილებელი, არამედ - მუშახელის დროული და ჯეროვანი დაფინანსებაც. ჯერჯერობით, საქართველოს ამის შესაძლებლობა არ აქვს.

**"ამ მავნებლის წინააღმდეგ სჭიროა რამდენიმეწლიანი გეგმიური მუშაობა და სერიოზული დაფინანსება,** - ამბობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი, - **მე მქონდა ამ საკითხზე საუბარი პარლამენტის შესაბამის კომიტეტებშიც, თუმცა ბიუჯეტში შესაბამისი თანხები ვერ გამოიძებნა. დახმარება გაგვიწია თურქეთის სატყეო მეურნეობის გენერალურმა დირექტორმა, რომელიც საქართველოში აგვისტოში იყო ჩამოსული. მბეჭდავი ქერქიჭამია თურქეთის ართვინის ოლქისთვისაც სერიოზული პრობლემაა. იქ კორომებია გადამხმარი. მათ უსასყიდლოდ გადმოგვცეს წამლის ნაწილი, რომელიც აჭარის, რაჭისა და ბაკურიანის ტყეებს უნდა მოვახმარო".**

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ნაწილობრივი აქციაა მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ. შარშან სატყეო დეპარტამენტს დახმარება ბიძინა ივანიშვილმა გაუწია, რის შედეგადაც ბორჯომის ტერიტორიაზე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება მოხერხდა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეპიზოდური ხასიათის დახმარებები პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ჩვენი სატყეო დეპარტამენტი თურქ კოლეგებთან ერთად ამუშავებს სპეციალურ პროექტს, რომლითაც გაეროს სოფლის მეურნეობისა და აგრარული დარგის სამსახურს მიმართავს. იმედი ვიქონოთ, რომ გაეროც დახმარებას გაგვიწევს. თუმცა, იქამდე გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეიძლება; მით უმეტეს, რომ, არასამთავრობო ორგანიზაცია "ტყის მკვლევართა კავშირის" მონაცემებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მბეჭდავმა ქერქიჭამიამ ბორჯომის საკირე-ტაძრისის მონაკვეთზე კატასტროფულად მოიმატა. სახელდება კონკრეტული "დამნაშავეც" - BP.

ნინო გურამიშვილი, "ტყის მკვლევართა კავშირი": **"ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებისთვის საკირე-ტაძრისის მიდამოში, თავად BP-ის კვლევების მასალების მიხედვით, ენტემომავნებლებით ტყის მხოლოდ ხუთი პროცენტი იყო დაზიანებული. დღეს ვიზუალურადაც კი ჩანს, რომ ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიებზე მავნებლის მიერ დაზიანებული ხეების რაოდენობა დიდია. დაზიანებულ ხეთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 30 პროცენტია, კერებში კი ხმობა 80-90 პროცენტს აღწევს. ვითარება კატასტროფულია და სასწრაფო ჩარევას მოითხოვს. ჩვენ ვაფრთხილებდით BP-ის, რომ ასეთი საშიშროება არსებობს. 2003 წელს გავაკეთეთ ეპიდგაფრთხილება და განვაცხადეთ, რომ, უსაფრთხოების სპეციალური ნორმების დაცვის გარეშე, სამშენებლო სამუშაოები მექანიკურად დაამძიმებდა ვითარებას".**

უსაფრთხოების ზომები, პირველ ყოვლისა, ამ 44-კილომეტრიან დერეფანში მოჭრილი ხის ადგილზევე გაქერქვასა და ქერქის განადგურებას გულისხმობს. მბეჭდავი ქერქიჭამია ქერქში იბუდებს, ხის გადატანა კი მისი გავრცელების საუკეთესო ხელშემწყობია. "სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელის ქეთი დგებუაძის ინფორმაციით, BP-მ სატყეო დეპარტამენტისგან მიიღო კიდეც ის მეთოდები, რომლითაც მავნებლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად BP –ის ტყის ჭრა წესების სრული დაცვით უნდა ეწარმოებინა. "ცენტრში" აცხადებენ, რომ ეს მითითება არ შესრულდა.

**"ასე რომ ყოფილიყო, ამგვარი შედეგი არ გვექნებოდა,** - ამბობს ქეთი დგებუაძე, - **ჩვენ გვაქვს დოკუმენტური მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ხეები გაუქერქავად იყო დატოვებული ადგილზე. მოსახლეობას იგი ასე გაჰქონდა, რამაც მავნებლის გავრცელებას კარგად შეუწყო ხელი. მბეჭდავი ქერქიჭამია ხეს ერთ თვეში ახმობს. თუ ასე უყურადღებოდ იქნა ყველაფერი მიტოვებული, ცოტა ხანში ამ მხარეში ნაძვი აღარ დაგვრჩება. პროცესი გადასულია ახალციხეში. მავნებელი დიდი რაოდენობით მრავლდება. ჩვენ ყოველ შეხვედრაზე ვუმეორებთ BP-ის, რომ სახეზეა პროექტის აშკარა, ირიბი ზემოქმედება და შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასაც მოვითხოვთ. ამ კონკრეტულ რეგიონში პრობლემის მოგვარება BP-მ მთლიანად თავის თავზე უნდა აიღოს".**

"ტყის მკვლევართა კავშირისა" და "სოციალური რეფორმების საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრის" წარმომადგენელთა აზრით, საჭიროა, სასწრაფოდ ჩატარდეს ტყის პათოლოგიური გამოკვლევა და შეფასდეს მისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა; დადგინდეს, რა რაოდენობით ფერომონიანი მჭერია საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად და, შესაბამისად, წამალიც შესყიდულ იქნეს. არასამთავრობოების გათვლებით, ამ საქმისთვის BP-ის, სავარაუდოდ, 200 000 აშშ დოლარის გამოყოფა მოუწევს (იგულისხმება არა მხოლოდ მილსადენის მიმდებარე, არამედ საკირე-ტაძრისის მთელი ტერიტორია).

BP-ში არ მიიჩნევენ, რომ ნავთობსადენის მშენებლობამ რამენაირად შეუწყო ხელი ბორჯომის ტყეებში მბეჭდავი ქერქიჭამიას გავრცელებას. **"საერთოდ, მბეჭდავი ქერქიჭამია საქართველოს წიწვოვანი ტყეების პრობლემაა. ჩვენ მისი გავრცელების საწინააღმდეგოდ, შემარბილებელ ღონისძიებებს ვიყენებთ - როცა წიწვოვან ხეებს ვჭრით, ადგილზევე ვაცლით ქერქს და ვანადგურებთ მას, ხეები კი დერეფნის გარეთ გაგვაქვს. მავნებლის მომატებას რაც შეეხება, ამის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია და არ ვთვლით, რომ ეს ნავთობსადენის გამო შეიძლება მოხდეს",** - ასეთია BP-ის ოფიციალური კომენტარი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბიძინა გიორგობიანის მონაცემები ნავთობსადენის მშენებლობის ირიბ ზემოქმედებაზე, ბორჯომის ტყეებში მბეჭდავი ქერქიჭამიას გავცელების თაობაზე, BP-ის განცხადებას მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება. **"მილსადენის მშენებლობა ამ მავნებლის გავრცელებას ძალიან უწყობს ხელს,** - ამბობს იგი, - **BP არ იცავს ფიტოსანიტარიულ ზომებს, ან ზედაპირულად იცავს მას, რამაც მნიშვნელოვნად შეუწო ხელი ამ მავნებლის გავრცელებას. იყო შემთხვევები, რომ პირდაპირ მიწაში მარხავდნენ მოჭრილ ხეებს. ეს არის არაპირდაპირი ხელშეწყობა მბეჭდავი ქერქიჭამიას გავრცელებისთვის. BP-იმ იცის ამის და ბევრი სხვა პრობლემის შესახებაც. საჭიროა მოლაპარაკებების გამართვა, რათა კომპანიამ გარკვეული თანხა გამოყოს შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად".**

## პრეს-რელიზი

### BP და BRITISH COUNCIL-ი სტიპენდიების პროგრამაში გამარჯვებულებს აცხადებენ

bp

BRITISH COUNCIL Georgia

გუშინ BP Georgia-მ და British Council-მა ახალი საერთაშორისო სტიპენდიების პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატები გამოაცხადეს. პროგრამა მიზნად ისახავდა ლიდერების გამოვლენას მთელ რიგ სპეციალობებში - ბიზნესიდან დაწყებული მასმედიით დამთავრებული.

BP-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც ოქტომბერში დაიწყო, ითვალისწინებს 12 თვის ვადით 10 შერჩეული კანდიდატის გაშვებას გაერთიანებულ სამეფოში სამაგისტრო კურსის გასავლელად. აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირებას, რომელშიც 250-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ჩევენინგის სტიპენდიების პროგრამასთან ერთად British Council-ი განახორციელებს.

აღნიშნული პროგრამა ეხმაურება უკანასკნელ პერიოდში BP-ის მიერ აღებულ ვალდებულებას საქართველოში ახალი სოციალური ინვესტირების პროგრამის განხორციელების თაობაზე, რომლის ფარგლებში კომპანია საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით მოახდენს 10 მლნ აშშ$-ის ინვესტირებას მთელ რიგ პროექტებში, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების ჩათვლით.

BP Georgia-ს ხელმძღვანელმა რიფ დიგინგსმა აღნიშნა: ." სტიპენდიების ეს პროგრამა წარმოადგენს ნაწილს ჩვენი ვალდებულებისა დავამყაროთ ხანგრძლივი და წარმატებული ურთიერთობა საქართველოსთან. ეს ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამაში გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელიც მომავალში გაფართოვდება და მოიცავს დისტანციური სწავლების სხვა შესაძლებლობებს საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს ასევე ეხმაურება BP-ის გლობალურ აქცენტს განათლების სექტორზე, საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით."

საქართველოში British Council-ის დირექტორმა ჯო ბაკოვსკიმ დასძინა: "ჩვენ 10 წელიწადზე მეტია ვახორციელებთ სტიპენდიების პროგრამების ადმინისტრირებას. ეს ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს, რისი ნათელი მაგალითიც ჩვენი კურსდამთავრებულების მიღწევებია. BP-ის პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატები ანალოგიურ მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებენ და მათ დაამტკიცეს, რომ მიღებული განათლებით ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოს განვითარებაში."





სტიპენდიების პროგრამა მოიცავს შემდეგ სპეციალობებს: საბანკო საქმე, ფინანსები და ეკონომიკა (მათ შორის დაზღვევა), ბიზნესი, მენეჯმენტი (სოფლის მეურნეობის, განათლების, ენერგეტიკის, ჯანდაცვის და ტრანსპორტის განხრით), ადამიანის უფლებები, სამართალმცოდნეობა, მასმედია, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეცნიერებები, მშენებლობის გარემო (მათ შორის არქიტექტურა, ქალაქგეგმარება და დაპროექტება), საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია.

პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ British Council-ის ვებსაიტს: http://www.britishcouncil.org.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**მთარგმნელობითი პროგრამა აცხადებს კონკურსს**
**სოციალური და კულტურული ღირებულების სამეცნიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა**

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა:
**2005 წლის 28 თებერვალი**, ორშაბათი (17:00 სთ-მდე)

*კონკურსის პირობების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:*
*ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"*
*ჭოველიძის ქN 10 (ყოფილი ბელინსკის ქუჩა)*
*ტელ: 25 04 63 ან 25 05 92*
*ფაქსი: 29 10 52*

# ქუთაისის პოლიციის ახალ უფროსს არასამთავრობოებმა თანამშრომლობა შესთავაზეს

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

*იმერეთში არსებულ მძიმე კრიმინოგენულ ფონს არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეხმიანებიან. "24 საათი" უკვე იუწყებოდა, რომ დღე არ გავა, ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში მოქალაქეებს ავტომობილი ან პირადი ნივთები არ წაართვან. წვრილმან ქურდობებს ხომ სათვალავი არა აქვს. გუშინ, ორგანიზაცია "ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის" ინიციატივით, ადგილობრივი ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქალაქის პოლიციის უფროსს რომან მამრიკიშვილს შეხვდნენ და არსებული ვითარების გამოსწორების გზებზე ისაუბრეს.*



*ქუთაისის პოლიციის ახალი უფროსი რომან მამრიკიშვილი ყველაზე პრობლემატურ დანაშაულად ნარკომანიას აღიარებს, ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად კი ჰეროინი და მარიხუანა მიაჩნია. ამჟამად ქუთაისის პოლიციის უფროსის ხელფასი 480 ლარს შეადგენს, რასაც სოროსის ფონდიდან 200-დოლარიანი დანამატიც ერთვის. ქუთაისის პოლიციის უფროსს აღნიშნული ხელფასი საკმარისად მიაჩნია.*

შეხვედრაზე ქუთაისის პოლიციის უფროსი მეტად არაოპერატიულად, დაახლოებით, ერთი საათის დაგვიანებით მივიდა. მამრიკიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე ერთი კვირის წინ დაინიშნა, მანამდე კი სამხარეო კრიმინალური პოლიციის უფროსად მუშაობდა. მამრიკიშვილის ბიოგრაფიულ მონაცემებში, ქუთაისის პოლიციის ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსობა და წყალტუბოს "კრიმპოლობაც" იკითხება. რევოლუციამდელ პერიოდში კი აღნიშნული თანამდებობები კორუმპირებული ჩინოვნიკებისათვის დიდი შემოსავლების წყაროდ ითვლებოდა. აღნიშნულ პერიოდში ნარკობიზნესმა განსაკუთრებით ფართოდ წყალტუბოსა და საჩხერის რაიონში გაიდგა ფეხი. იმერეთის ერთ დროს მშვენიერი საკურორტო ქალაქი წყალტუბო კი ნარკობარონებისთვის სამოთხედ იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, რომან მამრიკიშვილი აღნიშნულ პერიოდს მის მოღვაწეობაში უარყოფითად არ აფასებს და განმარტავს, რომ ნარკომანიის სამსახურის ხელმძღვანელობისას, წინამორბედებთან შედარებით, ყველაზე კარგი სტატისტიკური მონაცემები გააჩნდა. იგი წყალტუბოელი "ნარკობარონის" მალხაზ თალაკვაძის დაკავებითაც იწონებს თავს. მიუხედავად ამისა, მამრიკიშვილის მოღვაწეობის პერიოდი, არსებული სტატისტიკური მონაცემებისგან განსხვავებით, საზოგადოების თვალში კრიმინოგენული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით სულაც არ ხასიათდებოდა. თუმცა, ეს ადრე იყო. ქუთაისში ამჟამად არსებულ კრიმინალურ მდგომარეობას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასე ახასიათებენ: **"ქალაქში საკმაოდ რთული კრიმინოგენული ვითარებაა, ამჟამად გვაქვს ინფორმაცია, რომ ქალაქის ცენტრში მოქმედებს ქურდების მობილური ჯგუფები, რომლებიც დანაშაულს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ჩადიან. ასევე დამახინჯებულია არსებული სტატისტიკური მონაცემებიც. ოფიციალურად აღრიცხული დანაშაულის რაოდენობა რეალურად ჩადენილისგან დაახლოებით ათჯერ განსხვავდება. ეს არის კონკრეტული ნაკლოვანებები, რაზეც საზოგადოება თქვენგან მუშაობის გაუმჯობესებას მოითხოვს,"** - აცხადებს ორგანიზაცია "ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი მამუკა მღვდელაძე. პოლიციის უფროსი კი კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესებას პოლიციელთა სამუშაო პირობების გამოსწორებით აპირებს. ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პოლიციელებისთვის ოთხი თვის ხელფასია გაუცემელი. გაუქმებულია საგზაო პოლიციისა და საპატრულო-საგუშაგო სამსახურებიც. უბნის ინსპექტორებს ახალი წლიდან სამსახურიდან დათხოვნას უპირებენ. რომან მამრიკიშვილი დანაშაულის მატებას სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირებს და მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამოსწორების გზებს მხოლოდ საპატრულო პოლიციის გამოჩენის შემდეგ ხედავს. **"ქუთაისში არსებული კრიმინოგენული ვითარება ჩემთვის კარგადაა ცნობილი, ასე რომ, ახალ სამსახურში არ მოვსულვარ. საქმე ის არის, რომ შემცირებების გამო, ქალაქში პოლიციელების დეფიციტს განვიცდით. ამჟამად ქუთაისში პოლიციელს ძნელად თუ მოკრავთ თვალს. ამიტომაც ძალიან გვეჩქარება პატრულის შემოყვანა, იქნებ, როგორმე, ახალ წლამდე ჩამოვიყვანოთ, თორემ ვითარება კიდევ უფრო გართულდება. გვპირდებიან, რომ 25 დეკემბრიდან ქუთასში 15 საპატრულო მანქანა 24 საათის განმავლობაში იმოძრავებს, რასაც 40 ქვეითი პატრული დაემატება,"** - აცხადებს მამრიკიშვილი.

თბილისის მსგავსად, პატრულის გამოძახება ქუთაისშიც 022-ის საშუალებით იქნება შესაძლებელი.

მამრიკიშვილი ყველაზე პრობლემატურ დანაშაულად ნარკომანიას აღიარებს, ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად კი ჰეროინი და მარიხუანა მიაჩნია. ამჟამად ქუთაისის პოლიციის უფროსის ხელფასი 480 ლარს შეადგენს, რასაც სოროსის ფონდიდან 200-დოლარიანი დანამატიც ერთვის. ქუთაისის პოლიციის უფროსს აღნიშნული ხელფასი საკმარისად მიაჩნია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მამრიკიშვილი სულ ერთი კვირაა, რაც დაინიშნა, რის გამოც, ადგილობრივმა არასამთავრობო სექტორმა მას ვითარების გაუმჯობესების მიზნით თანამშრომლობა შესთავაზა. გაართმევს თუ არა თავს არსებულ მძიმე რეალობას ქალაქის პოლიციის ახალი ხელმძღვანელობა, ამას რამდენიმე თვეში შევიტყობთ.

# გირაოს სანაცვლოდ მიღებულ თავისუფლებაზე ლევან კენჭაძეს სასამართლომ უარი უთხრა

*უზენაესმა სასამართლომ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის, უშიშროების გენერალ-მაიორის ლევან კენჭაძის საქმის განხილვა დაიწყო. გუშინ, სასამართლო დარბაზში, განსასჯელმა გენერალ-მაიორმა პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნა მოისმინა. "თავს დამნაშავედ არ ვცნობ ბრალდების არც ერთ ნაწილში," - ასეთი განცხადება გააკეთა საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების ბოლოს გაძლიერებული ბადრაგის ქვეშ მყოფმა ლევან კენჭაძემ.*

თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ გენერალს გამოძიება ქვეყნის ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს – 15 ათას ლარს ედავება. მართალია, ლევან კენჭაძე დაკავებიდან ცოტა ხანში მზად იყო, სადავო თანხა გადაეხადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლებმა მისი დაუსაბუთებელი ქონების დაყადაღება დაიწყეს, ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე მან უარი განაცხადა. პროკურატურა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, დიდი რაოდენობით იარაღის უკანონო ჩამოწერაში ადანაშაულებს. გუშინ, კენჭაძის ინტერესების დამცველმა, გირაოს სახით, თანხის გადახდის სანაცვლოდ კენჭაძის გათავისუფლება მოითხოვა, რაც ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც სახელმწიფო ბრალმდებლისთვის, ასევე, სასამართლო კოლეგიისთვის.

**"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის გამოძიება უკვე დასრულებულია და ის ვერანაირად ვერ მოახდენს ზეწოლას გამოძიებაზე, მზად ვართ, გამოძიებისთვის სადავო 15 ათასი ლარი გირაოს სახით გადავიხადოთ,"** - ამ არგუმენტების მოშველიებით მოითხოვა კენჭაძის ადვოკატმა მისი პატიმრობიდან გათავისუფლება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა პაატა ჯაველიძემ ადვოკატის არგუმენტაციას საკუთარი უწყების პოზიცია დაუპირისპირა, რაც მოგვიანებით, სათათბირო ოთახში მსჯელობის შემდეგ, სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა.

**"ლევან კენჭაძე საკმაოდ მძიმე მუხლით, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებითაა დაკავებული, რომელიც თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით ითვალისწინებს. გათავისუფლების შემთხვევაში, მოწმეებზე მისი ზეწოლა გამორიცხული არ არის, ეს კი საქმის შესახებ ჭეშმარიტების დადგენას შეუშლის ხელს,"** - ასეთი გახლდათ პროკურატურისა და სასამართლოს პასუხი კენჭაძის ინტერესების დამცველის მოთხოვნაზე.

ერთი სიტყვით, ლევან კენჭაძე, მიუხედავად იმისა, რომ მზად არის, სადავო 15 ათას ლარზე მეტიც გადაიხადოს, მაინც პატიმრობაში რჩება. მისი საქმის სასამართლო გამოძიება მომდევნო პროცესზე მოწმეების დაკითხვით გაგრძელდება.

*24 საათი*

# აჭარის პროკურორის ყოფილი მოადგილე დააკავეს

ყოფილ აჭარელ მაღალჩინოსანთა დაპატიმრებები გრძელდება. ამჯერად სამართალდამცველთა ხელში აჭარის პროკურორის ყოფილი მოადგილე ილია დვალიშვილი აღმოჩნდა. იგი 15 დეკემბერს თბილისში დააკავეს.

როგორც გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ კახა მაჭავარიანმა განაცხადა, ილია დვალიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 332-ე მუხლით აღიძრა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებას გულისხმობს და 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მაჭავარიანის თქმით, საქმე ეხება აჭარის ზოგიერთი მაღალჩინოსნის მიერ თანხების უკანონოდ მითვისებას, რაშიც მათ ხელი ილია დვალიშვილმა შეუწყო. კერძოდ, საუბარია 2004 წლის ივლისის პერიოდზე, როდესაც აჭარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისთვის განკუთვნილი 36 ათასი დოლარის ოდენობის თანხა უნდა გადარიცხულიყო. გამოძიების მასალების თანახმად, თანხების მიტაცებასთან უშუალო კავშირი ჰქონდათ რამდენიმე დღის წინ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის დაკავებულ, აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს რევაზ შამილაშვილს და დეპუტატ თემურ მეგრელიშვილს. კერძოდ, მათი ერთობლივი უკანონო ქმედების შედეგად, დახმარებისთვის განკუთვნილი თანხები ერთ-ერთ კერძო მეწარმეს გადაერიცხა. გამოძიების მასალებით დგინდება, რომ მეგრელიშვილმა დვალიშვილისა და შამილაშვილის მიერ ბათუმის ბანკ "აბრეშუმის გზაში" შეტანილი საბიუჯეტო თანხები ერთ-ერთ მეწარმეს გადასცა, რომელმაც ეს ფული არამიზნობრივად მოიხმარა.

ამჟამად ილია დვალიშვილი თბილისში, წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება და გენერალური პროკურატურა სასამართლოს მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართავს.

*24 საათი*

# განახლებული ოთხმხრივი შეხვედრა ახალი რწმუნებულის მონაწილეობით

*ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, გალის რაიონის ქართულ სოფლებში უკიდურესად გამწვავებული კრიმინოგენული ვითარების შესახებ მსჯელობა ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრებზე, რომლებშიც ქართული და აფხაზური მხარეები, ასევე რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ოთხმხრივი შეხვედრების ხანგრძლივი დროით შეწყვეტის მიზეზი აფხაზი სეპარატისტების პროტესტი გახლდათ. მათ ტრადიციულ შეხვედრებში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი ქართველი მესაზღვრეების მიერ აფხაზეთისკენ მიმავალი თურქული გემისთვის ცეცხლის გახსნის შემდეგ განაცხადეს. შესაბამისად, მთელი ამ ხნის განმავლობაში პასუხგაუცემელი იყო ქართული მხარისთვის საინტერესო უამრავი კითხვა და პრეტენზია, რაც ბოლო პერიოდში კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში დაგროვდა.

თვეების განმავლობაში შეწყვეტილი ტრადიციული შეხვედრები ოთხივე მხარის მონაწილეობით გუშინ განახლდა. განახლებულ მოლაპარაკებას გუშინ პირველად ესწრებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ახალი რწმუნებული გიგი უგულავა.

გუშინდელ შეხვედრას წინ კვლავ აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაული უძღოდა. გუშინწინ, გვიან ღამით, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფელში, თაგილონში, სადაც აფხაზები თითქმის ყოველდღიურ ეგზეკუციებს ატარებენ, საკუთარ ეზოში კიდევ ერთი ქართველი გამოასალმეს სიცოცხლეს. ვახტანგ კვესელავას ოჯახს, ვინმე გენადი სონგულიას მეთაურობით, ხუთი აფხაზი მებაჟე დაესხა თავს. თავდამსხმელები ოჯახის წევრებს სასტიკად გაუსწორდნენ. ოჯახის უფროსი ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ჩაცხრილეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულსა და თავდასხმის ორგანიზატორს შორის რამდენიმე დღის წინ შელაპარაკება მოხდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სასტიკად მოკლული კვესელავა სოფელ თაგილონში სერგეი ბაგაფშის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო.

ქართველი სამართალდამცველები მკვლელობის მოტივს ვერ აკონკრეტებენ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აფხაზეთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის მოადგილე ბადრი დგებუაძე ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ვახტანგ კვესელავა გალის რაიონში აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატის, სერგეი ბაგაფშის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. თუმცა, დგებუაძის განცხადებით, კვესელავა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გალის რაიონის სოფელ თაგილონისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში.

ქართული მხარისთვის, ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მკვლელი ნამდვილად სონგულიაა. ქართული მხარის ინფორმაციითვე, ის დაკავებულია და აფხაზი სამართალდამცველები მომხდარის შესახებ უკვე აწარმოებენ გამოძიებას.

"დანაშაულს მხარეები ერთობლივად უნდა შევებრძოლოთ და ერთობლივად ალვკვეთოთ," - ასეთი მოთხოვნა წაუყენა სეპარატისტებს გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა გიგი უგულავამ. ახალ რწმუნებულს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, რეგულარულად მიიღებს თუ არა ოთხმხრივ შეხვედრებში მონაწილეობას, თუმცა გუშინდელი შეხვედრით კმაყოფილი დარჩა.

"უახლოეს მომავალში გალის რაიონში ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების ერთობლივი მოქმედების გეგმა შემუშავდება, რაც კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლას შეუწყობს ხელს," - აცხადებს უგულავა.

კონფლიქტის ზონაში უკიდურესად გამძაფრებული კრიმინოგენული ვითარების განხილვის შემდეგ, გუშინდელი ოთხმხრივი შეხვედრის თემა გალის რაიონის მოსახლეობისთვის მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდზე, ქართულ და აფხაზურ საგუშაგოებს შორის სამგზავრო ავტობუსების დანიშვნა იყო. საგუშაგოებს შორის მანძილი დაახლოებით 1,5 კილომეტრია, მაგრამ გალიდან ზუგდიდისკენ და ზუგდიდან გალისკენ მიმავალ ადამიანებს ამ მანძილის დაძლევა, მძიმე ტვირთების გამო, უჭირთ. სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, აფხაზური საბაჟოდან ქართულ საგუშაგომდე ავტობუსის დანიშვნა მხარეებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა შესთავაზა.

გიგი უგულავას წინადადება - სამგზავრო ავტობუსების დანიშვნა, რომელიც 20 თეთრზე მეტი არ ეღირება - დაკმაყოფილებულია. აფხაზურმა მხარემ რწმუნებულის მიერ წამოჭრილი საკითხი მნიშვნელოვნად ჩათვალა და მის შესრულებაზე თანხმობა განაცხადა.

# ასლან აბაშიძის თანამებრძოლი მოსკოვში გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა

ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი და ბათუმის ყოფილი ვიცე-მერი ჯამბულ ნინიძე მოსკოვში გაურკვეველ ვითარებაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რუსული ტელეკომპანია ენ-ტევეს მონაცემებით, 3 დეკემბერს აჭარის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის უახლოესი თანამებრძოლი ჯამბულ ნინიძე, აჭარის ასევე ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს უნდა შეხვედროდა, თუმცა დათქმულ ადგილას არ მივიდა. თავდაპირველად, მისი მობილური ტელეფონი არ პასუხობდა, შემდეგ კი გამოირთო. მეორე დღეს ნინიძის გაუჩინარების შესახებ მილიციას შეატყობინეს. სამართალდამცველებმა კუტუზოვის გამზირზე მდებარე ნინიძის ბინის კარი შეამტვრიეს, მაგრამ იქ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

ბათუმის ვიცე-მერის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, აჭარის ყოფილმა ლიდერმა ასლან აბაშიძემ მოსკოვში საქართველოს საელჩოს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.

ნინიძის დაკარგვის ფაქტზე მოსკოვის დასავლეთის ადმინისტრაციული ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველომ საქმე აღძრა. ამასთანავე, მილიციაში აცხადებენ, რომ "ნინიძის გატაცების პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნიათ."

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

მიმდინარე რეფორმებმა და ქვეყნის განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი კანონმდებლობის შექმნის საკითხი. მაგრამ ქვეყანაში მოვლენების ელვისებური სისწრაფით განვითარებამ თავისი ასახვა ჰპოვა პარლამენტის მუშაობაზე. კანონები ძალიან ხშირად სათანადო განხილვის და დებატების გარეშე მიიღება, რაც ბუნებრივია პირდაპირ აისახება მათ ხარისხზე. საზოგადოება მთლიანად მოწყვეტილია კანონშემოქმედებით პროცესს, რადგან ვერ ხერხდება კანონპროექტების გამოქვეყნება საჯარო განხილვებისათვის და დაინტერესებული მხარეები კანონის შესახებ მხოლოდ მისი მიღების შემდეგ იგებენ, როცა ლობირება უკვე მიღებულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და ზოგჯერ მიუღწეველი კამპანიაა. მდგომარეობას არაუკეთებს ის გარემოებაც, რომ კანონის გასაჩივრება შესაძლებლობა უფრო გართულებულია სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონი შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში და ისიც მხოლოდ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ქვეყანაში დღემდე არ არსებობს კანონშემოქმედებით პროცესებზე საზოგადოებრივი კონტროლის კომპლექსური და ეფექტიანი სისტემა.

ზემოაღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა შეიმუშავა პროექტი - "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში", რომლის მიზანია საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების საკანონმდებლო პროცესებში ჩართვის ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის საკანონმდებლო სიახლეებზე ინფორმაციის დროულად მიწოდება და საზოგადოებრივი ინტერესების ლობირება კანონშემოქმედებით საქმიანობაში. პროექტი ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, პარლამენტში შემოსული ყველა კანონპროექტი საგადასახადო (საბაჟო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის) სოციალური, თვითმმართველობის, კონსტიტუციური და სისხლის სამართლის სფეროებიდან, უმოკლეს ვადებში იქნება გამოთხოვილი, განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე: www.civilin.org/CSIG/lmG1.htm და ყოველ მათგანზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული იქნება ექსპერტული ანალიზი. საექსპერტო ანალიზი მიმოიხილავს იმ ცვლილებებს, რაც ამ კონკრეტულ საკანონმდებლო ინიციატივას შეაქვს სფეროში და იმ შედეგებს, რომლებიც დადგება მისი მიღებით (მდგომარეობის გაუარესება ან გაუმჯობესება). ასევე მოგაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ თუ: ვინაა კანონპროექტის ინიციატორი; განიხილავს რა სტადიაზეა კანონპროექტი (კომიტეტში განხილულია, რომელი მოსმენითაა მიღებული, კომიტეტში განხილულად ყოფნის შემთხვევაში რა ვადებშია დაგეგმილი კომიტეტის მიერ შენიშვნებისა და წინადადებების მიღება და პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი).

კანონპროექტებზე მომზადებული საექსპერტო ანალიზი გავრცელდება ინტერნეტით და გაზეთ "24 საათის" მეშვეობით. ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ჩვენი ელექტრონული ბიულეტენის მეშვეობით. დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org

დღეს გთავაზობთ კანონის პროექტს "საქართველოს კანონში ადვოკატთა შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" და კანონპროექტის ექსპერტულ ანალიზს. კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ქეთევან მახარაშვილი, ხოლო ექსპერტული ანალიზის ავტორია დამოუკიდებელი ექსპერტი ლევან ალაფიშვილი.

კანონპროექტი

# საქართველოს კანონი "საქართველოს კანონში ადვოკატთა შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

**მუხლი 1.** საქართველოს კანონში ადვოკატთა შესახებ (პარლამენტის უწყებანი, N22, 6.07.2001, მუხ. 78) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის 2-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში."

2. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 10.** მოთხოვნები ადვოკატისადმი

1. ადვოკატი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით (გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა);

გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის შრომის სტაჟი.

2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან ქმედუუნარობით დადგენილი წესით.

3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე და სხვა პირი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით ეკრძალება ადვოკატური საქმიანობა."

3. მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები ამოღებულ იქნეს;

4. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს დამოუკიდებლად ინდივიდუალურად ან სხვა ადვოკატებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა.შ.) ამხანაგობის ან სამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელშიც არანაკლებ 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული."

5. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ადვოკატთა ასოციაცია".

6. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**მუხლი 20.** ადვოკატთა ასოციაციის სტატუსი

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი".

2. ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.

3. ადვოკატთა ასოციაციის მიმართ არ გამოიყენება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი."

6. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**მუხლი 21.** ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირი განცხადებით მიმართავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში ამ კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე ან გაწევრიანებაზე უარის თქმის თაობაზე.

2. ასოციაციის თითოეულმა წევრმა ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემები:

ა) ადვოკატის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;

ბ) ადვოკატის საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართები, საკონტაქტო ტელეფონები;

გ) ადვოკატის სპეციალიზაცია, თუ მას ტესტირება აქვს გავლილი სპეციალიზაციის მიხედვით.

3. პირის ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძვლებია:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი

გ) მას შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ამ კანონის მე-21³ პირველი პუნქტის "ბ" და "ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს უარი ასოციაციაში გაწევრიანებაზე შეიძლება უარის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მონაცემებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიას წელიწადში ორჯერ აქვეყნებს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო."

7. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 21¹, 21², 21³ მუხლები:

"**მუხლი 21¹**. ადვოკატის ფიცი:

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის პირი ვალდებულია ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე დადოს შემდეგი ფიცი:

"ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!"

2. თუ პირი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, იგი ფიცის ნაცვლად წერს განცხადებას, რომლითაც ადასტურებს, რომ კეთილსინდისიერად დაიცავს ამ კანონით დადგენილ ადვოკატის უფლებებსა და მოვალეობებს.

3. ფიცის (განცხადების) ტექსტს ხელს აწერს პირი და იგი ინახება მის პირად საქმეში.

4. ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას."

**მუხლი 21².** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება

1. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში წევრობა შეუჩერდება 213 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გ) მე-10 მუხლის 3-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წევრობის შეჩერების შემთხვევაში ადვოკატი თავისუფლდება ადვოკატთა ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდისგან და ეკრძალება ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობა.

3. ადვოკატს წევრობა აღუდგება შესაბამისი განცხადების შეტანის ან ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ან მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების მოსპობის შემთხვევაში.

4. ყველა პირს, რომელსაც მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით არ შეუძლია გახდეს ადვოკატი და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნებს უფლება აქვს მიმართოს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს გაწევრიანების თაობაზე, ასეთ პირს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდება წევრობა.

**მუხლი 21³**. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

1. ადვოკატს შეუწყდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) თუ სასამართლომ ცნო შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის;

ე) თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით მის მიმართ გამოყენებული იქნა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება;

ვ) თუ ცნობილი გახდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-10 მუხლის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რისი დროულად აღმოჩენა გამოიწვევდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში მის გაწევრიანებაზე უარის თქმას;

ზ) თუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილი წესით არ იხდის საწევრო გადასახადს;

თ) გარდაცვალების შემთხვევაში.

2. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ", "ვ" და "ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო "ა", "გ", "დ", "ე" და "თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს იღებს ცნობად.

3. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ადვოკატს პირადად ან იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ", "ვ" და "ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ."

8. 24-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. "

ბ) მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"თ) ისმენს ასოციაციის, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ".

გ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

9. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**მუხლი 25**. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების შესაბამისად".

10. 26-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. აღმასრულებელი საბჭო შედგება 9 წევრისაგან, რომელთაგან 8-ს ირჩევს საერთო კრება 3 წლის ვადით".

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში".

ბ) მე-4 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით, ორგანიზება გაუწიოს საქართველოს ასოციაციის წევრთა სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას.

ბ) კოორდინაცია გაუწიოს ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; განსაზღვროს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების თარიღი, ორგანიზაციულად უზრუნველყოს ტესტირების მომზადება და ჩატარება".

გ) მე-4 პუნქტს ჩაემატოს "ე" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით და შემდგომი ქვეპუნქტები შესაბამისად შეიცვალოს და დასახელდეს ანბანური თანმიმდევრობით.:

"ე. დაამტკიცოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანაზღაურების ოდენობა."

დ) ამოღებულ იქნეს მე-5 პუნქტი.

11. 27-ე მუხლის პირველი და 3-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 3 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

3. ასოციაციის თავმჯდომარე ანაზღაურებას იღებს მხოლოდ საწევრო შენატანებიდან და ამ პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება."

12. 28-ე მუხლის

ა) პირველი და 2-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ეთიკის კომისია შედგება 9 წევრისაგან, რომელთაც 3 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება.

2. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე".

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებული იქნეს.

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე".

13. 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ." ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ქონდა ასოციაციის წევრობა."

14. 31-ე მუხლის "ბ" და "დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) ასოციაციის წევრობის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში;

დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან გამოყვანის შემთხვევაში;".

15. 34-ე მუხლის

ა) 1- პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ".

ბ) მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა".

16. 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

" 5. ადვოკატის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვთ: საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს."

17. 40-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებამდე ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისია."

18. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**მუხლი 41.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება ასოციაციის შექმნამდე

"1. ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს".

"2. ტესტირებაგავლილ პირთა სიას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო".

20. 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი ორი ტესტირების ჩატარების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2005 წლის 1 მარტისა მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. ასოციაციის დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც:

ა) წერილობით გამოთქვამს სურვილს გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში და შესაბამისად წარადგენს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არაუგვიანეს 2005 წლის 31 იანვრისა;

ბ) აკმაყოფილებს ამ კანონის 10-ე მუხლის მოთხოვნებს.

2. შემოსული განცხადებების საფუძველზე 2005 წლის 15 თებერვლამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს და აქვეყნებს დამფუძნებელი კრების მონაწილეობაზე უფლებამოსილ პირთა სიას. განმცხადებელმა, რომელიც არ იქნება შეყვანილი კრებაში მონაწილეთა სიაში, უფლებამოსილია გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.

3. დამფუძნებელი კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება კრებაში მონაწილეობაზე უფლებამოსილ პირთა ნახევარზე მეტი. დამფუძნებელ კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით".

4. ასოციაციის დამფუძნებელ კრებას ხსნის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დამფუძნებელ კრებას თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება დამსწრე მონაწილეთა უხუცესი წევრი.

5. უხუცესი წევრი კითხულობს ადვოკატის ფიცს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამსწრე წევრები წარმოთქვამენ "ვფიცავ" და ხელს აწერენ ფიცის ტექსტს.

6. დამფუძნებელი კრება ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დამფუძნებელ კრებაზე ასარჩევი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების წევრობის დასახელებული კანდიდატურების შეტანას ბიულეტენებში და საერთო კრების წევრთათვის დარიგებას.

7. დამფუძნებელი კრების ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლება დაასახელოს ასოციაციის თავმჯდომარეობის, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის, ეთიკის კომისიის წევრობის, სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატურები.

8. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელებული იქნეს როგორც აღმასრულებელი საბჭოს, ისე ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატად.

9. ასარჩევ ორგანოში დასახელებული ყოველი კანდიდატი საჯაროდ აცხადებს თავის თანხმობას საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე. თუ რომელიმე პირი დასახელებული იქნება ერთდროულად ორი ან სამივე ორგანოს წევრობის კანდიდატად, მაშინ იგი განაცხადებს საკუთარ სურვილს და თანხმობას მხოლოდ ერთი ორგანოს წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე და, შესაბამისად საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე მისი კანდიდატურა შეიტანება მხოლოდ ერთ ბიულეტენში.

10. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობას, ამასთან ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს როგორც აღმასრულებელი საბჭოს, ისე, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრი.

11. ხმის დამთვლელი კომისია ჩატარებული არჩევნების შედეგებს აფორმებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. საბოლოო შედეგებს საერთო კრებაზე აცხადებს ხმის დამთვლელი კომისიის თამჯდომარე".

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ექსპერტიზა

# შეიძლება თუ არა საჯარო მოხელე იყოს ადვოკატი?

ლევან ალაფიშვილი
ექსპერტი

ადამიანის უფლებათა დაცვა და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უმთავრესი ამოცანაა. ერთ-ერთი პრიორიტეტი ამ საქმეში გახლავთ ჯეროვანი და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

მართალია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში გატარებულ იქნა რიგი ღონისძიებებისა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. უმნიშვნელოვანესია იმ ინსტიტუტის ფორმირება, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანის უფლებათა ჯეროვანი დაცვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ 2000 წელს "ადვოკატთა შესახებ" კანონის მიღება, რომლითაც სისტემატიზებულად გახლავთ ჩამოყალიბებული ადვოკატის სტატუსი, ადვოკატურის სტრუქტურა და მოქალაქეთა გარანტიები კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა ადვოკატთა 2 ტესტირება, სამწუხაროდ ამ კანონის ამოქმედება ვერ მოხერხდა დღემდე.

დღეისათვის კი საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარებს მსჯელობა "ადვოკატა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საკითხზე. შემოთავაზებული კანონპროექტით გამარტივებულია ადვოკატის სტატუსის მოპოვების პროცედურა, აგრეთვე გამარტივებულია ადვოკატთა გაერთიანების სტრუქტურა. მოკლედ რომ აღინიშნოს, კანონპროექტის კონცეფცია დადებითი და მისაღებია.

მიუხედავად დადებითი მხარეებისა, კანონპროექტში ახლებურად გასააზრებელია რიგი საკითხებისა, აგრეთვე აღმოსაფხვრელია ხარვეზები. კერძოდ:

პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტი გვთავაზობს, რომ ადვოკატი არის პირი, რომელიც გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში (კანონპროექტის პირველი მუხლი, პირველი პუნქტი). იგივე კანონპროექტის მიხედვით, კანონში დამატების სახით შესატან 211.4. მუხლში კი აღნიშნულია, რომ პირი ადვოკატის სტატუსს იძენს საადვოკატო ფიცის დადების ან განცხადების დაწერის შემდგომ. ვფიქრობთ, წინააღმდეგობა სახეზეა, რის გამოც მიგვაჩნია, რომ კანონმა ადვოკატის შემდეგი განმარტება უნდა ჩამოაყალიბოს: "ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და დადებული აქვს ადვოკატის ფიცი, ან დაწერილი აქვს განცხადება ამ კანონით დადგენილი ადვოკატის უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად დაცვის შესახებ".

მოქმედი კანონი (მუხლი 10) აყალიბებს და კანონპროექტი ძალაში ტოვებს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ადვოკატად გახდომისათვის პირს უნდა ჰქონდეს "იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის შრომის სტაჟი". მიგვაჩნია, რომ ამ მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა "შრომის" რადგანაც თუნდაც საწყის ეტაპზე ამ ფორმულირებით კანონის არსებობა შექმნის პრობლემებს, კერძოდ, როგორც მოგეხსენებათ, დღემდე ადვოკატთა დიდი ნაწილი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს რწმუნებულებების მეშვეობით (ისე, რომ არ აქვს ჩამოყალიბებული საადვოკატო ბიურო ან ფირმა), შესაბამისად შეუძლებელი იქნება დოკუმენტალურად 1 წლიანი შრომითი სტაჟის ქონის დადასტურება.

შემოთავაზებულ კანონპროექტს შემოაქვს შეზღუდვა - ადვოკატი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე. ეს კონცეფცია ყველა საჯარო მოხელესთან მიმართებაში გაუმართლებლად მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით. მოგეხსენებათ, საჯარო დაწესებულებებში არსებობს იურიდიული განყოფილებები, რომლებიც აწარმოებენ ამ დაწესებულებათა ინტერესების დაცვასა და წარმოდგენას სასამართლო თუ სხვა დაწესებულებებში. თუკი გავითვალისწინებთ აღნიშნულს, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს (სასამართლო ინსტანციებში წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების შეზღუდვის შესახებ) მაშინ გამოდის, რომ საჯარო დაწესებულებები ვალდებული იქნებიან ნებისმიერი დავის შემთხვევაში დაიქირაონ ადვოკატი, რაც გაზრდის საბიუჯეტო ხარჯებს და პრაქტიკულად დაიკარგება ამ დაწესებულებებში იურიდიული განყოფილების არსებობის საჭიროება. მიგვაჩნია, რომ საჯარო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ მიცემული საშუალება, გააკეთონ არჩევანი: დაიქირაონ ადვოკატი ან საქმე აწარმოონ უშუალოდ მათივე თანამშრომლებმა. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზაშეწონილად მიგვაჩნია, რომ იმ მუხლში, სადაც აღნიშნული შეზღუდვა წესდება (მე-10.3. მუხლი) სიტყვის "საჯარო მოხელე", შემდეგ დაემატოს "(გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საჯარო დაწესებულებაში უკავიათ იურისტის თანამდებობა; იურიდიული განყოფილების (დეპარტამენტის, სამსახურის, სამმართველოს ან სხვა) სპეციალისტის თანამდებობა, ან სპეციალისტის თანამდებობა და ევალებათ საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცვა სასამართლო და სხვა დაწესებულებების წინაშე)". გარდა ამისა, თუკი გაზიარებული იქნება ეს კონცეფცია, შესაბამისი ცვლილებები იქნება შესატანი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

განსახილველი ცვლილების პროექტით და მოქმედი კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებით, ადვოკატს შეუძლია საადვოკატო საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად და იურიდიული პირის შეუქმნელად აწარმოოს საქმიანობა, ან ასეთი საქმიანობა აწარმოოს მხოლოდ სხვა ადვოკატებთან ერთად - ამხანაგობის ხელშეკრულებით ან სამეწარმეო იურიდიული პირის შექმნით (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან კომანდიტური საზოგადოება). მიგვაჩნია, რომ სიტყვები "ან სხვა ადვოკატებთან ერთად" მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით "ან სხვა პირებთან ერთად". რადგანაც, ადვოკატს უნდა დარჩეს არჩევანის შესაძლებლობა: მან საქმიანობა აწარმოოს დამოუკიდებლად; საქმიანობა აწარმოოს სხვა ადვოკატებთან ერთად ან საქმიანობა აწარმოოს არა ადვოკატებთან ერთად. მიგვაჩია, რომ ამ შესაძლებლობის მიცემა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადვოკატთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას თუნდაც საწყის ეტაპზე. მოგეხსენებათ, რომ დღეს ადვოკატთა დიდი ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არის ჯეროვანი, არ აქვთ ელემენტარული ბაზა კლიენტის მიღებისათვის, საოფისე მუშაობისათვის, დოკუმენტების მომზადებისათვის თუ სხვა.

კანონპროექტი ასევე აყალიბებს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძვლებს. ვთვლით, რომ აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ გარემოებებს, რის გამოც პირს შეიძლება უარი ეთქვას ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე, უნდა დაემატოს განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობა (მოქმედი კანონის მე-10 მუხლი, მე-2 პუნქტი), ვინაიდან ეს გარემოება მიჩნეულია იმ პირობად, რომლის გამოც პირი ვერ გახდება ადვოკატი.

ასევე შესაცვლელია კანონპროექტის ის მუხლები, რომლებიც ეხება ადვოკატისათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების პირობებსა და წესს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ადვოკატთა ასციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში პირს არ უნდა შეეძლოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაც და ამის შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კანონში: "პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის წარმოება"

კანონპროექტის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებამდე ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისია. ვფიქრობთ, დასაზუსტებელია ამ პუნქტში მითითებული ტერმინი "ამოქმედებამდე"; ნიშნავს თუ არა იგი მხოლოდ ასოციაციის შექმნის (ფაქტის) შემდგომ პერიოდს, თუ იგულისხმება, რომ შესაძლებელია ასოციაციის შექმნის შემდგომ, თუკი ამ უკანასკნელმა ვთქვათ 1 წლის განმავლობაში ვერ ჩაატარა ტესტირება, მაშინ ტესტირების ჩატარება შეეძლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნებოდა ამავე პუნქტში აღნიშნულიყო: "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია შექმნიდან 6 თვის ვადაში (ან 2006 წლის 1 ივნისამდე) უზრუნველყოფს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას."

მომზადებულ კანონპროექტს გააჩნია ასევე რამდენიმე ტექნიკური ხარვეზიც, რომელთა გამოსწორების შემდეგ შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ განსახლველად შემოთავაზებული კანონპროექტი მისაღებია და მისი სრულყოფისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მოსაზრებები. კანონპროექტის დროულად მიღება და ადვოკატთა ასოციაციის უახლოეს მომავალში შექმნა სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა და ეს ხელს შეუწყობს ადვოკატთა კორპორაციული ერთობის შექმნას, ერთიანი ეთიკური ნორმების შექმნა-დამკვიდრებას და საბოლოო ჯამში ადამიანის უფლებათა კვალიფიციურად დაცვას.

ექსპერტულ ანალიზში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პოზიციას.

## სამაგიდო წიგნები საწოლის ქვეშ



B2

## ლევან კობიაშვილი: "შალკე" გერმანიის საუკეთესო კლუბია"



B4

## ოქროს გლობუსი ჰოლივუდს სიცხეს უზომავს



B8

# დავით აღმაშენებელი და ყაზახეთი

ნინო გომართელი



ყაზახეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის 13 წლისთავი გუშინ საზეიმოდ აღინიშნა თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ცნობილ სარკეებიან დარბაზში. მიღებას, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური ელიტის თითქმის სრული შემადგელობა და ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რესპუბლიკის დროებითი რწმუნებული საქართველოში **ნაურიზ აიდაროვი** მასპინძლობდა. რწმუნებულმა დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის 13-წლიან ისტორიაზე, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ წინსვლაზე ისაუბრა. ორი ქვეყნის ჰიმნების აჟღერების შემდეგ კი საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, "დინამიკურად განვითარებად" ურთიერთთანამშრომლობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე ილაპარაკა.

**"ორი სიტყვით ვერ მოყვები იმას, რაც დამოუკიდებლობიდან 13 წლის განმავლობაში მოხდა. 1991 წელს, ჩვენ ძალიან მძიმე გეოგრაფიული მემკვიდრეობა მივიღეთ, ვინაიდან ისეთი მეზობლები გვყავდა, როგორიცაა დიდი ჩინეთი და რუსეთი. ძალიან რთული იყო იმის მიღწევა, რაც დღეს ჩვენს რესპუბლიკას გააჩნია. თუნდაც იმის აღნიშვნაც საკმარისი იქნება, რომ მრავალეროვნულ ყაზახეთის რესპუბლიკაში არც ერთხელ არ შექმნილა კონფლიქტური ვითარება. 13 წელი ძალზედ მოკლე პერიოდია, მაგრამ ჩვენ შევძელით მიგვეღწია წარმატებებისთვის პოლიტიკური სტაბილურობის, სოციალური მდგომარეობის და სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით. ჩვენ შევძელით, რომ დღეს ყველაფერი კარგად ყოფილიყო და გვეამაყა საკუთარი დამოუკიდებლობით"** - განაცხადა ნაურიზ აიდაროვმა.

მისივე თქმით, საქართველოსა და ყაზახეთს შორის თანამშრომლობა ათას წელს ითვლის და სათავეს იღებს მეფე დავით აღმაშენებლის და ყაზახების ეთნიკური წინაპრების - ყივჩაღების ურთიერთობიდან.

ორი ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, ყაზახეთის დროებით რწმუნებულს საქართველოში, აუცილებლად მიაჩნია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ყივჩაღების სახელის დარქმევა.

# ყაზახეთის დამოუკიდებლობის დღე

ნინო გომართელი



*ყაზახეთის რესპუბლიკა 16 დეკემბერს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. სწორედ ამ დღეს, 1991 წელს, ყაზახეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, მიიღეს კანონი რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ. ამ წლების განმავლობაში რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია სახელმწიფოს მშენებლობაში და დამსახურებული ადგილი დაიკავა საერთაშორისო არენაზე. საქართველოსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობებსა და თანამშრომლობის სფეროებზე გვესაუბრება საქართველოს ელჩი ყაზახეთში ზურაბ შურღაია.*

**- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როდის დაიწყო საქართველოსა და ყაზახეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობა?**

- ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობამ სათავე 1992 წლიდან აიღო. ამავე წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო ყაზახეთში და ამ პერიოდიდან იწყება დამოუკიდებელი, ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობები.

**- რა იყო ამ პერიოდში საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობებში პრიორიტეტული?**

- მაშინაც, ისევე როგორც დღეს იდგა საკითხი, რომ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებულიყო პირველ რიგში სავაჭროეკონომიკური ურთიერთობები. ორივე ქვეყნის პრიორიტეტი იყო საერთაშორისო არენაზე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების გამოსვლა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება, მსოფლიო ზოგად ფასეულობებში საკუთარი წვლილის შეტანა. მაგრამ, 1992 წელს ყაზახეთსაც რთული პერიოდი ჰქონდა, ქვეყნის ჩამოყალიბების და დამოუკიდებლობის განმტკიცების მხრივ. მათთვის პრიორიტეტული საკითხი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ეკონომიკის სხვა პრინციპებზე გადაყვანა და ახალი ელემენტების შეტანა. ამ მხრივ მუშაობას ყაზახეთის რესპუბლიკა დღესაც განაგრძობს.

**- დღეს რა სფეროებში თანამშრომლობენ საქართველო და ყაზახეთი?**

- პირველ რიგში, ეს არის ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თუმცა, მაინც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ჩვენთვის არადამაკმაყოფილებელია ის ბალანსი, რომელიც არსებობს ყაზახეთსა და საქართველოს შორის, რადგან არის რესურსების დიდი ოდენობა, რომელიც ჯერჯერობით არ არის გამოყენებული. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთში ძალიან დიდი დაინტერესება იგრძნობა საქართველოს მიმართ, რაც უპირველესად ბოლო დროს მომხდარი ცვლილებებით არის გამოწვეული. ამ მოვლენებმა სერიოზული როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახლად ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

მნიშვნელოვანი იყო უშუალოდ პირადი ურთიერთობა და შეხვედრა, რომელიც აქ შედგა ალმაატის სამიტის ფარგლებში პრეზიდენტებს, მიხეილ სააკაშვილსა და ნურსულთან ნაზარბაევს შორის. ეს განწყობა დღევანდელ ურთიერთობებს ლეიტმოტივად გასდევს და ყაზახეთის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება კასპიის ზღვის და კავკასიის მხარეს გააქტიურდა. ორ სახელმწიფოს შორის არსებობს კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ აქ არის სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინტერესთა თანხვედრა. ყაზახეთის რესპუბლიკისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევრაზიული სატრანსპორტო კორიდორის ამოქმედება, რაც სრულად ეწერება ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებშიც. ყაზახეთის მხარეს, მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთები გროვდება და ეს არის არა მხოლოდ ნავთობპროდუქტები. შესაბამისად, ყაზახეთს ამ სფეროს გასავითარებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი აქვს, პირველ რიგში კი რკინიგზის მშენებლობა, რომელიც სამ ქვეყანაზე გადის: უზბეკეთი, ყაზახეთი და შემდეგ ჩინეთი. ყაზახეთის რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე იწყებს მშენებლობას, რომელიც აქაური პორტით, დაუკავშირდება ბაქოს და შესაბამისად ფოთის პორტს. ეს ყველაფერი გულისხმობს ტრანსევრაზიული, ტრანსკონტინენტალური სატრანსპორტო არეალის შექმნას. აღნიშნული საკითხი ჩვენს ინტერესებსაც მოიცავს, რათა რაც შეიძლება მეტმა ტვირთმა გაიაროს საქართველოზე. ამასთან, აქ მოიაზრება ისიც, რომ პერსპექტივაში ჩინეთთან ტვირთბრუნვა ძალიან დიდია, შესაბამისად კი ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ იმ ტვირთების გარკვეული რაოდენობის მიტანა ევროპული თუ სხვა ბაზრისაკენ, საქართველოს გავლით განხორციელდეს. ამასთან ერთად, როდესაც ორი ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართა, დაინტერესება გამოითქვა საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესებში ყაზახეთის კომპანიების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის თაობაზე. დიდია ინტერესი საქართველოში მიმდინარე საინვესტიციო პროგრამებში ყაზახების მონაწილეობის კუთხითაც, რაც მოიცავს როგორც სატრანსპორტო არეალს, ასევე ტურიზმის სფეროსაც. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ყაზახეთის მხარემ უკვე აქტიურად დაიწყო მუშაობა.

**- ორ ქვეყანას შორის თუ არის კულტურის სფეროში თანამშრომლობის საწყისი და პერსპექტივები?**

- კულტურის სფეროში თანამშრომლობა არ არის იმ დონეზე, რომ ხაზგასასმელი იყოს, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართული კულტურა და სიმღერა აქ ძალზედ პოპულარული იყო, რისი ნოსტალგიაც დღეს ნამდვილად არსებობს. ვფიქრობ, ჩვენ ყველამ და, პირველ რიგში, ყაზახეთში საქართველოს საელჩომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართული კულტურის დღევანდელი სახე აქ სათანადოდ იქნეს წარმოდგენილი.

**- და ბოლოს, საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების, იგივე "ვარდების რევოლუციის" შემდგომ, როგორია ჩვენი ქვეყნისადმი ყაზახეთის რესპუბლიკის მოსახლეობის თუ სამთავრობო სტრუქტურების დამოკიდებულება?**

- ყაზახეთის რესპუბლიკის მოსახლეობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ საბოლოო შეფასების კრიტერიუმი იქნება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში მიღწეული ის წარმატებები და მუშაობის შედეგები, რაც ქვეყანამ ცვლილებების შემდეგ აუცილებლად უნდა მიიღოს. საზოგადოება თავის შეფასებას, შედეგების შესაბამისად გააკეთებს.

რაც შეეხება სამთავრობო სტრუქტურებს, ჩემი პირადი შთაბეჭდილებებით გეტყვით, რომ იქ მთლიანობაში, საქართველოს მიმართ ძალიან დიდი კეთილგანწყობა იგრძნობა.

მე პირადად ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ მქონდა შეხვედრა ყაზახეთის პრეზიდენტთან ნურსულთან ნაზარბაევთან, სადაც მან ერთმინშვნელოვნად აღნიშნა და ხაზი გაუსვა ინტერესს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობის და ქვეყნის მიმართ. ყაზახეთის პრეზიდენტი ყოველთვის მზადყოფნას გამოთქვამს საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მეგობარ სახელმწიფოს.

# ყაზახეთი ციფრებით და ფაქტებით



**ადგილმდებარეობა:** ცენტრალური აზია, ჩინეთის ჩრდილოდასავლეთით.

**საერთო ფართობი:** 2.717.300 კვ.კმ.

**ხმელეთი:** 2.669.800 კვ.კმ

**წყალი:** 47.500 კვ.კმ.

**საზღვრები:** 12.012 კმ.

**მოსაზღვრე ქვეყნები:** ჩინეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი.

**კლიმატი:** კონტინენტური, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით; ჰავა მშრალი და ნახევრად მშრალი.

**უმაღლესი წერტილი:** ხან ტანგირი შინგი 6.995 მ.

**უდაბლესი წერტილი:** კაუნდის დაბლობი - 132 მ.

**ბუნებრივი რესურსები:** ბენზინი, ბუნებრივი აირი, ნახშირი, მარგანეცი, ნიკელი, კობალტი, სპილენძი, ოქრო, ურანი.

**ბუნებრივი საფრთხე:** მიწისძვრები სამხრეთით, მეწყერი ალმაატის მიდამოებში.

**მოსახლეობა:** 15.143.704 (2004 წ. ივლისის მონაცემი).

**მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი:** 0.26 პროცენტი (2004 წ.).

**შიდსი/აივ ვირუსით ცხოვრობს:** 6 ათასი ადამიანი (2001 წ.).

**ეთნიკური ჯგუფები:** ყაზახები 53.4 პროცენტი; რუსები 30 პროცენტი; უკრაინელები 3.7 პროცენტი, უზბეკები 2.5 პროცენტი, გერმანელები 2.4 პროცენტი, უიგურები 1.4 პროცენტი. სხვა 6.6 პროცენტი.

**რელიგია:** მუსლიმები 47 პროცენტი. რუსული მართმლადიდებლები 44 პროცენტი. პროტესტანტები 2 პროცენტი. სხვა 7 პროცენტი.

**ენა:** ყაზახური 64.4 პროცენტი. რუსული (ოფიციალური, გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში) 95 პროცენტი (2001 წ. მაჩვენებელი).

**სახელმწიფოს ტიპი:** რესპუბლიკა

**დედაქალაქი:** ასტანა. მთავრობა ალმაატადან ასტანაში 1998 წლის დეკემბერში გადავიდა.

**დამოუკიდებლობა:** 1991 წლის 16 დეკემბერი.

**ეროვნული დღესასწაული:** რესპუბლიკის დღე, 25 დეკემბერი (1990 წ.).

**კონსტიტუცია:** მიღებულია 1995 წლის 30 აგვისტოს ეროვნულ რეფერენდუმში. დამოუკიდებლობის ხანის პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1993 წლის 28 იანვარს.

**აღმასრულებელი ხელისუფლება:** სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი. მთავრობის ხელმძღვანელი - პრემიერ-მინისტრი დანიალ ახმეტოვი. კაბინეტი - მინისტრთა საბჭო, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს.

**საკანონმდებლო ხელისუფლება:** ორთემიანი პარლამენტი შედგება სენატისგან და მაჯილისგან.

**სასამართლო ხელისუფლება:** უზენაესი სასამართლო (44 წევრი); საკონსტიტუციო საბჭო (7 წევრი).

**საერთო საშინაო პროდუქტი - ზრდის მაჩვენებელი:** 9.2 პროცენტი (2004 წ.)

**მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვევით:** 26 პროცენტი (2001 წ.).

**შრომისუნარიანი მუშა-ხელი:** 7.634 მილიონი (2004 წ.).

**უმუშევრობის მაჩვენებელი:** 8.8 პროცენტი (2004 წ.).

**ბიუჯეტი:** შემოსავალი - 6.729 მილიარდი; გასავალი - 6.999 მილიარდი.

**ინდუსტრია:** ნავთობის, ნახშირის, მარგანეცის, სპილენძის, ოქროსი, ვერცხლის...

**ელექტროენერგიის წარმოება:** 52.43 მილიარდი კ/ვატი (2001 წ.).

**პარტნიორები ექსპორტში:** ბერმუდა 17 პროცენტი, რუსეთი 15.2 პროცენტი, შვეიცარია 13 პროცენტი, ჩინეთი 12.8 პროცენტი, იტალია 7.8 პროცენტი (2003 წ.).

**პარტნიორები იმპორტში:** რუსეთი 39 პროცენტი, გერმანია 8.7 პროცენტი, ჩინეთი 6.2 პროცენტი, აშშ 5.6 პროცენტი.

**საგარეო ვალი:** 24.45 მილიარდი (2004 წ.)

**ეროვნული ვალუტა:** ტენგე.

**ტელეფონების ძირითადი ქსელი:** 2.081.900 (2002 წ.).

**მობილური ტელეფონები:** 1.027 მილიონი (2002 წ.)

**სატელევიზიო სადგურები:** 12 (1998 წ.)

**ქვეყნის კოდი ინტერნეტში:** kz

**სარკინიგზო ხაზი:** 13.601 კმ.

**გზატკეცილები:** 81.331 კმ.

**სამხედრო დანაყოფები:** სახმელეთო ჯარები, საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები, საზღვაო ფლოტი, რესპუბლიკური დაცვა.

**დანახარჯი სამხედრო სფეროში:** 221.8 მილიონი (თავდაცვის სამინისტრო ხარჯების)






## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
ახალი სახელები
დას: 13:00; 18:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საორღანო მუსიკის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პიტერ შაფერი
"ა.ს.ა"
(ანტი-სულიერების-ამფეთქებლები)
რეჟისორი: ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
პრემიერა
კახა ბაკურაძე
"ლაბირინთი"
რეჟისორი: კახა ბაკურაძე
ფასი: 3-დან 7 ლარამდე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ

## კინოთეატრები

**გოეთეს ინსტიტუტი**
ვერნერ ჰერცოგის ფილმების ჩვენება
ვერნერ (1987 წ.)
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 13:00; 18:00 სთ.

"ალექსანდრე"
დას: 15:00; 22:00 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 14:00; 16:00; 18:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა-ფოტოკონკურსი "ქოლგა 2004"

**ვერნისაჟი**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"

**ძველი გალერეა**
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

## კლუბები

**"აჭარა მიუზიქ ჰოლი"**
დი ჯეი ნათან კოულსი (ლონდონი)
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# სამაგიდო წიგნები საწოლის ქვეშ

## ძნელად დასაყოლიებელი მწერლის მონოლოგი

ვერა ნეფარიძე

*"24 საათის" მკითხველი უკვე მიეჩვია, რომ ხუთშაბათი წიგნის დღეა. წიგნის დღეა "წიგნის სახლის" იმ აუდიტორიისთვისაც, ვინც ყოველ ხუთშაბათს მთხრობელის მიხედვით იცვლება. გუშინდელი საზოგადოებაც რაღაცით გამორჩეული სწორედ იმიტომ გახლდათ, რომ "ჩემი სამაგიდო წიგნების" შესახებ აკა მორჩილაძეს უნდა მოეთხრო.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

რაღაცით გამორჩეული, რასაკვირველია, არ გულისხმობს არც კარგსა და, მით უმეტეს, არც ცუდს. უბრალოდ, შესვლისთანავე თვალშისაცემი იყო, რომ აუდიტორია განსხვავებული შეკრებილიყო, არათინეიჯერული. ყველა მათგანი არა უბრალოდ "სამაგიდო წიგნების", უფრო აკა მორჩილაძის სამაგიდო წიგნების გასაცნობად მოსულიყო.

"ბევრი ვეცადე თუ ცოტა ვეცადე... უფრო სწორად, ბევრი ვეცადე და, საბედნიეროდ, დავიყოლიე", - "წიგნის სახლის" ხუთშაბათობების მუდმივმა მასპინძელმა თავიდანვე გაგვიმხილა პოპულარული ახალგაზრდა მწერლის ერთი თვისება - აკას არ უყვარს საჯარო გამოსვლები. თუმცა, არა მგონია, გუშინდელი გამონაკლისი პრინციპების ღალატში ჩავუთვალოთ მწერალს. აქვე ზაალ სამადაშვილმა მცირე ანონსის სახით ისიც გვაცნობა, რომ მკითხველი მალე მიიღებს (როგორც ვიცი, პრეზენტაცია დღეისთვისაა დაგეგმილი) აკას "მესამე მადათოვს", რომელსაც "ვეშაპი მადათოვზე" ჰქვია.

მწერალმა, რომელსაც საჯარო გამოსვლები არ უყვარს, გუშინდელი მონოლოგი მეტად საინტერესო ფრაზით დაიწყო: "სამაგიდო წიგნები არ მაქვს, იმიტომ რომ არ მაქვს მაგიდა. წიგნებს საწოლის ქვეშ ვყრი". ასე რომ, გუშინდელი საუბარი აკა მორჩილაძის საწოლის ქვეშ მოქცეულ წიგნებს შეეხო. სამაგიდო წიგნებში ხომ იგულისხმება ის ლიტერატურა, რამაც ჩვენზე, ჩვენს განვითარებაზე, ცხოვრებაზე იქონია ზეგავლენა.

საუბრის დასაწყისში აკა მორჩილაძის კიდევ ერთ თვისებას გავეცანით. ეს ამჯერად მწერალმა გაგვიმხილა. კითხვა სანთლის შუქზე - "ელექტროშუქზე ვერ ვკითხულობ", - აკა მორჩილაძის გამომუშავებული ჩვევაა. თუმცა, გუშინ მწერალი ძირითადად იმ წიგნებზე საუბრობდა, რაც ამ ჩვევის გამომუშავებამდე წაუკითხავს. "ახლა ბევრად მექანიკურად ვკითხულობ. აღარ ვსწავლობ, იმიტომ, რომ სასწავლი ბევრი არაფერია იმაში, რასაც ახლა ვკითხულობ. უბრალოდ, მაქვს წიგნები, რომლებმაც ჩემზე გავლენა მოახდინეს", - პირველი ასეთი წიგნი, რომელსაც გიო ახვლედიანის ვერც მაგიდაზე (რომელიც არა აქვს) და, ალბათ, ვერც საწოლის ქვეშ ვერ აღმოაჩენთ, "ბიძია თომას ქოხია". ვერ აღმოაჩენთ, რადგან ამ წიგნს მწერალი ბავშვობის შემდეგ არც მიბრუნებია. შინაარსი არც მახსოვსო, - გვითხრა კიდეც. თუმცა, პირველი წიგნი სწორედ ისაა და უსამართლობისადმი ჩამოყალიბებულ საკუთარ დამოკიდებულებასაც ამ ნაწარმოებს მიაწერს. ბავშვობაში უსისტემოდ კითხულობდა. ამიტომაც იყო მისი მეორე წიგნი "ოდისეა". "ეს რომ წავიკითხე, მაშინ მივხვდი, თუ არ იმოძრავე, არ გადაიკარგე, არაფერი გამოვა". "განძის კუნძული" ის იშვიათი წიგნი აღმოჩნდა, რომელსაც აკა მორჩილაძე ყველაზე ხშირად, წელიწადში ათჯერ მაინც უბრუნდება. და არა მარტო კითხულობს, სადაც გადააწყდება, ყიდულობს კიდეც. ამ წიგნის ერთ-ერთი გამოცემა მწერალს გუშინ თან ჰქონდა იმ ნივთებთან (ჩიბუხი, ესპანური ხურდა ფული, ინგლისში გადაღებული ფოტო...) ერთად, რაც მწერალს სხვადასხვა წიგნთან აკავშირებს. გუშინდელი ხუთშაბათობის თემა ძირითადად ბავშვობის წიგნები იყო. "მერე ჩემზე წიგნებს ზეგავლენა აღარ მოუხდენია", - გვითხრა მწერალმა. თუმცა, ერთი გამონაკლისი აქაც არსებობს: "ომი და მშვიდობა", რომელსაც აკა ყოველ ზაფხულს კითხულობს. სამაგიდო წიგნებზე საუბრისას მწერალმა გაიხსენა სხვადასხვა ავტორი: მელვილი ("მობი დიკით" ვისწავლე, როგორ უნდა დავწერო დიდი წიგნიო", - გვითხრა), დიკენსი ("წერაში დაუნდობლობას გასწავლის"), ჩესტერტონი, - ბოლოს მათ ყველას ერთი სახელიც მოუგონა. უფრო სწორად, მათ წიგნებს - ამორჩეული; ისაუბრა ამერიკაზეც, მუდამ მრგვალ ბაღში მყოფ მეზობელზე (რასაკვირველია, იმიტომ, რომ ლიტერატურულ პერსონაჟთან აიგივებს ამ ადამიანს). ერთი სიტყვით, აკა მორჩილაძე რომ ზეპირად არანაკლები მთხრობელია, ვიდრე მწერალი, ამაში გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

# სუბიექტური მოსაზრება ოთხი წარმოდგენის გარშემო

## "დებიუტი" დასასრულს უახლოვდება




სალომე კიკალეიშვილი

სტუდენტური ფესტივალი "დებიუტი" დასასრულს უახლოვდება. ფესტივალის კულმინაციური ნაწილი - გამარჯვების ცერემონიალი კი დღეს, კინოთეატრ "რუსთაველში" გაიმართება. სწორედ კულმინაციური და არა მთავარი. რადგან მთავარია არა დაჯილდოება, არამედ ის ჩვენებები და წარმოდგენები, რომლებიც თანამედროვე ქართულ კინოსა და თეატრში არსებულ რეალობას გვიჩვენებს. მათ შორის მეტ-ნაკლებად ნიჭიერები რომ ობიექტურად შეფასდებიან, ამაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება: გოგა პიპინაშვილი, სანდრო მრევლიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ნინო ჩატაიშვილი და თათა მუქერია საუკეთესო მსახიობებს, რეჟისორებსა და სცენოგრაფებს გამოავლენენ.

"ღია შუშაბანდი", "ჟანა და ხმები", "როცა შუქი ქრება" და "იუბილე" - ეს სპექტაკლების ის მცირე ნაწილია, რომელთა ნახვაც მოვახერხე.

### "ღია შუშაბანდი" ანუ გულწრფელობა სცენაზე

შადიმან შამანაძის პიესის მიხედვით დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ დადგმული "ღია შუშაბანდი", რომელშიც სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები მონაწილეობენ, ფესტივალის პირველ დღეებში წარმოადგინეს. თანამედროვეობაში გათამაშებული ერთი უბრალო ოჯახის ჩვეულებრივი დღე; პიესის გმირებისთვის არაფრით გამორჩეული, ხოლო ჩვენთვის კარგად გაკეთებული სპექტაკლისა და დებიუტანტი მსახიობების მიერ წარმატებით შესრულებული როლების ხილვის დღე. გაღატაკებული ოჯახის ცხოვრება სახლის დეკორაციაში და გმირების გაცნობისთანავე იკითხება. უსახსრობა და სოციალური პრობლემები ამ ოჯახის დამქსაქსველია. გმირთა ხასიათები ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იშლება სცენაზე: ეგოისტი, მეწვრილმანე, მოკინკლავე და-ძმით, მამისა და ვაჟის პრობლემატიკით, ცოლქმრული ურთიერთობით... ახალი ყოფა თავისი სოციალური პრობლემებით იმდენად შეიჭრა მათ ცხოვრებაში, რომ ურთიერთობისთვის აყალმაყალიღა დარჩენიათ. აქ დიდი ხნის წინ ჩაქრა ის, რასაც ოჯახური სითბო ჰქვია და რომლის ძლივძლიობით, ჯერ კიდევ მბჟუტავ ნაკვერჩხალს ასჯერ მეტი გაფრთხილება სჭირდება. ამ ოჯახში უკვე დაავიწყდათ ისეთი ცნებები, როგორიცაა სიყვარული, პატივისცემა, თანადგომა, რაც მხოლოდ სიმთვრალეში ახსენდება ოჯახის უფროსს და რითაც ამაყობს დასალევად ქუჩიდან მოპატიჟებულ სრულიად უცხო ადამიანთან. ამაყობს, რადგან სინამდვილეში აღარაფერი გააჩნია.

მაგრამ ამ აყალმაყალისა და ქაოსის მიუხედავად, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთათვისაც საერთოა ეგოიზმი, ჩხუბი, სიყვარული, სიკეთე. მორიგი აუტანელი, მძიმე დღის შემდეგ - მამაშვილის ჩხუბის, და-ძმის კინკლაობის, მეზობლის ჩივილის, ოჯახის უფროსის მიერ დასალევად მოთრეული ხალხისა და დავიდარაბის შემდეგ ხომ მაინც შეიძლება მყუდროდ მოკალათება, ცოტა ხნით ყველაფრის დავიწყება და ნახევრად ბნელ ოთახში დასთან ერთად უშაქრო ჩაის დალევა?!

მთელ ამ რეალისტურ ისტორიაში შევძელი დამენახა ის, რისი არარსებობაც ხელოვნებაში აკარგვინებს მას თავის არსს და სიყალბედ აქცევს - გულწრფელობა. გულწრფელები იყვნენ ახალგაზრდები თამაშისას, ვიღაცა მეტად, ვიღაცა ნაკლებად... ვიღაცა უფრო ნიჭიერი, ვიღაცა ნაკლებად ნიჭიერი... მაგრამ მაინც მთავარი იყო შედეგი, რომელიც აქ წარმატებული აღმოჩნდა. ეს არა მარტო მსახიობების, არამედ უფრო რეჟისორის დამსახურებაა. მან შეძლო, თითოეული სტუდენტისთვის ზუსტად მოეძებნა ინდივიდუალური სახე, რომ სცენაზე ნანახი და განცდილი დამაჯერებელი და ჭეშმარიტი ყოფილიყო.

### "ჟანა და ხმების" დაუსრულებელი ისტორია

ჟან ანუისა და ფრიდრიხ შილერის მიხედვით ზურაბ ბეგლარიშვილის "ჟანა და ხმების" ნახვის შემდეგ ერთადერთი კითხვა გებადება: რას ერჩოდა რეჟისორი ამ ბავშვებს და რას გვერჩოდა სამი საათის მანძილზე ჩვენ, მაყურებელს (რომელიც, მთელი სპექტაკლის თუ არა, პირველი მოქმედების მანძილზე მაინც განუწყვეტლივ ამთქნარებდა)? გარდა ამისა, გიჩნდება მეორე კითხვა: თუ ახალგაზრდა რეჟისორს უნდოდა, სამსაათიანი სპექტაკლით ჟანა დ`არკის მთელი ცხოვრება წარმოედგინა, რა საჭირო იყო ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი ბავშვების წვალება (სპექტაკლი შარშან, ჯერ კიდევ სტუდენტების მეორე კურსზე ყოფნისას დაიდგა)? თუ მაინცდამაინც ორლეანელ ქალწულზე უნდა დაედგა სპექტაკლი, მაშინ წმინდანად შერაცხული ფრანგი ქალის ცხოვრებიდან რაღაც ფრაგმენტი მაინც დაემუშავებინა! ყურება მაინც ხომ აღარ იქნებოდა ასეთი დამღლელი და სპექტაკლი - დაუსრულებლად გაწელილი?!

შედარებით დინამიკური გამოდგა მეორე მოქმედება - მეფის კარზე დ`არკის მისვლიდან მის აღსასრულამდე, კოცონზე დაწვამდე. აქ იყო მცდელობა, მოძრაობაში და დინამიკაში ეჩვენებინათ ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, მაქსიმალური გაეხსნათ გმირთა ხასიათები. თუმცა, ბევრი სიმბოლო ბოლომდე გაურკვეველი დარჩა.

მაგრამ რას ვერჩით სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებს? ნუ დავუკარგავთ მათ ღვაწლსა და შრომას, რაც თითოეულ პერსონაჟში იგრძნობოდა. მადლობა ვუთხრათ მათ, რომ ამ სატანჯველს ღირსეულად გაუძლეს.

### "იუბილე" და "როცა შუქი ქრება", ანუ როცა სიყალბეს თვალებში უყურებ

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წარმოდგენის ხანგრძლიობას, მის დინამიკურ თუ მდორე დინებას და ა.შ. საერთოდ, არაფერს არა აქვს მნიშვნელობა. სცენაზე მთავარია მსახიობი, რომელმაც უნდა დაგაჯეროს, რომ შენ თეატრალური უნივერსიტეტის 58-ე აუდიტორიაში კი არ ხარ, არამედ ანტონ ჩეხოვის სამყაროში, ანდა სულაც აფხაზეთიდან დაბრუნებული შვილმკვდარი მამის სახლში მოხვდი, მამისა, რომელიც წუთი-წუთზე ელოდება ყოფილ ცოლს, რათა შვილის სიკვდილის ამბავი უთხრას. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. და არანაირი რეალიზმი. არანაირი გულწრფელობა.

ერთი - ჩეხოვის მიხედვით დადგმული სპექტაკლი "იუბილე", ავტორი ასიკო გამსახურდია, მეორე - ახალგაზრდა რეჟისორის ლაშა გოგნიაშვილის მიერ შექმნილი "როცა შუქი ქრება" თამაზ ჭილაძის პიესის მიხედვით. ამ ორ სრულიად განსხვავებულ წარმოდგენას ბევრი აქვს საერთო: ორივე ერთ დარბაზში, ერთიმეორეს მიყოლებით წარმოადგინეს; ორივე უინტერესო იყო; ორივეში ერთი და იგივე მსახიობები მონაწილეობდნენ, რომელთა სიყალბემ და ხელოვნურობამ პათეტიზმის სევდიანი ნოტები ააჟღერა.

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის, რასაც პრემიერის შემდეგ, მაყურებლის რეაქციის მოლოდინში, ავტორთა თუ შემსრულებელთა გულის ბაგაბუგი და ნერვიულობა ერქვა. სამწუხაროა, რომ ჭეშმარიტი შეფასება და მაყურებლის კრიტიკა დღეს მთლიანად გაქრა და ახლობელ-მეგობარ-ნათესავთა ყალბ ტაშს დაუთმო ადგილი.

# ფრენა რომანის წერაა

## დიდ ეკრანს 20-იანი წლების ვნებიანი ისტორიები, გიჟური ექსპერიმენტები და ულამაზესი ქალები იპყრობენ

თამარ ბაბუაძე

მარტინ სკორსეზეს ისტერიულად ეშინია ფრენის და ყოველი რეისის დროს ორ აბ "ვალიუმს" მაინც ყლაპავს. 1986 წელს კი კანის ფესტივალზე პრიზის ასაღებად იმიტომ ვერ ჩავიდა, რომ თვითმფრინავში ვერ ჩაჯდა.

ეს აშკარად გამოხატული ფობიაა. მაგრამ სკორსეზე ბოლო ფილმს სკანდალისტ ავიატორზე იღებს. ეს რაღაა? სიგიჟე? არა, უფრო საკუთარი ფობიის წინააღმდეგ გალაშქრება.

სხვა მიზეზს და ახსნას, ალბათ, ვერაფრით მოუძებნი სკორსეზეს არჩევანს. ის ხომ თავადაც აღიარებს, რომ ავიაციის პიონერის, ჰოვარდ ჰიუზის ცხოვრება არასდროს ხიბლავდა და ფილმიც მის შესახებ მისთვის უბრალოდ, რიგითი შეკვეთა, დავალება იყო და მეტი არაფერი.

ჟურნალისტები კი ენამწარობენ და ამბობენ, რომ "ავიატორის" გადაღება რეჟისორისთვის ერთგვარი თერაპია იყო შიშის მოსახსნელად.

ირონიის საბაბს ხომ თვითონ სკორსეზეც იძლევა, როცა აღნიშნავს: **"რაც უფრო მეტს გაიგებ საკუთარი შიშის საფუძვლის შესახებ, მით უკეთ შეძლებ მასთან გამკლავებას".** ამ ციტატაზე კი პრესის ორაზროვანი ღიმილით წარმოთქმული პასუხი ასეთია: "სკორსეზეს მკურნალობა ცოტა ძვირი კი დაუჯდა: ფილმის ბიუჯეტი ხომ 112 მილიონი დოლარი იყო".

შექმნილ სიტუაციას კიდევ ერთი პარადოქსული შედეგი შეიძლება, მოჰყვეს - შეიძლება, სკორსეზეს "ოსკარი" საუკეთესო რეჟისურისთვის სწორედ ამ ფილმში მისცენ - ფილმში, რომელიც მან ფორმის შესანარჩუნებლად გადაიღო და არა დიდი ხნის ოცნების ასახდენად: **"ათლეტების მსგავსად, რეჟისორებიც სულ უნდა ვარჯიშობდნენ, ფორმა რომ არ დაკარგონ. "ავიატორიც" ჩემთვის უბრალო "ფიზკულტურა" იყო".**

ფილმის პრემიერა ამერიკასა და კანადაში დღეს გაიმართება. შემდეგ უკვე სკორსეზეს ახალ ქმნილებას, რომელიც "ოქროს გლობუსის" ექვს ნომინაციაზე არის წარდგენილი, ევროპაშიც იხილავენ.

პრესჩვენების შემდეგ შეფასებები არაერთგვაროვანია. ზოგი ჟურნალისტის აზრით, სურათი მოსაწყენია, ზოგისთვის - ნაკლებ საგანმანათლებლო. "ესოშიეიტიდ პრესის" მიმომხილველი წერს, რომ დაახლოებით სამსაათიანი ფილმის შემდეგ, ჰოვარდ ჰიუზის შესახებ ისევე ცოტა რამ იცოდა, როგორც კინო-დარბაზში შესვლამდე.

თუმცა, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ვიზუალური თვალსაზრისით სურათი უმაღლეს ჰოლივუდურ სტანდარტებს აკმაყოფილებს. ჰოლივუდურს იმიტომ, რომ იქაურ ფილმებს ძირითადი ღირსება სწორედ ეს აქვთ - გარეგნული, თვალისთვის იოლად აღსაქმელი და საამო ეფექტები. "ავიატორი" კი არა, თურმე, არა უბრალოდ ეფექტურია, არამედ სრულყოფილი: პატარა წვრილმანიდან დიდ სცენამდე - ჰიუზის არტ დეკოს სტილში გადაწყვეტილი ოფისიდან ჯინ ჰარლოუს სისხლისფერ პომადამდე.

ოპერატორიც სცენებს ოქროსფერ ტონებში ახვევს - ნოსტალგიის თბილი განწყობის შესაქმნელად, ფრენის მძაფრსიუჟეტიან ეპიზოდებს კი მყვირალა, მკვეთრი ფერებით ღებავს.

აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ ამ "ფიზკულტურული ვარჯიშის" დროს სკორსეზე გაცილებით მეტად იყო დაინტერესებული ეპოქის ესთეტიკის ზოგადი აღწერით, ვიდრე ჰოვარდ ჰიუზის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნით.

მიუხედავად ამისა, რეცენზენტებს ჰიუზის როლში ლეონარდო დი კაპრიოც ძალიან მოსწონთ.

ფსონი ამ მსახიობზე რეჟისორმა და ფილმის პროდიუსერმა სპეციალურად დადეს. ჩანაფიქრი ასეთი იყო: თუ თინეიჯერების თაობა (რომელიც, ძირითადად, ავსებს ხოლმე კინოთეატრებს) აზრზე არ არის ჰოვარდ ჰიუზის ბიოგრაფიის შესახებ, მათ ფილმში ახალგაზრდა სექსუალური ვარსკვლავის სახელი მაინც მოხიბლავთ.

გამოდის, რომ ლეონარდო დი კაპრიო ის "პირობაა", რომელმაც "ავიატორი" ბლოკბასტერად უნდა აქციოს. თუ ეს დი კაპრიომ ბოლომდე ვერ მოახერხა "ნიუ იორკის ბანდებში", 2002 წელს, ახლა უნდა შეძლოს.

და უნდა შეძლოს იმის მიუხედავად, რომ ზოგი მას როლისთვის შეუფერებლად ახალგაზრდად მიიჩნევს. ანუ, მაყურებელი იმდენად უნდა მოიხიბლოს დი კაპრიოს ქარიზმით, ენერგიით და არტისტიზმით, რომ მის ბავშვურ, მრგვალ სახეს ყურადღება აღარ მიაქციოს.

**ეპოქის ესთეტიკის გადმოცემაში მარტინ სკორსეზეს სხვა მსახიობებიც ეხმარებიან. ფილმში დაკავებული ყოველი მეორე არტისტი ხომ ვარსკვლავია: კეიტ ბლანშეტი - ქეთრინ ჰეპბერნის როლში; გვენ სტეფანი - ჯინ ჰარლოუს როლში; კეიტ ბეკინსეილი - ავა გარდნერის როლში; ჯუდ ლოუ - ეროლ ფლინის როლში.**

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ქალთან ლეონარდო დი კაპრიოს გმირს ვნებიანი რომანი აკავშირებს. ჯინ ჰარლოუ კი ვარსკვლავად საერთოდაც ჰიუზის ფილმის "ჯოჯოხეთის ანგელოზების" შემდეგ იქცა.

ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ კი ისმის კითხვა - რატომ არ ხიბლავდა მარტინ სკორსეზეს არასდროს ჰოვარდ ჰიუზის ბობოქარი ბიოგრაფია, ჰოლივუდის ულამაზეს ქალებთან რომანებით, გიჟური ექსპერიმენტებით, ბევრი ფრენით და სკანდალებით სავსე? ეს მართლაც გაუგებარია. ჰიუზის ცხოვრება ხომ ისეთივე ეპიკურია, როგორც ორსონ უელსის მოქალაქე კეინის პროტოტიპს ჰქონდა.



ჰიუზი იყო ავიაციის ერთ-ერთი პიონერი, თვითონ აგებდა თვითმფრინავს და შემდეგ თვითონვე მართავდა მას, აკეთებდა მილიარდობით დოლარს, იღებდა ფილმებს და იწვა ჰოლივუდის ულამაზეს ქალებთან. ამ ჰიპერ-ბედნიერი და ჰიპერ-ენერგიული პიროვნების მიღმა კი იმალებოდა მშიშარა და მგრძნობიარე კაცი, რომელსაც სიკვდილივით ეშინოდა ბაქტერიების; იმდენად, რომ ჯიბით მუდამ თან დაატარებდა საპონს. ზოგჯერ კი ემართებოდა ისტერიკის შეტევები, იკეტებოდა ოთახში, შიშვლდებოდა, და წვერგაუპარსავი, ერთიანად აცახცახებული ანგარიშმიუცემლად სვამდა უამრავ რძეს, მერე კი საკუთარი შარდით ავსებდა ცარიელ ბოთლებს...



ჯუდ ლოუ ეროლ ფლინის როლში. კეიტ ბლანშეტი - ქეთრინ ჰეპბერნი.

რეჟისორი ჰოვარდ ჰიუზის პიროვნების ახსნას მაინც ცდილობს. მისი აზრით, ჰიუზის ფრენისადმი სიყვარული შემოქმედებითი, არტისტული პროცესის მეტაფორაა: **"თვითმფრინავით ფრენა ხომ, უბრალოდ, თვითმფრინავში ჯდომას არ ნიშნავს. ადამიანი დაფრინავს მაშინ, როცა რომანს წერს, როცა ფერწერულ ტილოს ქმნის, ან როცა ფილმს იღებს... ჰიუზიც უბედნიერესი სწორედ ფრენისას ჩანდა - როცა ცაში სრულიად მარტო რჩებოდა; როცა გაიაზრებოდა ხოლმე, რომ ჰერმეტულად დაცული კაბინა აშორებდა ქვევით დარჩენილ დედამიწას, ბაქტერიებს, სირთულეებს, მორცხვობის კომპლექსს, დიდების მოპოვების დაუცხრომელ სურვილს. ასეთი ფრენა ღმერთის ცაში ნავარდს უფრო ემსგავსებოდა".**

ავიატორის ასეთი ორბუნებოვანი პიროვნება ლეონარდო დი კაპრიოსაც თვითგამოვლენის შანსს აძლევს. ამ შინაგანი დრამით აღსავსე სცენებში ხომ მისი არტისტიზმი ყველაზე მეტად უნდა გამოვლინდეს.

პრინციპში, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა თითოეული როლი - ავა გარდნერის, ეროლ ფლინის, ჯინ ჰარლოუს და ქეთრინ ჰეპბერნისაც. მაგრამ მათგან ყველაზე დიდი მისია მაინც კეიტ ბლანშეტს ეკისრებოდა. ჰეპბერნი ხომ ძალიან ჩაკეტილი პიროვნება იყო და მისი პორტრეტის შეკოწიწება ბლანშეტს ძირითადად მისი ფილმებიდან მოუხდა.



ლეონარდო დი კაპრიომ ფილმისთვის თვითმფრინავის მართვა ისწავლა.

ბლანშეტი ამბობს: "მაყურებელს რაღაც საკუთრების გრძნობის მაგვარი რამ ჭირს ხოლმე, როცა მათ საყვარელ მსახიობებს იღებენ მიზანში. აქედან გამომდინარე, წინასწარ შევემზადე იმისთვის, რომ რეაქცია ჩემი გმირის მიმართ შეიძლება, არაერთგვაროვანი იყოს". რა თქმა უნდა, ყველამ იცის ძირითადი ფაქტები ჰეპბერნის შესახებ, მათ შორის სპენსერ თრეისისთან ხანგრძლივი რომანიც, მაგრამ ბლანშეტს უფრო მეტის გაგება სურდა, ეს კი არ გამოუვიდა: "დღეს მსახიობის პირადი ცხოვრების შესახებ ყველა წვრილმანია ხოლმე ცნობილი, მაშინ კი ასე არ იყო, თან თვითონ ჰეპბერნიც ძალიან ჩაკეტილი ადამიანი იყო".

ასეა თუ ისე, ბლანშეტის პერსონაჟი რეცენზენტებს მაინც ძალიან ხიბლავს. სრულყოფას ავსტრალიელი მსახიობი სპეციფიკური მანერებით, ხმის ტემბრით და ახალი ინგლისის მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი აქცენტით ახერხებს.

აი, ასე ემზადება "ავიატორი" დღეს ასაფრენად. "ოქროს გლობუსის" ექვსი ნომინაცია კი იმის გარანტიაა, რომ ამ ფილმის სახელი "ოსკარის" ცერემონიალზე ხშირად და სხვადასხვა ბრუნვაში გაიჟღერებს.

და არც ის არის გამორიცხული, რომ "ავიატორმა" ფრენის ფობიით შეპყრობილი რეჟისორიც საუკეთესო რეჟისორის "ოსკარამდე" "ააფრინოს" - ჯილდომდე, რომელიც მას ჯერაც არ მიუღია.







ექსცენტრიული ავიატორის საყვარელი ქალები: კეიტ ბლანშეტი - ქეთრინ ჰეპბერნი. გვენ სტეფანი - ჯინ ჰარლოუ. კეიტ ბეკინსეილი - ავა გარდნერი.

---

ნინია კაკაბაძის სვეტი

# მეც ერთ-ერთი ქრისტიანი ვარ



მე ერთ-ერთი, რიგითი ქრისტიანი და მართლმადიდებელი ვარ. ჩემნაირი ძალიან ბევრია. მე ჩემი საკუთარი, და არა რომელიმე მღვდლის მიერ შემოთავაზებული დამოკიდებულება მაქვს ჩემი რწმენის, ზოგადად რელიგიის და ამასთანავე ეკლესიის მიმართ. ვხედავ ბევრს და მიჩნდება ბევრი კითხვა. კითხვები, რომელიც მიჩნდება, ჩემი პროფესიიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, ვცდილობ, რომ ხმამაღლა დავსვა. ეკლესიის და რწმენის მიმართ გულგრილი და ინდეფერენტული არასდროს ვყოფილვარ, არ ვიცი, საიდან გამომდინარე, მაგრამ ბავშვობიდან მქონდა ინტერესი. ასაკთან ერთად რელიგიური სამყაროს გაცნობიერება და ეკლესიის შეფასება თუ შესწავლა დავიწყე. ბუნებრივია, ამას პასიური ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე აქტიური. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ უკანასკნელ პერიოდში ხშირად მესმის ჩემი მისამართით გამოთქმული რეპლიკები, რომელიც ანტიქრისტიანულ და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ანტიეკლესიურ შეფასებას გულისხმობს. თუმცა, ჩემთვის ეკლესიურობა და მორწმუნეობა დროსთან ერთად სულ უფრო და უფრო შორდება ერთმანეთს. ბუნებრივია, არ ვგულისხმობ ტაძარს, ანუ შენობას. პრობლემას ჩემთვის ის აგრესიული ადამიანები წარმოადგენენ, რომელნიც გამუდმებული შენიშვნებით, მკვეთრი პრეტენზიებით და საკმაოდ უხეში ტონით მავსებენ. რატომ მაცვია სიცივეში შარვალი, რატომ გადავიდე ფეხი ფეხზე, რატომ არ მახურავს მანდილი, აქ რატომ ვდგავარ, როდესაც იქით უნდა ვიდგე და ა.შ. უკმაყოფილება მრავალგვარი და მრავალფეროვანია. პირველი პროტესტი ჩემში სწორედ ამ აგრესიულმა ადამიანებმა გამოიწვიეს, რომელთაც გამიჩინეს შეგრძნება, თითქოს მათ სახლში სტუმრად შევედი და ისინი დაჟინებით მათი სახლის თუ სამფლობელოს კანონებს მთავაზობდნენ. თანაც აუცილებლად უნდა გავიმეორო, რომ შემოთავაზებას ზედმეტად აგრესიული ფორმა ჰქონდა. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან მქონდა მღვდელთან ურთიერთობის გამოცდილება, ზრდასრულობაში ბევრი სიახლე აღმოვაჩინე. ისინი არანაკლებ აგრესიულები იყვნენ, ვიდრე ის ქალბატონები, რომელნიც პოლიციის როლს ასრულებდნენ ეკლესიაში. დაიწყო ისევ თავშალი, მარხვა, ლოცვების კითხვა და სხვა. მე მასთან კითხვებით მივედი, მან კი პასუხის ნაცვლად ისევ კანონების შემოთავაზება და ამ კანონების მორჩილების იძულება დაიწყო. ამის შემდეგ გამიჩნდა ეჭვი, რომ სულიერი მამების უმეტესი ნაწილი (საბედნიეროდ, ყველა ამ კატეგორიას არ მიეკუთვნება), საკუთარი კანონებით ხელმძღვანელობს და არა სახარების. მათთვის სასჯელის დადება, ეს იქნება მეტანიების თუ, უბრალოდ, გაკიცხვის სახით, უფრო დიდი სიამოვნება და ვალდებულებაა, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტ ქრისტიანად ქცევა თუ, უბრალოდ, გზის გაკვლევა. ეს პატარა და შესაძლებელია უმნიშვნელო დეტალი, შემდეგ მრავალი, სხვა ბევრად უფრო ღრმა საკითხების გარკვევაში დამეხმარა. შემდეგ დავინახე, რომ მაშინ, როდესაც ადამიანები შიმშილით კვდებიან, სამღვდელოება ახალი, თანამდროვე სახლების მსგავსად, უსახური ეკლესიების აგებით არის დაკავებული და არა გაჭირვებულების დახმარებით. მორწმუნე, ე.წ. ეკლესიური ადამიანები კი (ბუნებრივია, აქაც უმეტესი ნაწილი და არა ყველა) მხოლოდ იმით განსხვავდებიან, ასე ვთქვათ, "ურწმუნოებისგან", რომ ყველა ოთხშაბათს, პარასკევს დ მარხვის დღეებში დარბიან სამარხვო კერძების მოსაპოვებლად, მუდმივად იმას გაიძახიან, რომ ხორცი ენატრებათ, ყოველთვის ყველას, მასპინძელს თუ სხვას საკუთარი მარხვით აწუხებენ და დისკომფორტს უქმნიან, მანქანებში თუ სახლებში ბევრი ხატები უკიდიათ, გამუდმებით პირჯვარს იწერენ, კვირაობით მრევლის სახით ახალი მეგობრების სანახავად ეკლესიაში დაიარებიან, იქ ერთმანეთის პირად ცხოვრებაზე მსჯელობენ და მათ მიერ აღიარებულ "დამნაშავეებს" კიცხავენ. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ აღიარებული ქრისტიანები, მართლმადიდებლები (მე მათ უფრო ეკლესიურ ექსტრემისტებს ვუწოდებ), ნაცვლად სიკეთისა, გამუდმებით აგრესიას და სიძულვილს თესავენ. მათ მოღალატეებს ფიზიკური სასჯელით ემუქრებიან, არ ერიდებიან შანტაჟს და ეს ყველაფერი, ეკლესიის პოლიციელი ქალებისგან განსხვავებით, წყნარი ტონით და ღვთისნიერი სიმშვიდით ხდება.

და რატომ ამხელა შესავალი? იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, მეთქვა ის, რაც უკანასკნელ დროს საკმაოდ აქტიურად ისმის ჩვენს საზოგადოებაში თუ მედიის სხვადასხვა საშუალებებით - განხეთქილებას თუ პრობლემებს ეკლესიაში, საზოგადოება არ უნდა არჩევდეს, ეს ჩვენი საქმე არ არის. რატომ არ არის ჩემი საქმე? მე რომ ვყოფილიყავი ბუდისტი, მაჰმადიანი, იუდეველი, გრიგორიანელი თუ ნებისმიერი სხვა სარწმუნოების მიმდევარი, არ შემხებოდა ჩემ თვალწინ გამოკვეთილად არსებული პრობლემები, მაგრამ მეც ქრისტიანი და მართლმადიდებელი ვარ. რატომ არ არის ჩემი საქმე და რატომ არ უნდა შევწუხდე მაშინ, როდესაც მამა ბასილ კობახიძეს მღვდელთმოქმედებას უკრძალავენ და საბაბი სრულიად გაუმართლებელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სრულიად გაუგებარია. დეკანოზ ბასილ კობახიძეს სწორედ იმისათვის აეკრძალა მღვდელთმსახურება, რომ მასაც აფრთხილებდნენ, ეს შენი საქმე არ არის, ამაზე ხმამაღლა არ უნდა ილაპარაკოო, ის კი ამ მოთხოვნას არ დაემორჩილა. კორუფცია ეკლესიაში ჩვენი საქმე არ არის, რუსული მართლმადიდებლური დიქტატურა ჩვენი საქმე არ არის, ქსენოფობია ეკლესიაში პრობლემა არ არის, მხოლოდ დოგმების მორჩილება და არა ღმერთის, ჩვენი საქმე არ არის და სხვდასხვა. მამა ზაზა თევზაძეს აფრთხილებენ - რაც შემდეგში მღვდელთმსახურების აკრძალვას და ბოლოს, განკვეთას გამოიღებს. თუკი მოთხოვნა ასეთია, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, ანუ საზოგადოებამ ეკლესიის და არა სახარების მიერ დაწესებული კანონები თუ წესები, მაშინ რიგითი ადამიანი მხოლოდ მონაა და სხვა არაფერი, მაგრამ სამწუხაროდ, არა მონა ღვთისა, არამედ მონა მღვდლისა. ასეთი რამ კი მე სახარებაში არ შემხვედრია. მორწმუნეობა არ არის მღვდლის მორჩილება, სულიერი მამა უნდა გვეხმარებოდეს ღმერთთან მიახლოებაში და არა მის, ანუ მღვდლის დაქვემდებარებაში. რატომ არ ითვალისწინებს წმინდა სინოდი თუ ზოგადად სხვა წამქეზებელი მღვდლები, საზოგადოების ერთი დიდი ნაწილის დამოკიდებულებას, როდესაც მამა ბასილს მღვდელთმსახურებას უკრძალავს, მამა ზაზას კი აფრთხილებს? ამით ხომ მე და კიდევ სხვა მრავალ ჩემნაირ ადამიანს საბოლოოდ აშორებს ეკლესიას, მაგრამ არა ქრისტიანობას.

კათალიკოს-პატრიარქმა, წმინდა სინოდმა და ყველა ეკლესიურმა პირმა, უნდა გააცნობიეროს, რომ მსგავსი ქმედებები - განკვეთა, მღვდელთმსახურების უფლების ჩამორთმევა და სხვა, არა მხოლოდ ეკლესიის შუაზე გაყოფას, არამედ საზოგადოების დანაწევრებასაც იწვევს. ახლანდელი, ფუნქციონალური ეკლესია საბოლოოდ წყვეტს კავშირს საზოგადოების ერთ ნაწილთან. ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიამ ფართოდ გახსნას კარები, ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იკეტება და შორდება ადამიანებს. თუკი მათი მისამართით გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს, იმისათვის რომ თუნდაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილი არ ჩამოიშოროს სამუდამოდ, საჯაროდ დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა, ეს იქნება კორუფცია, კავშირი რუსეთის სახელმწიფოსთან და არა მხოლოდ ეკლესიასთან და სხვა. რატომ კმაყოფილდება ქართული ეკლესია მხოლოდ იმ ფანატიკური მრევლით, რომელიც მხოლოდ გარეგნული დოგმების მორჩილებით გამოხატავს რწმენას?

მე, ერთ-ერთ რიგით ქრისტიანს, რომელიც ღმერთის სიყვარულს სიკეთის ქმნაში, კაცთმოყვარეობასა და სიყვარულში ვხედავ, რატომ მაიძულებენ, რომ ბოლომდე სკეპტიკური გავხდე ეკლესიის მიმართ? რატომ ართმევენ მღვდელთმსახურების უფლებას ადამიანს, რომელიც მე, როგორც ადამიანი, ისე მესაუბრება და არა როგორც ეკლესიის დირექტორი თუ პოლიციელი. რატომ აძლევენ საგანგაშო გაფრთხილებას მამა ზაზას, რომელიც მე კითხვებზე პასუხს მაძლევს და არა მის მიერ გამოგონილი დოგმების მორჩილებას მასწავლის? თუკი ჩემი სიტყვა, ვფიქრობ, წმინდა სინოდის ყველა წევრისათვის საინტერესო აღმოჩნდება (მხოლოდ იმიტომ რომ, მე ერთ-ერთი რიგითი ქრისტიანი ვარ), უმორჩილესად ვთხოვ ყოველი ახალი გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ჩვენთაგანის აზრი გათვალისწინებული იყოს, ვინაიდან ეკლესია არა მხოლოდ მათი, არამედ ჩვენიც, უბრალო მოკვდავი ადამიანებისაც არის და ყველაფერი, რაც მის შიგნით ხდება, ჩვენი საქმეც არის. და პირველ რიგში, ყველა გაკიცხულს მიეცით თავის გამართლების საშუალება, თუნდაც იმისათვის, რომ თქვენი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სხვისთვისაც გამართლებული იყოს.

ფეხბურთი

# ლევან კობიაშვილი: "შალკე" გერმანიის საუკეთესო კლუბია"

ახლახან რუსულ პრესაში დაიბეჭდა ინტერვიუ "შალკე 04"-ისა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ლევან კობიაშვილთან. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ, თუ რას ფიქრობს ლევან კობიაშვილი თავის მომავალზე გერმანულ კლუბში.

გერმანიის ჩემპიონატი, ისევე როგორც ევროპის წამყვანი საფეხბურთო ჩემპიონატები, საშობაო არდადეგებზე მიდიან. ერთ-ერთი პირველი სწორედ ბუნდესლიგა იყო, რომელმაც არდადეგები უკვე დაიწყო. "შალკე 04", როგორც იქნა, გაერკვა სიტუაციაში და საკუთარი თამაშის სტილით ერთ-ერთი პირველია გერმანიაში. არადა, გერმანიის, ფინანსური თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე გაწონასწორებული გუნდი გულშემატკივრების წინაშე როგორღაც უმადურობას იჩენდა. წლევანდელ სეზონში კი შთამბეჭდავი თამაშით იმდენს მიაღწია, რომ პირველი წრის შემდეგ მიუნხენის "ბაიერნთან" ერთად სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

სასიამოვნოა, რომ ლევან კობიაშვილი "შალკეს" წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი კონსტრუქტორია და მას სამართლიანად მიიჩნევენ ბუნდესლიგაში პირველი წრის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად. იმასაც ამბობენ, რომ კობიაშვილის შემდგომი ნავსაყუდელი გერმანიაში მიუნხენის "ბაიერნი" იქნება. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველთან ინტერვიუ სწორედ ამ საკითხით დაიწყო.

- ვინ, "ბაიერნი"? მე ჯერჯერობით არც ერთი კლუბი არ დამკავშირებია. "შალკესთან" ჯერ კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს. თუ ვადის გასვლის შემდეგ დარჩენა შემეძლება, ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებ. გელზენკირხენში ყველაფერი კარგად მიდის. განსაკუთრებით გულშემატკივართა მიტოვება არ მსურს. ყოველ მატჩზე 60 ათასი ფანი იყრის თავს. ისინი, ალბათ, მსოფლიოში საუკეთესო ატმოსფეროს ქმნიან.

**- არადა, წელიწადნახევრის წინათ შეიძლება მოსკოვის ცსკა-ში აღმოჩენილიყავით...**

- მართლაც, იმ მომენტში მინდოდა, "ფრაიბურგი" უფრო სერიოზულ კლუბზე შემეცვალა. ვალერი გაზაევი და კლუბის პრეზიდენტი ევგენი გინერი დამიკავშირდნენ, მაცდუნებელი წინადადებაც შემომთავაზეს, მაგრამ შემდეგ "შალკე" დამიკავშირდა და გადავწყვიტე, რომ ამ კლუბში გადასვლა ჩემს საფეხბურთო კარიერაში უფრო სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა. ამის მიუხედავად, გაზაევთან ძველებურად შესანიშნავი ურთიერთობა მაკავშირებს. უაღრესად დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანს და მადლობას ვუხდი 1997 წლის სეზონისთვის.

**- იცით, რომ "ალანია" უფსკრულის პირასაა?**

- სერიოზულად? ეს ჩემთვის სიახლეა. თუმცა, როცა შევიტყვე, რომ კლუბმა რუსეთის წლევანდელ ჩემპიონატში მე-14 ადგილი დაიკავა, მივხვდი, რომ გუნდში რაღაც წესრიგში არ იყო.

**- როგორ მოხდა, რომ გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში "შალკემ" საკუთარ მინდორზე ვერ მოუგო "ფრაიბურგს"?**

- ბოლო 10-12 მატჩი შესანიშნავად ჩავატარეთ. სტუმრად "ფრაიბურგი" გვეწვია. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ გუნდს გავარღვევდით - 3:0 ან უფრო დიდი ანგარიშით. მეტისმეტი თავდაჯერებულობის გამო დავისაჯეთ... ჩემმა თანამემამულემ ალექსანდრე იაშვილმა მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და კარგია, რომ მატჩის შემდეგ არ დამცინა. კაცმა რომ თქვას, სასაცილოდ ნამდვილად არა აქვს საქმე. "ფრაიბურგი" ხომ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე უიმედოდ გაიჭედა. მაგრამ მე კიდევ მექნება შანსი, სამაგიეროდ გადავუხადო. ჩვენი ამოცანაა, ბოლო ტურში "ფრაიბურგი" დავამარცხოთ და გერმანიის ჩემპიონები გავხდეთ.

**- რას უკავშირებთ იმ ფაქტს, რომ წლევანდელ სეზონში "შალკემ", ბოლოს და ბოლოს, შედეგიანი თამაში დაიწყო?**

- ალბათ, მწვრთნელის შეცვლას. გასულ წელს და ამ სეზონის დასაწყისში, იმის მიუხედავად, რომ იუპ ჰაინკესი კარგი სპეციალისტია, მას გუნდის შექმნასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა ჰქონდა. ხოლო როცა მის ადგილზე რალფ რანგნიკი მოვიდა, გუნდმა სულ სხვა ფეხბურთის თამაში დაიწყო. ჩვენ ახალი ტაქტიკა გვაქვს - შეტევაში უფრო მეტ დროს ვატარებთ და ამით ნამდვილ სიამოვნებას ვიღებთ. თამაშის ასეთი სტილი სწორედ რომ კარგად ერგება ამჟამინდელ "შალკეს". ბოლოს უგოლოდ სექტემბერში გავედით მინდვრიდან.



*ლევან კობიაშვილი: "სრული ბედნიერებისთვის კარგი იქნება, თუ მომავალ წელს რამდენიმე გოლს გავიტან და ჩემპიონი გავხდები".*

**- თქვენ გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიგიჩნევენ. ეთანხმებით?**

- არა. რა თქმა უნდა, მე საუკეთესო არ გახლავართ. თანაც, არა მარტო გერმანიაში, არამედ საკუთარ გუნდშიც კი. ჩემს თამაშს შევაფასებ, როგორც ნორმალურს. ჯერჯერობით ყველაფრით კმაყოფილი ვარ. თუმცა, სრული ბედნიერებისთვის კარგი იქნება, თუ მომავალ წელს რამდენიმე გოლს გავიტან და ჩემპიონი გავხდები.

**- თქვენი აზრით, "შალკეს" ეს შეუძლია?**

- უეჭველად. სიმართლე რომ ვთქვათ, გერმანიაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ვართ. რაც შეეხება უეფას თასს, ხმამაღალ განცხადებას ვერ გავაკეთებ. ჯერჯერობით ჩვენ მაინც არ ვართ გუნდი, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. სუპერკლუბის დონეს რომ მივაღწიოთ, ამისთვის ჯერ კიდევ ორი-სამი წლის შრომა და გამოცდილება გვჭირდება.

**- რუსეთში ფიქრობენ იმაზე, ღირს თუ არა ეროვნული ნაკრების სათავეში უცხოელი სპეციალისტის მოწვევა. საქართველოს ნაკრებს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ფრანგი ალენ ჟირესი ჩაუდგა სათავეში. და რა, ურთიერთობაში პრობლემები გაქვთ?**

- ჩემი აზრით, ფეხბურთელებს ენობრივი ბარიერი საერთოდ არ უნდა აღელვებდეთ. რა თქმა უნდა, თავიდან ეს უჩვეულოა, მაგრამ ცოტა ხანში ამას ეგუები. ჟირესმა არც ქართული იცის და არც რუსული, მაგრამ თარჯიმნის მეშვეობით ნორმალურად ვუგებთ ერთმანეთს. რუსებმაც სცადონ უცხოელის მიწვევა. ამაში საგანგაშო არაფერია.

# გამოძიება ორი თვის დაგვიანებით დაიწყო

ნინო ტიკარაძე

*ლუის არაგონესის ირგვლივ ორი თვის წინათ ატეხილ აურზაურს ბოლო არ უჩანს. საქმე ეხება მწვრთნელის მიერ "არსენალის" შავკანიანი თავდამსხმელის ტიერი ანრის მისამართით წარმოთქმულ რასისტულ ფრაზებს. ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციამ ამ საქმის გამოძიება გუშინწინ დაიწყო. საბოლოო განაჩენის გამოტანის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.*

ასეთი ხმაურის შემდეგ, სავარაუდოდ, ლუის არაგონესს თანამდებობა საკუთარი სურვილით უნდა დაეტოვებინა, მაგრამ მწვრთნელმა თავი უდანაშაულოდ ცნო და საჯაროდ გამოაცხადა: "ჩემი სინდისი სუფთაა." ბუნებრივია, არც თანამდებობიდან წასვლის სურვილი გასჩენია, მიუხედავად იმისა, რომ, მისივე განცხადებით, ამის გაკეთებას ოჯახის წევრები სთხოვდნენ. მაგრამ განა იმიტომ, რომ არაგონესი დამნაშავედ მიაჩნდათ? არა. უბრალოდ, მათ ბრიტანული პრესის დაშოშმინება და არაგონესის ირგვლივ აგორებული სკანდალის ჩაცხრობა უნდოდათ, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილება ურყევი იყო, მით უმეტეს, რომ თავდაპირველად ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციამაც მას დაუჭირა მხარი და, შესაბამისად, გამოძიებაც არ დაიწყო, რადგან ამ შემთხვევაში არაგონესი სამსახურიდან უნდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ ორი თვის შემდეგ, ანუ გუშინწინ პრეზიდენტმა ლუის მარია ვილარმა ესპანეთის ძალადობასთან მებრძოლი კომისიის ზეწოლის გამო აზრი შეიცვალა და საქმის გამოძიება დაიწყო. არაგონესის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას ან სამსახურიდან წასვლა, ან პირობითი სასჯელის მიღება, ან საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს (დაახლოებით 22 000 ევრო).



*ლუის არაგონესი: "ჩემი სინდისი სუფთაა".*

როგორც აღმოჩნდა, ვილარის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა თავად მწვრთნელისთვის. "ძიების დაწყება პრეზიდენტისგან გავიგე. ნებისმიერ შემთხვევაში მზად ვარ, თავი დავიცვა," - განცხადა არაგონესმა.

გამოძიება, რომელიც, სავარაუდოდ, ორ-სამ თვეს გაგრძელდება, "არასპორტული საქციელის" ბრალდებით დაიწყო.

ესპანეთის სპორტის მინისტრმა მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და განაცხადა: "ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე მყოფმა ადამიანმა საკუთარი განცხადებები უნდა აკონტროლოს. რასიზმისთვის არავის დავინდობთ. ყველა თანაბრად დაისჯება."

აქტიურობს ბრიტანეთის ანტირასისტული კამპანია "მოდი, გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან", რომლის წევრებიც არაგონესის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. ისინი აცხადებენ: ის ფაქტი, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საქმეს აჭიანურებს, იმის დასტურია, რომ იგი მზად არ არის, რასიზმი ესპანური ფეხბურთიდან საბოლოოდ ამოძირკვოს.

"მათ საქმის გახსნა რომ უნდოდეთ, აქამდეც გააკეთებდნენ ამას. მართალია, გამოძიება დაიწყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არაგონესი საკმაოდ მსუბუქ სასჯელს მიიღებს. ესპანურ ფეხბურთს სერიოზული პრობლემები აქვს. მსგავსი რამ ერიქსონს რომ გაეკეთებინა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გამოძიებას მაშინვე დაიწყებდა და მწვრთნელსაც დაკავებულ თანამდებობას დაატოვებინებდა," - განაცხადა კამპანიის დირექტორმა.

მოგეხსენებათ, ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია ესპანური ფეხბურთის სამყაროში.

ნოემბრის ერთ დღეს ინგლის-ესპანეთის ახალგაზრდა გუნდების, მეორე დღეს კი იმავე ქვეყნების ეროვნული ნაკრებების საერთაშორისო ამხანაგური მატჩების დროს ესპანელმა გულშემატკივრებმა შავკანიან სტუმრებს ტრიბუნებიდან "შავი მაიმუნები" უძახეს. მომდევნო კვირაში პრემიერლიგის თამაშების დროსაც იგივე გამეორდა, თუმცა, თავად ესპანეთი ამ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებდა, მაშინ როცა დანარჩენი მსოფლიო აღშფოთებას ვერ მალავდა.

# ხმა მიეცით თქვენს რჩეულს!

გუშინ უეფას ოფიციალურ ინტერნეტ-საიტზე დაასახელეს 2004 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების ნომინანტები. ინტერნეტის მომხმარებელს, თუ, რა თქმა უნდა, ფეხბურთი უყვარს, საშუალება აქვს, ამ ნომინანტებიდან მსოფლიო ნაკრები შეადგინოს. კენჭისყრას, რომელიც მეოთხედ იმართება, გულშემატკივარს uefa.com სთავაზობს. ეს არის შანსი იმისთვის, რომ ფეხბურთის მოყვარულებმა დამოუკიდებლად გაარკვიონ, რომელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს წლეულს განსაკუთრებულ წარმატებას.

მწვრთნელთა და ფეხბურთელთა გამოსავლენად 60 ნომინანტია ამორჩეული. მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების თქვენეულ საბოლოო ვარიანტს უეფას ოფიციალური საიტი იანვრის შუა რიცხვებში გამოამზეურებს. ნომინანტები uefa.com-ის კორესპონდენტებმა და რედაქტორებმა აირჩიეს. ისინი უეფას ყველა 52 ასოციაციაში მუშაობენ. არჩევის კრიტერიუმები ძალიან მარტივია. ნომინანტთა შორის შეიძლებოდა მოხვედრილიყო ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ევროპულ კლუბში თამაშობს ან უეფას ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობს.

პორტუგალიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის გარდა, მხედველობაში მიღებულ იქნა გასული სეზონის ბოლო და მიმდინარე სეზონის დასაწყისი. იმის გათვალისწინებით, რომ ნომინანტთა უმრავლესობას ყველა ტურნირზე სტაბილურად წარმატებით არ უთამაშია, გულშემატკივარს მოუწევს არჩევანის გაკეთება - რა უფრო მნიშვნელოვანია, ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლა თუ ეროვნულ ჩემპიონატში სტაბილური თამაში.

uefa.com-ის კორესპონდენტებმა და რედაქტორებმა ნომინანტები კი ამოირჩიეს, მაგრამ მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების საბოლოო სახე მხოლოდ გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოვლინდება, რომელსაც საიტის მკითხველები აირჩევენ.

ამ გამოკითხვის რჩეული გუნდი არ არის სხვა გამოკითხვების ალტერნატივა და ოფიციალურ სახეს არ ატარებს. ამის მიუხედავად, პროექტმა დიდი აღიარება პოვა ფეხბურთის გულშემატკივართა შორის. წინა სამი გამოკითხვის დროს დაახლოებით 5 მილიონი ხმა შეგროვდა.

**მეკარეები:** ნიკოპოლიდისი, ვიტორ ბაია, ბუფონი, ჩეხი, კასილასი.

**მარცხენა მცველები:** ევრა, ძამბროტა, ფისასი, ლამი, ეშლი კოული.

**მარჯვენა მცველები:** გალასი, კაფუ, საიტარიდისი, მიგელი, პაულუ ფერეირა.

**ცენტრალური მცველები:** მალდინი, ნესტა, სტამი, პუიოლი, კემპბელი, ტერი, ჟორჟე ანდრადე, დელასი, რობერტო აიალა, რიკარდუ კარვალიუ.

**ცენტრალური ნახევარმცველები:** ჯერარდი, მანიშე, ბარახა, ვიეირა, ზაგორაკისი.

**მარცხენა ნახევარმცველები:** რობენი, პირესი, როტენი, ნედვედი, ვისენტე, როდრიგესი.

**მარჯვენა ნახევარმცველები:** ზეედორფი, იუნგბერგი, კრიშტიანუ რონალდუ, ჟიული, ფიგუ.

**შემტევი ნახევარმცველები:** მიკუ, კაკა, დეკუ, რონალდინიო, ლემპარდი.

**თავდამსხმელები:** ადრიანო, იბრაგიმოვიჩი, მორიენტესი, დროგბა, ბაროში, ვან ნისტელროოი, ლარსონი, რუნი, შევჩენკო, ანრი.

**მწვრთნელები:** შააფი, ბენიტესი, ვენგერი, რეჰაგელი, მოურინიო.


საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



რაგბი

# "ლელოს" ფინალიც ნახევარფინალური ექნება

## მხოლოდ ჩემპიონი დარჩა გასარკვევი

პაატა თოთაძე

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი

**ლელო (თბილისი)** 18
**დათვები (ბათუმი)** 17

**ლელო:** 2 ლელო - გორგოძე, ყიასაშვილი
1 გარდასახვა და 2 საჯარიმო - ბარკალაია

**დათვები:** 3 ლელო - ნინიძე (2), ხაჟომია
1 გარდასახვა - მაჩიტიძე

ბათუმელთა წაგებას ამ მატჩში არაერთი მიზეზი აქვს, მაგრამ ყველაზე დიდ მიზეზად მსაჯი სახელდება. "ეგაა ყველაფრის მოთავე..." "მაგნაირების მსაჯობა არ შეიძლება..." "მაგი რომ არა, ამ თამაშს არ წავაგებდით..." ამას და კიდევ ბევრ ამისთანას გაიგონებდით მატჩის შემდგომ ბათუმელთა მხრიდან.

მსაჯმა მართლაც არაერთი შეცდომა დაუშვა. ჯერ იყო და, ბათუმელებს წესების დარღვევა - ბლოკი დაუფიქსირა და "ლელოს" სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა, მაშინ როცა არავითარი ბლოკი არ ყოფილა. უარეს შემთხვევაში, შეიძლებოდა შერკინება დანიშნულიყო. ამ ჯარიმას კი გორგოძის ლელო მოჰყვა. ამის შემდეგ იყო ეპიზოდი, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. ბათუმელები შერკინებაში მიაწვნენ მოწინააღმდეგეს, შეიტანეს კიდეც ბურთი "ლელოს" ჩათვლის მოედანში. ამ დროს თბილისელთა შერკინება წამოიშალა, ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც ბათუმელები დააჯარიმა, შემდეგ კი შელაპარაკებისთვის გურეშიძე მოედნიდან მიაბრძანა. მსაჯის მოქმედებით ისედაც გაღიზიანებული ლევან მგელაძე ამან სულ გააცოფა. ბათუმელთა მწვრთნელმა გუნდის მოედნიდან გაყვანაც კი მოინდომა, თუმცა, ბოლოს გუნდი მაინც დათანხმდა თამაშს.

ყველაფრის მიუხედავად, ბათუმელებმა წაგება თავიანთ თავს უნდა დააბრალონ. ჯერ ერთი, მაჩიტიძემ ხელსაყრელი მდგომარეობიდან არაერთხელ ააცილა ბურთი კარს და მეორეც: იმ დროს, როცა ბათუმელები მატჩის მიწურულს 17:13-ს იგებდნენ, გოგა ხელაძემ არაზუსტად მიაწოდა ბურთი მაჩიტიძეს, რის გამოც ზღვისპირელთა ლელოს ხაზთან დაინიშნა შერკინება. ამ მომენტში მასპინძლები დიდი ძალებით უტევდნენ და ბათუმელებმა როგორღაც მოახერხეს შეტევის მოგერიება, მერე წესიც დაარღვევინეს და შერკინებაშიც მათ შეაგორეს ბურთი, თუმცა... ამ შეცდომას მოყვა "ლელოს" გამარჯვების ლელო.

წლეულს ბათუმელებს არაერთი პრობლემა ჰქონდათ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ეს გუნდი ახერხებდა თამაშების მოგებას და როცა ყველა გავარდნას უწინასწარმეტყველებდა, ოთხეულშიც კი შევიდა. მერე ყოჩებს მოუგო პლეიოფში და ბრინჯაოს მედლები გაინაღდა. ამ დროისთვის უკვე ბათუმელთა შერკინების სიძლიერეზე ალაპარაკდნენ - მაგათი შემჩერებელი არავინააო. გუშინაც ასე იყო, ზღვისპირელმა მორკინალებმა პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. აუტი - აი, რაშიც ბათუმელებმა პირწმინდად წააგეს. მატჩის ბოლო წუთებზეც, როცა აგებდნენ, აუტი ააგდეს მეტოქის ლელოსთან ახლოს, მაგრამ წააგეს. ის რომ მოეგოთ, შესაძლოა, მატჩი სხვაგვარად დამთავრებულიყო. სულ კი მატჩში სტუმრებმა, თუ არ ვცდები, ხუთი საკუთარი აუტი წააგეს. ასე რომ, მრავალი მიზეზი არსებობდა მათ დასამარცხებლად.

ამრიგად, ფინალში "იმედი L - აკადემია" შეხვდება "ლელოს", რომელსაც წინა კვირას უკვე მოუგო წინასწარ ფინალში. გადამწყვეტი ბრძოლა 22 დეკემბერს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. მატჩი ორის ნახევარზე დაიწყება.

ჩოგბურთი

# ჩოგბურთის ბარშემო

სანდრო ნავერიანი



ამიერიდან ენდი როდიკს დინ გოლფაინი გაწვრთნის.

ამიერიდან ამერიკელი ჩოგბურთელის ენდი როდიკის მწვრთნელი დინ გოლფაინი იქნება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ვაშინგტონის ტელევიზია WUSA-TV. თავის დროზე გოლდფაინი წვრთნიდა ამერიკელ ტოდ მარტინს. ის აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების შტაბშიც მუშაობდა. "არ ვიცი, ინიციატივა როდიკისგან წამოვიდა თუ გოლდფაინისგან, მაგრამ მათი თანამშრომლობა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია. თუ ჩოგბურთელი თვლის, რომ მწვრთნელის გამოცვლა სჭირდება, ასეც უნდა მოიქცეს". - განაცხადა USTA-ის (აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაცია) წარმომადგენელმა ტიმ კურიმ.

ამას წინათ ენდი როდიკმა, ყველასთვის გასაოცრად, გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც ბრედ გილბერტი (ენდი როდიკის აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი) პოსტიდან გათავისუფლებულია. არავინ იცის, რა გახდა ამის მიზეზი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სწორედ ბრედ გილბერტის ხელში გახდა ენდი როდიკი ამერიკის ღია პირველობის ტრიუმფატორი, გასული წლის ნომერ პირველი ჩოგანი. მას შემდეგ კი ამერიკელ ჩოგბურთელს დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

"ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ბრედ გილბერტთან თანამშრომლობის შეწყვეტა ჩემთვის უკეთესი იქნება. უკეთ ვითამაშებ. დანარჩენი დეტალები ჩემსა და ბრედს შორის უნდა დარჩეს. ერთადერთი, რაც მინდა, ბრედს ვუსურვო, ეს წარმატებაა". - განაცხადა ენდი როდიკმა.

ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდამ ანდრე აგასიმ გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს დუბაის ტურნირში, რომელიც 21-27 თებერვალს ჩატარდება. ამის შესახებ იტყობინებიან ამერიკული საინფორმაციო საშუალებები. აგასისთან ერთად ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ წლევანდელი სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი და რუსი მარატ საფინი.

"სახელი "ანდრე აგასი" ყველასთვის საოცრად ენერგიულ და ბრძოლისუნარიან ადამიანთან ასოცირდება. ის ისეთივე დიდი ჩოგბურთელია, როგორებიც იყვნენ ბიორნ ბორგი, როდ ლეივერი, პიტ სამპრასი, - განაცხადა დუბაის ტურნირის ერთ-ერთმა დირექტორმა კოლმ მაკლაგლინმა. - აგასი არა მარტო ცნობილი ჩოგბურთელია, ის უდიდესი პიროვნებააცაა. ეს არის სპორტსმენი, რომელიც დღემდე უმაღლეს დონეზე თამაშობს".

18-წლიანი კარიერის მანძილზე ანდრე აგასიმ "დიდი სლემის" რვა ტურნირი მოიგო, გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 1996 წელს და დაახლოებით 30 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

"ბიბისი"-მ წლის სპორტსმენი დაასახელა. ეს წოდება არც ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს ერგო, არც ტურ დე ფრანსის ექვსგზის გამარჯვებულს ლენს არმსტრონგს, არც ცურვის ასს მაიკლ ფელპსს და არც საოცარ მორბენალს ჰიშამ ელ გურუჯის. ეს ტიტული ერგო შვეიცარიელ ჩოგბურთელს როჟე ფედერერს.

შვეიცარიელი ჩოგბურთელისთვის მიმდინარე წელი უსაზღვროდ წარმატებული გამოდგა. ამ ტიტულის გარდა, მას "ემუქრება" შვეიცარიის საუკეთესო ათლეტის წოდება, რომელსაც შვეიცარიის სპორტის სამინისტრო შაბათ საღამოს მიანიჭებს. რაც შეეხება "ბიბისი"-ს დაჯილდოებას, ფედერერი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან ავსტრალიის ღია პირველობაზე გაემგზავრა. ის პირდაპირი ეთერით გადაიხდის მადლობას და, "ბიბისი"-ს აზრით, პლანეტის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულს მიიღებს.

ბოულინგი

# კეგლის დროა



კეგლის თამაშით ყველა თავს იქცევს.

ბოულინგცენტრის ხშირი სტუმრებისთვის ეს მოწოდება ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, ხოლო მათთვის, ვინც ჯერ კიდევ შორიდან უთვალთვალებს ბოულერთა სპორტულ ასპარეზობებს თუ გართობის მოყვარულთა მხიარულ დროსტარებას, ნამდვილად დადგა დრო, ბოულინგის ხიბლი გაიზიარონ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ასე დარწმუნებით გიხმობთ სათამაშოდ.

გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ეს, მართლაც, საოცარი თავშესაქცევი აღმოჩნდა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის კლუბში მისვლა ერთი დიდი სიამოვნებაა. დაღლილობა გვავიწყდება, დადებითი ენერგიით ვიმუხტებით და, რაც მთავარია, კარგად ვერთობით. სხვათა შორის, დანაყრებასაც მშვენივრად ვახერხებთ. ვერც წარმოვიდგენდით, თუ იქ ასეთი გემრიელი კრუასანები და პიცა დაგვხვდებოდა.

სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად სწორედ მსუბუქი წახემსებაა საჭირო. ისე, არჩევანიც დიდია. თუ მაინცდამაინც გემოზე მოლხენა გნებავთ, არც ეგაა შეუძლებელი. ამას წინათ ისეთი ფურშეტის მომსწრე გავხდი, - თავისი მწვადებითა და ცხელ-ცხელი ხაჭაპურით, - რომ კინაღამ დამავიწყდა, სად ვიყავი. ბილიკებზე მოასპარეზეთა ყიჟინამ შემახსენა, რომ კეგლის დრო დამდგარიყო. მეც, ჩემს კოლეგებთან ერთად, სიამოვნებით შევუერთდი მოთამაშეებს. ამ მხიარულ თავყრილობას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენდნენ. როგორც შევიტყვე, ისინი რეგულარულად სტუმრობენ ბოულინგცენტრს და ჩინებულადაც ერთობიან. რამდენჯერმე მათი თაოსნობით სპორტული შეჯიბრებაც მოწყობილა, ხოლო კლუბის ადმინისტრაციას მათთვის სპეციალური ფასდაკლების ბარათი გადაუცია. ასე რომ, კვირაში ერთხელ იკრიბებიან და სპორტულად ხალისობენ.

1 დეკემბერს კავკასიის სოციალური მარკეტინგის ასოციაციის ინიციატივით უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტი-ახალგაზრდობის ერთი ნაწილი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ბოულინგცენტრს ეწვია. ჯანსაღ გარემოში დროის გასატარებლად ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ. აბა, მაშინ გახურდა კეგლის თამაში! თავიდან ბევრი ფიქრობდა, ვაითუ კარგი შედეგი არ გვქონდეს და თანაგუნდელები შევარცხვინოთო. მაგრამ ინსტრუქტორთა დახმარებით ეს პრობლემა იოლად მოგვარდა. ბევრმა მათგანმა მაღალი სარეიტინგო მაჩვენებლით იასპარეზა და, ტრადიციულად, პრიზითაც დაჯილდოვდა. თუმცა, ასევე ტრადიციისამებრ, არც სხვა ახალბედა მოთამაშეები დარჩნენ უყურადღებოდ - მათაც წამახალისებელი საჩუქრები ერგოთ. მინიმალური ქულის მქონე ერთ-ერთმა მოთამაშე ქალბატონმა სიხარულით აღნიშნა, რას ვიფიქრებდი, თუ დამარცხებისთვის დამასაჩუქრებდნენო.

არადა, გასაკვირი არაფერია, ბოულინგის თამაში ხომ, აზარტულობასთან ერთად, სახალისოცაა. ბოულინგით გახალისებული სტუმრები საგანგებოდ მათთვის გამართულ ვიქტორინაშიც დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ. ამ კონკურსში პრიზების დაწესებაზე "ჯეოსელმა" იზრუნა. ღონისძიების ორგანიზატორებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ამგვარი შეხვედრები უფრო ინტენსიურად ჩატარდეს. ვფიქრობ, ეს დიდად წაადგება ჩვენი საზოგადოების მორალურ გაჯანსაღებას.

გასულ შაბათს კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიებით გამდიდრდა კლუბის ისტორია. ამჯერად ერთ-ერთმა ქართულ-უცხოურმა კომპანიამ წინასაშობაო ზეიმი გამართა. საახალწლოდ მორთულმა დარბაზმა საზეიმო განწყობა გააათმაგა. დიჯეის მიერ მომზადებული პროგრამა საცეკვაოდ ეპატიჟებოდა ყველას. ბოულინგში შეჯიბრების შემდეგ ისეთი ცეკვა-თამაში გახურდა, რომ ზოგს თავი დისკოთეკაზე ეგონა. თუმცა, ღამის ბოულინგით გაჩირაღდნებული ბილიკები მოუხმობდა, რომ კვლავაც კეგლის დრო იყო.

გარწმუნებთ, ბოულინგცენტრი კარგი გასართობი ადგილია. თუ დამიჯერებთ, თქვენთვისაც უკვე კეგლის დროა.

ქომაგის ტრიბუნა



სანდრო ნავერიანი

# ყვითლები

მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე და ცხოვრებას სალი თვალით შევხედე, ბევრი რამ აღმოვაჩინე: ის, რომ ადამიანი მაიმუნის უკანალიდან არ გამომძვრალა, მე კი ჩემს მშობლებს ბაზარში ნაყიდ კომბოსტოში არ ვუპოვნივარ; ის, რომ სიყვარული ყველაზე დიადი გრძნობაა, რაც ადამიანს გააჩნია; ის, რომ სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო, რომ მეგობრის ცოლთან ან შეყვარებულთან რომანი არ უნდა გააბა. ამ უკანასკნელზე შევჩერდები, უფრო სწორად... მოკლედ, ნახავთ.

თურმე, კარლ მელოუნს კობი ბრაიანტის ცოლის შეცდენა უნდოდა. ერთ-ერთ მატჩზე, როდესაც მელოუნი ტრავმირებული იყო და მატჩს ტრიბუნიდან უყურებდა, გვერდით მჯდომ ვანესას (კობი ბრაიანტის ცოლი) შებმა დაუწყო. ვანესამ, შენ შეგირცხვა ცხვირიო, ქალი არ ვიყო, თუ ჩემს ქმარს არ ვუთხრა ყველაფერიო. ჰოდა, სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. ყვითლებსაც (ყვითელ პრესაზე მოგახსენებთ) მეტი რა უნდოდათ? ამ ისტორიას ათასგვარი ვერსია მოუგონეს: ერთნი ამბობდნენ, ფოსტალიონმა კობის ცოლი გაჟიმაო, მეორენი - ვერ მოგართვით, კობის ცოლი ვილაც ფოსტალიონს არ დაუწვებაო. მოკლედ, როგორც იტყვიან, ჭიანჭველისგან სპილო გამოიყვანეს. ეგეთი ამბავი იმდენია, რამდენიც გაგიხარდება. დღე არ გავა, რომ არ გავიგოთ, ამან იმას ულალატა, იმან - ამასო.

არ ვიცი, სინამდვილეში როგორ განვითარდა მოვლენები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მართლაც იყო რაღაც ისეთი, რამაც სკანდალის აგორება განაპირობა.

მოკლედ, სიმართლე იციან მხოლოდ კარლ მელოუნმა და ვანესა ბრაიანტმა და მეტმა არავინ. ჭეშმარიტების დადგენას არც მე ვაპირებ. უბრალოდ, ამ ამბავმა მიბიძგა, დამეწერა ეს წერილი.

ქართველი სპორტსმენები, ზოგადად, მაინცდამაინც დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ცნობილია, რომ არც ერთი ქართველი სპორტსმენი ყვითლების ლუკმა არ გამხდარა. მათზე მხოლოდ იმას წერენ, რომ არაფერი არ გამოსდით; ფეხბურთისა და კალათბურთის თამაში არ იციან; წყალბურთელებს აუზში წყალს არ უსხამენ; მოჭიდავეები ასფალტზე ჭიდაობენ, რის გამოც მუხლები და იდაყვები გადატყავებული აქვთ. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენებურები ყაჩაღობის მსხვერპლი ხდებიან, რასაც ქართული პრესა (ყვითლების ჩათვლით) ვრცლად აშუქებს. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენი ყვითლები ისტორიებს იგონებენ, ეგეთი არსად წამიკითხავს. ამას წინათ ერთ-ერთ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ ემინემი თუფაქი (2pac) ყოფილა. უბრალოდ, იმდენი მტერი ჰყავდა, რომ საკუთარი სიკვდილი გამოიგონა და კანის ფერი შეიცვალა - ვერავინ მიცნოსო.

მთავარს დავუბრუნდები. საქართველოში, მართლაც, ძალიან ბევრი ჟურნალი და გაზეთი გამოდის. ბევრი უხარისხოა და ტყუილებით არის გატენილი. არის საინტერესო ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებსაც ქართველი მკითხველი ყოველდღიურად ეცნობა. მეც მათ შორის ვარ. ჟურნალები მიყვარს. ხშირად ვკითხულობ იმ წერილებს, რომლის სათაურებია: "რას ჭამს დათო ოქიტაშვილი", "რა მანქანა აქვს ლექსსენს", "რა ზომა ბუცს იცვამს ლადო ბურდული" (სათაურები ჩემი მოგონილია). აი, ეს უკანასკნელი, თუ მსოფლიო მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ძალიან სასიამოვნო წასაკითხია. რატომ? იმიტომ, რომ წერილი ეხება იმას, თუ რა ზომა ბუცს იცვამს სპორტსმენი და არა იმაზე, რომ მავანმა სპორტსმენმა თავისი თანაგუნდელის ცოლთან ერთად თბილისის ერთ-ერთ კლუბში მთელი ღამე ჭიპხახუნა იცეკვა, შემდეგ კი ისინი სასტუმრო "მუზის" ფოიეში დაინახეს - ალბათ, ნომრის მოხსნა უნდოდათო. მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა. იმისი, რომ ქართველი სპორტსმენები ასეთ ამაზრზენ სიტუაციებში არასოდეს გახვეულან. ყოველ შემთხვევაში, ყვითლებს და, მით უმეტეს, საკაბინეტო პრესას არასოდეს გამოუქვეყნებია ასეთი წერილი.

ამ რუბრიკის სახელია "ქომაგის ტრიბუნა". ჰოდა, სწორედ ამიტომ ვეცდები, გიქომაგოთ იმაში, რომ ამორალობას თავი აარიდოთ და თქვენი სახელი ისეთივე სუფთა დარჩეს, როგორიც აქამდე იყო. სულ რომ ასით ნოლი წააგოთ და აუზიდან კაფელიც ამოგიყარონ, ეგ არაფერია. მთავარია, ადამიანებად დარჩეთ და არავინ ალაპარაკოთ თქვენზე, როგორც უზნეო ადამიანებზე.

სპორტი ძალიან მიყვარს. ამიტომ შეჯიბრებებსაც ვუყურებ და სპორტსმენებსაც დიდ პატივს ვცემ. ოღონდ არ გეგონოთ, თქვენი სპორტსმენობისა და მიღწეული შედეგების გამო გცემთ პატივს. არა! თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ ისეთი, რაც დიდ პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ თქვენ გაქვთ ღირსება, რომელსაც უფრთხილდებით და სწორადაც იქცევით. თუ ასე არ მოიქცევით, თქვენგან არაფერი დარჩება, ცუდი სახელის გარდა.

ასე რომ, გისურვებთ, არასოდეს მოხვდეთ ყვითელი ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე, ეცადეთ, თქვენი ფოტოების ქვეშ არასოდეს გაჩნდეს წარწერა: "ცოლს ულალატა". ეცადეთ, სპორტში თუ არა, საზოგადოებაში მაინც გქონდეთ ადამიანის სახელი.

TV-სპორტი

## პარასკევი. 17 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. სეზონი 1998-1999. "MIAMI HEAT" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "პორტსმუტი"
13:55 1/8 ფინალის კენჭისყრა. ჩემპიონთა ლიგა. პირდაპირი ტრანსლაცია შვეიცარიიდან
14:30 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ვოლფსბურგი" - "არმინია"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 "FUTBOL MUNDIAL"
16:50 ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "რეალი"
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ვიზ-სინარა". პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 "ფეხბურთი ჭრილში"
21:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:35 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლიონი" - "მარსელი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:50 "ფეხბურთი ჭრილში"
02:20 02:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV. სეზონი. 1998-1999. "WASHINGTON WIZARDS" - "NEW ORLEANS HORNETS"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:10, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში. ქალები. ძირითადი წრე. ესპანეთი - რუსეთი
11:55 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი
12:25 "მოტოვებული კვირა"
13:40 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
14:10 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 ჰოკეი. ევროტური. "როსნოს თასი". რუსეთი - ფინეთი. შესვენებისას (15:45) - პრესცენტრი
17:30 ტაილანდური კრივი
18:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:15 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
20:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი ჩინეთში. ფინალები. წყვილები. ვაჟები. ქალები. შესვენებისას (00:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები
11:30 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30 მულტისპორტი
13:00 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 მულტისპორტი
16:15 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ფეხბურთი - უეფას თასი
18:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
20:30 ფეხბურთი - უეფას თასი
22:15 მულტისპორტი
22:30 მულტისპორტი. წლის საუკეთესო სპორტული მოვლენები
23:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჩემპიონატი კანადაში
00:00 ცხენოსნობა. შეჯიბრება კონკურში. დიდი ბრიტანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები

# მზის სტირლინგი - ალტერნატიული ენერგეტიკის ალტერნატივა

შოტლანდიელმა მღვდელმა რობერტ სტირლინგმა, ეგრეთ წოდებული გარე წვის, იგივე სტირლინგის ძრავა 1816 წელს, შიდაწვის ძრავის გამოგონებამდე კარგა ხნით ადრე გამოიგონა. ამ აგრეგატს გაცილებით მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ) აქვს, ვიდრე დიზელსა და ბენზინზე მომუშავე ძრავებს, თუმცა ამის მიუხედავად, დღემდე მაინც ეგზოტიკად რჩება. დღეს კი ამერიკელი ინჟინრები უკვე დარწმუნებით ამბობენ, რომ სტირლინგის ძრავი შეიძლება უახლოეს მომავალში ალტერნატივის ალტერნატივად იქცეს.

ორიოდე სიტყვით, სტირლინგის ძრავის შესახებ - ესაა გარე წვის ძრავა, რომელსაც ჩაკეტილი თბური ციკლი აქვს და ამით რადიკალურად განსხვავდება ოტოსა და დიზელის ძრავებისგან. ძრავის სამუშაო ცილინდრში არსებულ გაზს სითბო გარედან მიეწოდება. გახურების პროცესი პრაქტიკულად მუდმივ მოცულობაში, თითქმის მუდმივ ტემპერატურაზე მიმდინარეობს. შემდეგ, დგუშის მეშვეობით, გახურებული გაზი ცივ ზონაში განიდევნება, სადაც ხდება მისი გაგრილება უცვლელ მოცულობაში.

ამას მოჰყვება მუდმივი ტემპერატურის პირობებში სამუშაო ტანის (გაზის) შეკუმშვა და გადადევნა ცხელ ცილინდრში, რის შემდეგაც აღწერილი ციკლი მეორდება და ა.შ. სამუშაო ტანის თბორეგულაციის დასაჩქარებლად, ცხელ და გრილ მოცულობებს შორის არსებულ არხში ათავსებენ ფოროვან თბოგენერატორს.

რა თქმა უნდა, სტირლინგის მიერ შექმნილი მანქანა ძლიერ განსხვავებულია იმ მანქანებისგან, რომელთა გამოყენებასაც ამერიკელები გვთავაზობენ. მთავარი ისაა, რომ აგრეგატის მუშაობის პრინციპი იგივე დარჩა.

თეორიულად, სტირლინგის აგრეგატის მარგი ქმედების კოეფიციენტი (მისი მუშაობისას გამოყოფილი ენერგიის ათვისების ხარისხი პროცენტებში) შეიძლება დაემთხვეს ფიზიკურ ზღვარს, რომელსაც განსაზღვრავს ცივი და ცხელი მოცულობების ტემპერატურებს შორის სხვაობა. პრაქტიკულად შესაძლებელია თითქმის 70 მქკ-იანი სტირლინგის დამზადება, ეს კი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მაღალტექნოლოგიური დიზელების მქკ.


სანდიას დანადგარი


სტილინგების ფერმას ელექტროენერგიით მთელი აშშ-ის დაკმაყოფილება შეუძლია

მაინც, რატომ არ გავრცელდა სტირლინგის აგრეგატი, თუ ის ასეთი ეფექტურია? იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად მაღალი ფარდობითი სიმძლავრის (ძრავის ზომებსა და წონასთან მიმართებაში) მიღება გახდეს შესაძლებელი, საჭიროა ძვირადღირებული ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც ასეთ აგრეგატს არაპრაქტიკულს ხდის.

არადა, სტირლინგს აქვს თავისი კოზირები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, მას უზარმაზარი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამ კოზირებიდან ერთზე (მქკ) უკვე მოგახსენეთ. მეორე კოზირი ისაა, რომ აგრეგატი თითქმის უხმაუროდ მუშაობს (მასში არ ხდება ფეთქებადი წვა). მესამეც, სტირლინგის ძრავა სითბოს პრაქტიკულად ნებისმიერ წყაროზე - ნავთობპროდუქტებზე, ნახშირზე, მზისა და ატომურ ენერგიაზე, მუშაობს.

დღეისათვის სტირლინგის აგრეგატების გამოყენება შეზღუდულ სფეროებში ხდება. მაგალითად, ასეთ აგრეგატებს დამხმარე გენერატორებად იყენებენ წყალქვეშა ნავებში. მათი უპირატესობით მაქსიმალური სარგებლობა კი უფრო სტაციონარულ პირობებშია შესაძლებელი, როცა პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ძრავის წონას. ასეთ სტაციონარულ დანადგართა შორისაა ძრავა, რომელიც სამუშაო ტანის გასახურებლად მზის სხივის ენერგიას გამოიყენებს.

მზის სითბოს სტირლინგის ძრავისთვის შიგადაშიგ იყენებდნენ, მაგრამ აქამდე არავის უფიქრია მსგავსი სქემით მომუშავე გენერატორების მთელი ფერმის შექმნაზე, რომელსაც ელექტროენერგიის საწარმოო მასშტაბით გამომუშავების უნარი ექნებოდა.

სწორედ ამ მიზნით აპირებენ სტირლინგის ძრავის გამოყენებას აშშ-ის ეროვნულ ლაბორატორია "სანდიას" კონსტრუქტორები. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც სპეციალიზებულია ენერგეტიკაზე. ამერიკულ კომპანია "სტირლინგ ენერჯი სისტემზთან" ერთად, "სანდია" ამუშავებს სტირლინგის ძრავზე მომუშავე "მზის ფერმების" პროექტს. ამ პროექტში, "სტირლინგ ენერჯი სისტემზს" ევალება მზეზე მომუშავე სტირლინგის აგრეგატების დამზადება, ლაბორატორიის მეცნიერები კი მათ სრულყოფას განახორციელებენ. პირველ რიგში, ტესტები ჩაუტარდება 6 აგრეგატს, რომლებიც ელექტროენერგიით 40-ზე მეტი სახლის უზრუნველყოფას შეძლებენ.

2005 წელს, "სანდიას" ცენტრში შეიქმნება პირველი საცდელი სისტემა, რომლის გამოსავალი სიმძლავრე 150 კილოვატი (რა თქმა უნდა, დღის საათებში) იქნება. ამ დანადგარებში მზის ენერგიის ძრავზე კონცენტრირება ხდება სპეციალური სარკეების სექციის მეშვეობით, რომელიც 82 ცალკეული სარკისგან შედგება.

ლაბორატორიის წამყვანი თანამშრომლის, ჩაკ ანდრაკის თქმით, პროექტით გათვალისწინებულია სტირლინგის 20 ათას სისტემის შექმნა, რომლებიც მზის რამდენმე ფერმაზე განაწილდება, ამ ფერმების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია კი აშშ-ის სამხრეთ დასავლეთის გამანაწილებელ კომპანიებს მიეწოდება.

თითოეული დანადგარი სრულიად ავტომატურ რეჟიმში იმუშავებს. მას არ დასჭირდება არც ოპერატორი და ადამიანის ყურადღება. სისტემას ყოველ დილას ავტომატურად ჩართავს კომპიუტერი, რომელიც დღის განმავლობაში, მზის გადაადგილების შესაბამისად მიმართავს სარკეებს, საღამოს კი, როცა მზე ჩავა, კომპიუტერი დანადგარს გამორთავს. მისივე მეშვეობით, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი სისტემის პარამეტრების შემოწმება ინტერნეტის ქსელის გამოყენებით. ასე რომ, ოპერატორი ათეულობით კილომეტრით დაშორებულიც გააკონტროლებს სადგურის მუშაობას.

თავად სტირლინგის ძრავა ჩაკეტილი სისტემაა, რომლის სამუშაო ტანსაც წყალბადი შეადგენს. მისი წნევის ცვალებადობა ამოძრავებს დგუშებს, რომლებიც ელექტროგენერატორთან მიერთებულ ლილვს ამოძრავებენ. ამ დანადგარის სრული მქკ 30 პროცენტია, რაც საგრძნობლად აღემატება ჩვეულებრივი მზის ბატარეების მარგი ქმედების კოეფიციენტს.

თითოეული დანადგარის ფასი (სარკების ბლოკთან ერთად) დაახლოებით 150 ათასი დოლარია. თუმცა, მათი სერიული წარმოების შემთხვევაში, ფასიც დაახლოებით სამჯერ მაინც შემცირდება. ამგვარად, მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასიც კლასიკური ტექნოლოგიებით მიღებულისას გაუტოლდება.

რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, პროექტის ავტორების გათვლებით, სტირლინგის აგრეგატებით აგებულ ერთ ფერმას, რომელიც აშშ-ის სამხრეთში დაიკავებს 160X160 კილომეტრის ფართობს, სრულად შეუძლია ელექტროენერგიით მთელი ქვეყნის დაკმაყოფილება!

# ადამიანი ზღვის ენერგიასაც იმორჩილებს

სწრაფად მზარდი ფასები ნავთობზე და გლობალური დათბობის გაზრდილი საფრთხე, კაცობრიობას ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა, განახლებადი წყაროების ძიებისკენ უბიძგებს. ამ მხრივ, ადამიანმა უკვე მეტ-ნაკლებად მოათვინიერა ქარისა და მზის სხივების ენერგია, დიდ იმედებს იძლევა წყალბადის, როგორც ფიჭური ელემენტების საწვავის წყაროდ გამოყენების პერსპექტივა, მაგრამ დღემდე ვერავის მოუხერხებია ზღვის ტალღების ადამიანისთვის გამოყენებად ენერგიად - ელექტროენერგიად გარდაქმნა.

ენერგიის ალტერნატიულ წყაროთა მაძიებლები წლების განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ ისეთი გამძლე დანადგარის შექმნას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა ოკეანეებისა და ზღვების ტალღების ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნა. თუმცა, მკვლევართა მიერ სამხრეთ ავსტრალიაში, შოტლანდიასა და კალიფორნიაში, ჩატარებული ბოლო, მრავალმხრივი ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ ენერგიის ტალღურ წყაროს კარგი პერსპექტივა აქვს.

ახალი პროექტებიდან ყველაზე ამბიციურად და პერსპექტიულად მოჩანს ავსტრალიურ კომპანია "ენერჯტეკის" ნამუშევარი - სიდნეიდან სამხრეთით, 240 კილომეტრში დამონტაჟებული, 486-ტონიანი ტალღური ტურბინა ახერხებს ტალღის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნას. კომპანიის მესვეურები კი დღეს უკვე თამამად აცხადებენ, რომ მათი დანადგარი იქნება მსოფლიოში პირველი, რომელიც ტალღის ენერგიას ადამიანისთვის სასარგებლოდ აქცევს. ავსტრალიური კომპანიის მიერ დამზადებული ტურბინა 2006 წელს როდ აილენდშიც დამონტაჟდება.

სანამ "ენერჯტეკის" მიერ დამზადებულ ტურბინაზე მოგითხრობდეთ, მცირე გადახვევას შემოგთავაზებთ. ჩვენი პლანეტის 71 პროცენტი წყლის ზედაპირს უკავია, ოკეანეები კი მზის ენერგიის უზარმაზარ კოლექტორს წარმოადგენენ. მაგალითად, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ოკეანეებისა და ზღვების ტალღების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 2 ტერავატი (მილიონჯერ მილიონი ვატი, ანუ მილიონი მგვტ) ელექტროენერგიის გენერირება, ეს კი თითქმის შეესაბამება ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ყოველწლიურ მოხმარებას. კიდევ უფრო დიდი ენერგიაა დაგროვილი ოკეანურ დინებებში. თუმცა, ამ ენერგიის მხოლოდ ნაწილის გამოყენება თუა შესაძლებელი და სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ავსტრალიური კომპანიის პროექტი.

ტალღის ენერგიის "მისაღებად" ავსტრალიურ დანადგარს აქვს თითქმის 40 მეტრის სიგანის მქონე წყალამღები, რომელიც ტალღისგან წყალს აგროვებს და თანდათან შევიწროვებადი სადინარით მიაწვდის სადგურის მთავარ ნაწილს - რეაქტიულ ტურბინას. სადინარის შევიწროებასთან ერთად, მასში მოძრავი წყლის სიჩქარეც იზრდება და წარმოქმნის ჰაერის მძლავრ ნაკადს, რომელიც ტურბინას უზარმაზარი ძალით ეხეთქება. მასზე განლაგებული დიდი რაოდენობით ფრთები (ტურბინის კონსტრუქცია რეაქტიული თვითმფრინავის ძრავის ტურბინისას მოგვაგონებს) "ითვისებს" ტალღის ენეგრიას და მისი მეშვეობით, მოძრაობაში მოჰყავს გენერატორი, რომლის ბრუნვის დროსაც ხდება ტალღის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნა. სხვათა შორის, დანადგარი ისეა კონსტრუირებული, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ჰაერი სადინარში შედის, თუ გამოდის, ენერგიის გენერირება ორივე ვარიანტში მიმდინარეობს. ამასთან, სპეციალური, რეგულირებადი ღრიჭოების მეშვეობით, შესაძლებელია ჰაერის ნაკადის მუდმივი წნევის შენარჩუნება.


"ენერჯიტეკის" დანადგარი ტალღის ენერგიას მოათვინიერებს

დანადგარის გამომგონებელი ტომ დენისი თავის ქმნილებაზე 1991 წლიდან მუშაობს. ამ პერიოდში დანიაში, შოტლანდიასა და სხვა ქვეყნებში არაერთი მსგავსი დანადგარი შექმნილა, მაგრამ ზოგმა ტალღებს ვერ გაუძლო და დაიმტვრა, ზოგიც კი, სიძვირის გამო, კომერციული თვალსაზრისით, მიუღებელი გამოდგა. თუმცა, იმის გამო, რომ ადრე თუ გვიან, ნავთობის მარაგი ამოიწურება და თანაც, ნამწვავი შეუქცევად, უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე, ტალღის ენერგიის ათვისების პერსპექტივას კაცობრიობა მაინც დიდი იმედით შესცქერის. ამიტომ, როდ აილენდის პროექტის განხორციელების ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა შტატ კონექტიკუტის სუფთა ენერგიის ფონდმა იკისრა.

უნდა ითქვას, რომ ენერგიის ბევრი განახლებადი წყაროს მსგავსად, ტალღის გენერატორებს არ შეუძლიათ ენერგიის დაგროვება და თანაც, ისინი მაღალი ღირებულებითაც გამოირჩევიან. სწორედ ესაა ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომელთა გამოც, ამგვარი დანადგარები დღემდე ვერ მკვიდრდება.

"ენერჯიტეკის" პარალელურად, ტალღური ტურბინების პროექტებს მსოფლიოს სხვა წამყვანი კომპანიებიც აწარმოებენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კი კომპანია "სიდოგის" დანადგარია, რომელსაც პერსპექტივაში ზღვის ენერგიის დაგროვების უნარიც ექნება. მოქმედების პირველ ფაზაში, ზღვის ტალღის მოძრაობის გამოყენებით, დანადგარი ზღვის წყალს, გარკვეულ სიმაღლეზე განთავსებულ რეზერვუარში აგროვებს. როცა რეზერვუარი აივსება, დანადგარი ტალღის ენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნის, შტილის დროს კი დაგროვილ წყალს გამოიყენებს.

ნიუ იორკში უკვე მოქმედებს ისტ რივერის (აღმოსავლეთის მდინარე) ჯებირებზე განლაგებული რამდენიმე წყალქვეშა ტურბინა, რომლებიც ზღვის მი-მოქცევის ენერგიას ელექტრობად გარდაქმნიან და ქალაქს მიაწოდებენ. დღეს ეს ტურბინები მხოლოდ 200 სახლს უზრუნველყოფენ ელექტროენერგიით, მაგრამ უახლოეს მომავალში კომპანია "ვერდანტ პაუა", რომელიც პროექტს უძღვება, კიდევ 200-300 ტურბინის დამონტაჟებას აპირებს, რაც მომხმარებელთა რაოდენობას 10 ათასამდე გაზრდის.

ზემოთაც ითქვა - ყველაზე მძიმე გამოცდა, რომელთა გავლაც ტალღებისა და მი-მოქცევის ექსპერიმენტულ ტურბინების მოუწევთ, არის გამძლეობა - შტორმები, მუდმივად მოქმედი ძლიერი ტალღების დამანგრეველი ძალა და ზღვის მარილი, - აი ის ფაქტორები, რომლებიც ენერგიის ამ უშრეტ წყაროს აქამდე ადამიანისადმი დაუმორჩილებელს ხდის.

# ერთჯერადი ბირთვული მინირეაქტორი

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დაკვეთით, კალიფორნიაში მდებარე ლორენს ლივერმორის ლაბორატორიის თანამშრომლებმა შექმნეს ექსპერიმენტული პორტატული ბირთვული რეაქტორის პროექტი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფადაა განკუთვნილი და რომლის რადიოაქტიური ენერგომატარებლებითაც შეუძლებელი იქნება ბირთვული ბომბის დამზადება.

პროექტის დანიშნულებაა ისეთი რეაქტორის შექმნა, რომელიც ადვილად გადასატანი იქნება. ეს გენერატორი მინიმუმ 30 წელი მაინც იმუშავებს და როცა ენერგიის რადიოაქტიური წყარო ამოიწურება, შესაძლებელი იქნება მისი შეცვლა და შესაბამისად, რეაქტორი კიდევ 30 წელი შეძლებს მუშაობას. პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ შეუძლებელი იქნება რეაქტორიდან რადიოაქტიური ღერაკების ამოღება, რათა ის შემდგომში ბირთვული იარაღის წარმოებისთვის იქნას გამოყენებული.

ჩვეულებრივ ბირთვულ რეაქტორებში რადიაციის გაჟონვის საშიშროება მაშინ იქმნება, როცა შესაცვლელი ხდება ენერგიის წყარო, რადიოაქტიური გულარი. ამასთან, ასეთი რეაქტორები რადიოაქტიურ ნარჩენებსაც ტოვებენ. შესაბამისი დამუშავების შემთხვევაში, ამ ნარჩენებით შესაძლებელი ხდება ბირთვული იარაღის წარმოება, როგორც ამას აკეთებენ ჩრდილოეთ კორეასა და ირანში.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც განვითარებადი ქვეყნებისთვის მიუღებელია სტაციონარული, ჩვეულებრივი ბირთვული რეაქტორები, ისაა, რომ ასეთი რეაქტორები დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. იმდენს, რომ განუვითარებელი ინდუსტრიის მქონე ქვეყნები ვერც თავად აითვისებენ და ვერც უცხოეთში შეძლებენ გაყიდვას. ამიტომ, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილი ტყუილად დაიკარგება, რაც ენერგიის გაძვირებას გამოიწვევს.



პორტატული რეაქტორი კი იმ რეგიონში დამონტაჟდება, სადაც ელექტროენერგიის დეფიციტია. თანაც, მას მიუერთდება ნებისმიერი პარამეტრის მქონე ტურბინა, სადაც შესაძლებელია ბირთვულ რეაქტორში გამომუშავებული ენერგიის ელექტრობად გარდაქმნა.

